გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: roland.jalagania@mail.ru

№345 (404) 22-29 დეკემბერი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

კაცობრიობის პირველი ენა

...აპოკალიფსში ნახსენებ ფილადელფიის ეკლესიაში შეიძლება ვიგულისხმოთ კოლხური მოდგმა. ფილადელფია ბერძნულად ნიშნავს ძმურ სიყვარულს. ძმური, კაცური სიყვარულით აიური ნათესავი ძველთაგანვე განთქმული იყო.

ღვთის მადლით გაბრწყინდება აია-კოლხა და კეთილი ნების ადამიანების გულებს გაათბობს ქრისტესმიერი სათნოება და სიყვარული...

გვ 6

მალხაზ გრიგოლია

ალექსანდრე ჭაჭია: საქართველოდან რუსეთის წასვლა ნიშნავს თურქეთის მოსვლას!

გვ.2

“არ გაბედოთ, ბიჭებო, ის ხომ სტუმარია...” — აფხაზი ბებიას სიტყვები, რომელიც ყველამ უნდა დავიმახსოვროთ!

გვ.3

გელა ჯილაური: ნაცკაცუნა

...კარგად იცის სააკაშვილის ლიქნ-ლაქუცში მოღლილმა შოთა მალაშხიამ მისი გაუგონარი შეუბრალებლობის, დაუნდობლობისა და სისასტიკის, ორშაურად გაყიდვისა და ხელის შეწმენდის შესახებ, ერთი ტალახიანი ღორისგან, სხვა ბევრის გასვრა-გაჭუჭყიანების ნათქვამის გამხსენებელმაც...

გვ.4

საგზაო წესების რომელ დარღვევაზე რამდენი ქულა დაგაკლდებათ — ყველაფერი მართვის მოწმობის ახალი სისტემის შესახებ

გვ.6

გვ.3

კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურაია): რენესანსი ლიტერატურაში

ავთანდილ ციხისთავი — ძლიერი საზოგადოება ძლიერი სახელმწიფოს საფუძველია

გვ.7

ნანა დევდარიანი: დასავლეთს და ამერიკას ისლამური სახელმწიფოს ბოლომდე ამოშანთვა არ სურთ!

გვ.8

რას წერს საქართველოს შესახებ რუსული პოპულარული საიტი

გვ.5

ალექსანდრე ჭაჭია: საქართველოდან რუსეთის წასვლა ნიშნავს თურქეთის მოსვლას!

“თუკი მართლა ასე მოხდა, რუსეთის გარდა, ჩვენი დამცველი სხვა არავინ იქნება!”

ამ ოციოდე წლის წინათ გაზეთ **“ასავალ-დასავალში”** გამოქვეყნდა ცნობილი პოლიტოლოგისა და საზოგადო მოღვაწის, ალექსანდრე ჭაჭიას, ვრცელი წერილი სათაურით **“На холмы Грузии легла от фески тень”.**

ჩვენს წიგნიერ და გემოვნებიან მკითხველს, ალბათ, კარგად მოეხსენება, რომ ფესი ფუნჯიანი, წაკვეთილი კონუსის ფორმის თურქული ქუდია და მისი სახელი დასაბამს მაროკოში მდებარე ამავე სახელწოდების ქალაქიდან – ფესიდან იღებს...

ისიც ნათელია, თუ რას უნდა ნიშნავდეს **“საქართველოს ბორცვებზე ფესის ჩრდილის ჩამოწოლა”** და ამ მხატვრული ხერხის მიღმა რა იგულისხმა ავტორმა.

ალექსანდრე ჭაჭია ქართველ მკითხველს სწორედ ოცი წლის წინათ, ჯერ კიდევ შევარდნაძის გაგანია **“მოქკავშირულ”** ხანაში აფრთხილებდა იმ განსაცდელისა და საფრთხის შესახებ, რომელიც დღევანდელ საქართველოს უკვე წალეკვით ემუქრება! იშვიათი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი პოლიტოლოგი ცოდვიანი და სისხლიანი ქართული პოლიტიკის ჯანღს არც ახლა ეპუება, ოცი წლის შემდეგაც არ ცხრება და ერსა და ბერს კვლავაც ძველებური შემართებით უკიჟინებს, რომ საქართველოს გამრუდებულ-გაუკუღმართებული საგარეო-პოლიტიკური კურსის ვექტორი გასასწორებელია.

— ბატონო ალექსანდრე, ოციოდე წლის წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა თქვენი ვრცელი წერილი “საქართველოს ბორცვებზე ფესის ჩრდილი ჩამოწვა”, რომელიც საქართველოში შექმნილ მდგომარეობასა და პერსპექტივებს ეხებოდა. როგორ ფიქრობთ, ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მდგომარეობა გაუმჯობესდა თუ გაუარესდა?

— დიახ, 20 წელი გავიდა იმ სტატიის გამოქვეყნებიდან... ვწერდი, რომ შევარდნაძის მიერ არჩეული პოლიტიკური კურსით სვლა მიგვიყვანდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საბოლოო დაკარგვამდე, მასობრივ ემიგრაციამდე, ქართველი ერის რაოდენობის შემცირებამდე, ქართველი საზოგადოების ზნეობრივ დეგრადაციამდე, ტრადიციულ სულიერ ფასეულობათა უარყოფამდე და თურქეთის მხრიდან მძლავრ ფინანსურ-ეკონომიკურ ექსპანსიამდე, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა სხვა ქართული რეგიონების ბედს. ახლა უკვე თავად განსაჯეთ, რამდენად გამართლდა ეს სამწუხარო პროგნოზი.

— თქვენ რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგაც კი ოპტიმიზმით უყურებდით საქართველოს გაერთიანების პერსპექტივას. ეს პოზიცია შეიცვალა?

— ვითარების შეცვლის ბოლო შანსი ჰქონდა ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ მან ამისთვის არაფერი გააკეთა. ხომ ხედავთ, ვის მიანდო აფხაზეთის პრობლემის მოგვარება... ვინმეს სჯერა, რომ ამ ადამიანების საქმიანობა რამე შედეგს გამოიღებს? აფხაზეთის პრობლემამ, დიდი ხანია, საქართველოს ხელისუფლებისთვის აქტუალურობა დაკარგა და საზოგადოების თვალშიც უკანა პლანზე გადაიწია. როდესაც ადამიანების წინაშე ფიზიკური გადარჩენის ამოცანა დგას, მათთან მაღალ ეროვნულ იდეალებზე საუბარი ძნელია; მითუმეტეს, რომ ახლო მომავალში მთელი სიმძაფრით დაგვიდგება აჭარისა და სამხრეთ საქართველოს პრობლემა. არ უნდა გამოვრიცხოთ ისლამური ტერორიზმის საფრთხეც, რომელსაც ძალიან მალე დასჭირდება საქართველოს ტერიტორია. წერილში, რომელიც თქვენ ახსენეთ, ვწერდი, რომ საქართველოდან რუსეთის წასვლა ნიშნავს თურქეთის მოსვლას. ამაზე, სხვათა შორის, დაუფარავად ლაპარაკობენ და წერენ თურქი პოლიტიკოსები, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება დღემდე განაგრძობს ბოდვას **ნატო**-სა და ევროკავშირში შესვლაზე. ქემალიზმის ეპოქა, როდესაც თურქეთში თურქული ნაცია ყალიბდებოდა და საერო ნაციონალური სახელმწიფო შენდებოდა, დასრულდა. დღეს პანთურქიზმის იდეებით შეიარაღებულმა მმართველმა თურქულმა ელიტამ მიზნად დაისახა ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში დიადი თურანის აღდგენა.

— ამ საფრთხეს ივანიშვილი ვერ ხედავს? რატომ არ ცვლის პოლიტიკას?

— ბიძინა ივანიშვილი კარგი ადამიანია, მაგრამ, როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, მას სამი დიდი ნაკლი აქვს: პირველ რიგში, ივანიშვილი ცუდად ერკვევა მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში; მეორე — ცუდად ერკვევა კადრებში, ვერ არჩევს ფართო თვალსაწიერის მქონე, იდეურ და არა — ფულის ერთგულ პროფესიონალებს; მესამე — ბიძინა ივანიშვილი, ფლობს რა დიდძალ პირად კაპიტალს, სრულად არის დამოკიდებული ამერიკელების ნებაზე, რომლებიც ისევე აკონტროლებენ მის ქონებას, როგორც ყველა სხვა მსხვილ კაპიტალს მსოფლიოში. სწორედ ამიტომ შეარჩიეს იგი ამერიკელებმა სააკაშვილის შემცვლელად, ვინაიდან სააკაშვილის დატოვება საქართველოში უკვე შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელ ნაბიჯებს, განსაკუთრებით — საგარეო პოლიტიკაში, ივანიშვილისგან არ უნდა ველოდოთ. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა ის სფეროებია, რომლებშიც ქართველების აზრი, დიდი ხანია, არავის აინტერესებს და არც არავინ კითხულობს — ეს ამერიკელების პროგრამაა!

— ბიძინა ივანიშვილი თავის ყველაზე დიდ ღირსებად სწორედ კადრების შერჩევისა და ანალიზის უნარს მიიჩნევს და თქვენ რას ამბობთ?! მეტიც, მან თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის მიზნად დაასახელა ქართველი ხალხის გაწვრთნა-გაცნობიერება მოვლენათა ანალიზში...

— ქართველ ხალხს თავიდანვე კარგად ესმოდა, რომ ამჟამინდელი პრეზიდენტი სრულიად ფუჭე ადამიანია — ამ თანამდებობისთვის შეუფერებელი, მაგრამ ივანიშვილმა მას **“იდეალური პრეზიდენტი”** უწოდა და ეს აზრი თავს მოახვია ქვეყანას. ქართველ ხალხს კარგად ესმოდა, თუ რა **“ხილი”** იყო ალასანია და მისი გუნდი, საზოგადოებას სამარცხვინოდ მიაჩნდა ფანჯიკიძის საგარეო საქმეთა მინისტრობა, მაგრამ ივანიშვილი მათ **“საუკეთესო მინისტრებად”** თვლიდა. ქართველმა ხალხმა ჩინებულად იცის, თუ რას წარმოადგენს რესპუბლიკური პარტია და სწორედ ამიტომ ამ პარტიის რეიტინგი არასოდეს აღემატებოდა 3 პროცენტს, მაგრამ ივანიშვილი მიიჩნევს, რომ ისინი **“საინტერესო ადამიანები”** არიან და გადასცა კიდეც მათ, პრაქტიკულად, მთელი ძალაუფლება ქვეყანაში. დიდი ხანია, ქართველი ხალხი მიხვდა, რომ ამერიკისადმი ვასალურ დამოკიდებულებას ერი დეგრადაციისკენ მიჰყავს, ხოლო ივანიშვილი დღემდე აღფრთოვანებულია ამერიკელებთან **“მოკავშირეობით”.** ასე რომ, ივანიშვილმა ვითარების ანალიზი და კადრების შეფასება თვითონ უნდა ისწავლოს ქართველი ერისგან და არა — პირიქით.

— ცხადზე ცხადია, რომ დღეს მსოფლიოში მიმდინარე კატაკლიზმები — ომი ახლო აღმოსავლეთში: ერაყში, ლიბიაში, სირიაში, იემენში, ფერადი რევოლუციები ეგვიპტეში, ტუნისსა და სხვაგან — ამერიკის პოლიტიკის შედეგია. ამერიკელები ამბობენ, რომ ანადგურებენ დიქტატორულ რეჟიმებს და მიილტვიან ამ ქვეყნების დემოკრატიზაციისკენ... მაგრამ სახელმწიფოები ინგრევა, იღუპება მილიონობით ადამიანი, ტერორიზმი მსოფლიო პრობლემად იქცა. ვის სჭირდება დემოკრატია ამ ფასად?

— ნუ წარმოვიდგენთ ამერიკელებს იდიოტებად, რომლებსაც მოსწონთ და სიამოვნებთ ერთსა და იმავე ორმოში ჩავარდნა. მათ მშვენივრად ესმით, რომ შეუძლებელია, ამ სახელმწიფოებში დამყარდეს დემოკრატია დასავლური გაგებით... საქმე ის არის, რომ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში არის სულ ორი ძალა — ნაციონალისტები და ისლამისტები, არანაირი დემოკრატიული ძალები და იდეები იქ არ არსებობს. ნაციონალისტები ცდილობენ, ააშენონ სუვერენული, ეროვნული სახელმწიფოები, შექმნან ერთიანი ერი, განვითარებისთვის სუვერენულად გამოიყენონ საკუთარი რესურსები; ამასთანავე, მათთვის დასაშვებია **“რბილი ისლამი”,** რომელიც ხელს არ უშლის ქვეყნის პროგრესს. ასეთი განვითარებადი ქვეყნები იყვნენ ერაყი, ლიბია, სირია, ეგვიპტე, იემენი და სხვ., მაგრამ ასეთი სახელმწიფოების არსებობა კატეგორიულად მიუღებელია შეერთებული შტატებისთვის, რადგან ამ ქვეყნების სწრაფი განვითარება გულისხმობს თავიანთი რესურსების საკუთარი ხალხის სასარგებლოდ გამოყენებას და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. ამერიკის შეერთებული შტატების ძლევამოსილება კი სწორედ სხვა ქვეყნების რესურსების საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენებაზე დგას.

ალბათ, იცით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე საშუალოდ ათჯერ მეტს მოიხმარს, ვიდრე პლანეტის საშუალო სტატისტიკური მომხმარებელი ევროპის ჩათვლით. პლანეტის რესურსები კი შეზღუდულია და კარგი ცხოვრებისთვის ყველას არ ეყოფა. თუ ახლო აღმოსავლეთის, აფრიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მჭიდროდ დასახლებული ქვეყნები განვითარდებიან, ანუ თავიანთ რესურსებს საკუთარი ხალხის ინტერესებისთვის გამოიყენებენ, დასავლეთი იძულებული შეიქნება, შეამციროს მოხმარება. სწორედ ამიტომ ამერიკა დაინტერესებულია, შეაფერხოს რაც შეიძლება მეტი სახელმწიფოსა და ხალხის განვითარება, თუნდაც ამისთვის საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დარღვევა და ამ ქვეყნების, ხალხების უმოწყალოდ დაბომბვა გახდეს საჭირო. დღეს ამ შავბნელ საქმეში ამერიკელების მთავარი მოკავშირეები რადიკალი ისლამისტები არიან — ე.წ. ისლამური სახელმწიფო, რომელიც არ აღიარებს არც ერებს, არც საზღვრებს, არც სუვერენიტეტსა და არც განვითარების აუცილებლობას. ამერიკელებისა და ამ ისლამისტების ერთობლივი მოღვაწეობის შედეგად ჩვენ თვალწინ დაინგრა და შუა საუკუნეებში იქნა მოსროლილი აყვავების გზაზე შემდგარი ისეთი სახელმწიფოები, როგორებიც იყვნენ ერაყი, ლიბია, სირია, იემენი. მიზანი მიღწეულია — ვეებერთელა ტერიტორიები ქაოსში, ანარქიასა და სისხლისღვრაში ჩაიძირა და უახლოესი ასი წლის განმავლობაში იქ განვითარებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. პარალელურად მიღწეულია შეერთებული შტატების კიდევ ერთი მიზანი — ევროპის დასუსტება, რომელიც იძულებულია, მილიონობით დევნილის უმწვავესი პრობლემა მოაგვაროს.

— დავიჯეროთ, ევროპელ ლიდერებს არ ესმით, რა საფრთხის მომტანია ამერიკის ასეთი პოლიტიკა ევროპისთვის? ხომ ცხადია, რომ ამ ყველაფრის შედეგად ევროპული ქრისტიანული ცივილიზაციის არსებობაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება?

— ევროპული ლიდერების დიდი უმრავლესობა მარიონეტია, რომლებიც ამერიკელებზე უამრავი ვალდებულებით არიან დამოკიდებულნი და მათთან ისეთივე ურთიერთობა აქვთ, როგორიც ყურმოჭრილ მონას — ბატონთან. ევროპაში არც ერთი სუვერენული სახელმწიფო არ არსებობს. მნიშვნელოვან ევროპულ ქვეყნებში განთავსებულია ათეულობით ამერიკული სამხედრო ბაზა და ეს ქვეყნები, პრაქტიკულად, ოკუპირებული ქვეყნებია. უფრო მეტიც, ყველა ძირითადი ევროპული მედიასაშუალება ადამიანების ერთი ჯგუფის ხელშია, რომლებიც ევროპას კარნახობენ ამერიკის საინფორმაციო პოლიტიკას. ევროპაში, პრაქტიკულად, არ არსებობს თავისუფალი პრესა. სხვათა შორის, საქართველოში, პრესის თავისუფლების თვალსაზრისით, გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში. თუმცა, იმით, რომ ამერიკელებმა მოახერხეს ევროპაში დევნილთა კოლოსალური ნაკადის შედინების პროვოცირება და ითხოვენ მათი უფლებებისა და თავისუფლების განუხრელ დაცვას, ამერიკას, ჩემი აზრით, მეტისმეტი მოუვიდა.

— რას გულისხმობთ?

— აქამდე ევროპის ხალხები წინააღმდეგობის გარეშე ასრულებდნენ ამერიკელთა მოთხოვნებს ეროვნული საზღვრების, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ვალუტის, ქრისტიანული ფასეულობების პრიორიტეტის გაუქმებისა და ერთნაირსქესიანთა ქორწინებების დაკანონების თაობაზე, მაგრამ ეროვნულ იდენტობაზე სრულად უარის სათქმელად ისინი მზად არ არიან. ამიტომაც ბოლო ხანს ევროპაში შეინიშნება ნაციონალისტური განწყობების, ანტიამერიკანიზმის, ევროკავშირისადმი სკეპტიციზმის მკვეთრი მატება. ვფიქრობ, ევროპელი პოლიტიკოსების მომდევნო თაობა ამომრჩევლის სიმპათიის მოსაპოვებლად იძულებული იქნება, მკვეთრი ანტიამერიკული ლოზუნგებითა და საკუთარი სახელმწიფოებრიობისა და სრულფასოვანი სუვერენიტეტის აღდგენის მოწოდებით გამოვიდეს. ევროკავშირი, როგორც ზესახელმწიფოებრივი გაერთიანება, უბრალოდ, მოკვდება. ამასთანავე, არსებობს საფრთხე, რომ ევროპელები არ დასჯერდებიან მარტოოდენ **“რბილ ნაციონალიზმს”** და ევროპაში რაღაც ახალი ფორმით აღორძინდება ფაშიზმი.

— ბატონო ალექსანდრე, ბოლო წლებში რუსეთი უფრო და უფრო აქტიურობს საერთაშორისო არენაზე. როგორია მისი ადგილი თანამედროვე მსოფლიოში?

— რუსეთი მთლიანად გათავისუფლდა ამერიკული დიქტატისგან და სუვერენულ სახელმწიფოდ იქცა. დღეს მსოფლიოში არის სულ ოთხი მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი. ამასთანავე, რუსეთმა გადადგა ნაბიჯები, რომლებიც, ამ ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში, მას მსოფლიოს განვითარების ალტერნატიული მოდელის მქონე ზესახელმწიფოდ აქცევს. ამ ნაბიჯებს უნდა მივაკუთვნოთ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისა და ერთნაირსქესიანთა ქორწინების აკრძალვა, მართლმადიდებელი ეკლესიის, მართლმადიდებლური სულიერი ღირებულებების განუხრელი მხარდაჭერა და აგრესიული ისლამისტებისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა. სირიის, როგორც ეროვნული სახელმწიფოს, დაცვა ასევე მკაფიო სიგნალია სხვა, მათ შორის, მუსლიმანური სახელმწიფოებისთვის, რომ რუსეთისთვის მიუღებელია გარე ძალების ზემოქმედების შედეგად მათი სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვა. ყველა ეს ნაბიჯი საფუძველშივე ეწინააღმდეგება ამერიკის პოლიტიკას მსოფლიოში და გლობალიზაციის ამერიკულ პროექტს, რომელიც გულისხმობს ერებისა და კულტურების უნიფიცირებას, ტრადიციული, ეროვნული და რელიგიური ფასეულობების უარყოფას, ხალხების უეროვნო, უსქესო, უზნეო ბიოლოგიურ მასად გადაქცევას. თუ რუსეთის პოლიტიკაში ეს ალტერნატიული ტენდენცია განვითარდება და გაფორმდება, როგორც ახალი მსოფლიო პროექტი, მაშინ რუსეთი მოიპოვებს ლიდერობას იმ მსოფლიო ძალებში, რომლებიც განუხრელად იცავენ სხვა ერების სუვერენულ არსებობასა და განვითარებას!!!

— თქვენ ერთადერთი ქართველი ხართ, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა ორი უმაღლესი ორდენით დააჯილდოვა. ამ იდეების გამო ხომ არა?

— შესაძლოა... თუმცა ბრძანებულებებში წერია, რომ ორდენები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მომცეს. სამწუხაროდ, არანაირი მნიშვნელოვანი წვლილი ამ ურთიერთობაში არ შემიტანია, რადგან საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას ეს არ სჭირდებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს არ სჭირდებოდათ ამერიკელებსა და თურქებს.

— ბატონო ალექსანდრე, თუკი რუსეთთან კონფლიქტის ფონზე თურქეთი გააქტიურებს თავის ექსპანსიას კავკასიის მიმართულებით, საქართველო კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ჩვენ, ფაქტობრივად, ისედაც ვართ მუსლიმანურ ალყაში... რუსები ბომბავენ ისლამისტებს სირიაში, რის გამოც ისლამისტები იძულებულნი იქნებიან, გაიქცნენ და ახალი პლაცდარმი ეძებონ. საქართველო კი ახლოსაა — აქვე, გვერდით და თინა ხიდაშელის ჯარი მათ ვერ შეაჩერებს. მოვლენათა ამგვარი განვითარების შემთხვევაში შეიძლება თუ არა, რუსეთის დახმარების იმედი გვქონდეს?

— რთული შეკითხვაა... ასეთი ვითარებისთვის წინასწარ მომზადებაა საჭირო — კონტაქტების დამყარება, ვარიანტების გათვლა. ვინ შეიძლება ეს გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებაში? ჩვენი უბედურება ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის და ყველაფერში აგვიანებდა — გამოდიოდა **“ინიციატივებითა”** და **“წინადადებებით”** მაშინ, როდესაც ეს უკვე აღარავის სჭირდებოდა. ასე იყო აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის მიმართ, ასე მოხდა ეკონომიკაშიც და ანალოგიური რამ გრძელდება დღესაც.

ხელისუფლებაში არ იყვნენ და არც არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, ორი-სამი სვლა წინასწარ გათვალონ. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, იმედი ვიქონიოთ, რომ ვითარება ასეთი კატასტროფული სცენარით არ განვითარდება, მაგრამ, თუკი მართლა ასე მოხდა (არადა, ეს რეალური სცენარია!), რუსეთის გარდა ჩვენი დამცველი სხვა არავინ იქნება! ასეთია ისტორიული, გეოპოლიტიკური რეალობა და საღად მოაზროვნე ადამიანებს ეს მშვენივრად ესმით.

ესაუბრა ᲓᲘᲗᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ

გაზ. “ასავალ-დასავალი” №50 (1102), 2015 წლის 14-20 დეკემბერი

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ – ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ

“ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ” ᲤᲐᲑᲣᲚᲐ

რუსთაველის პოემის მხატვრულ-ლიტერატურული კომპოზიცია და მისი გაშლილი ფორმა ამას იქეთ ზღვარს სდებს ყოველგვარ იმიტაციას. მართალია, რუსთაველი სარგებლობს **“ვისრამიანის”** იდეებით და სახელებით, მაგრამ როგორც **“ბარამიანის”,** ისე **“ვისრამიანის”** ფაბულას, ლიტერატურულ ხერხებს და თქმებს რუსთაველი ასხვაფერებს დიდი მხატვრული გამოსახვით და თამამი ესთეტიკური მეთოდებით. **“ბარამიანის”, “ამირანდარეჯანიანისა”** და **“ვისრამიანის”** ფაბულა ერთგვარად აპატარავებს ადამიანის ესთეტიკურ-ზნეობრივ გამოხედვას. **“ვეფხისტყაოსანში”** ადამიანი გამოიყურება მთელი თავისი ნაკლოვანებებითა და ესთეტიკურ-ზნეობრივი სიმშვენიერით, როგორც თავისი წუთისოფლური ყოფის ორგანიზატორი და ქვეყნად სიყვარულისა და მეგობრობის იდეების შემომტანი.

ონანა ქობულაშვილის მიერ გალექსილი და **“ნათარგმანები” “ბარამიანი”** აღმოსავლეთში, კერძოდ, სპარსეთში უძველესი დროიდან მოარული ამბავი იყო. **“ვისრამიანიც”** და **“ამირანდარეჯანიანიც”** ვარიანტებია იმ ეპოსისა, რომელიც ახასიათებს ნატურალური მეურნეობის ცივილიზაციას აღმოსავლეთში. **“ბარამიანი”, “ამირანდარეჯანიანი”** და **“ვისრამიანი”** ესთეტიკური განსახიერებაა იმ სოციალური ფსიქოლოგიისა, რომელიც შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში თავისებური ისტორიულ-გეოგრაფიული პირობების გავლენით არაბულ-სპარსული და ინდოჩინურ ცივილიზაციათა შენაკადებიდან. ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას, ბუნების ექსპლოატაციის ფორმებს, ხალხთა ისტორიულ-კულტურულ მოძრაობას, ომების შედეგად მოსდევს სოციალური ეპოსის ვითარება თავისი რომანტიკული თქმულებებით და ესთეტიკურ-ფანტასტიკური წარმოსახვებით. **“შაჰ-ნამე”, “ყისაი-ჰამსა”, “ამირანდარეჯანიანი”, “ვისრამიანი”, “როსტომიანი”, “ბეჟანიანი”** აღმოსავლეთის ხალხებში მოარული სოციალური ეპოსის გამომსახველი თქმულებებია. ამ თქმულებებში ჩაქსოვილია ისტორიულ-სოციალური განცდები ირანისა, ინდოჩინეთისა და არაბპალესტინის ხალხთა, არაბული აზროვნება და მორალი ზოროასტრიზმისა, მიტრას მოძღვრებანი, ქრისტიანული ლეგენდები და სიმბოლურ-პოეტური სახეები, ალექსანდრიის ბიბლიოთეკიდან გადმოტანილი კომპილაციები ბერძნული ტექსტებისა, ინდოჩინური მათემატიკა და ფილოსოფია იდეოლოგიურად ერთმანეთს შექსოვილი და შედუღებულია. თითოეული თქმულება შეიცავს ბრძოლის სიმბოლოს და ცხოვრების ფილოსოფიას. ღრმა დაკვირვება, დიდი ცოდნა, ღრმააზროვანი თქმა შედეგია დიდი ისტორიული და სოციალური კულტურისა, რომელიც წინ უძღვის ყოველი ერის იდეოლოგიას, ლიტერატურას, ფილოსოფიასა და ესთეტიკურ მსოფლშეგრძნებას. **“შაჰ-ნამე”** ან **“ბარამიანი”** თავისი კომპოზიციით იმდენადაა გასაგები, რამდენადაც წარმოსახულია ჩვენს გონებრივ ჰორიზონტში აღმოსავლეთის კულტურის ორგანიზაციის ფორმები, მეფეების, არისტოკრატებისა და რაინდების ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება, მატერიალური კულტურა. აღმოსავლეთში, როგორც ყოველგან, ერთი ერი ითვისებდა მეორე ერის ლიტერატურულ-ესთეტიკურ კულტურას იმდენად, რამდენადაც ემსგავსებოდა ერთმანეთს სოციალურ-სახელმწიფოებრივი და ეკონომიკურ-ისტორიული ორგანიზაციების წყობაში. აღმოსავლეთის რაინდული ლიტერატურა, ფირდოუსის **“შაჰ-ნამე”,** სულთან მაჰმუდის ესთეტიკური ანტურაჟი ისეთივე დამოკიდებულებაშია თამარის ეპოქასთან საქართველოში, როგორც ლუი მეთოთხმეტეს სასახლის სტილი, ლიტერატურული და ესთეტიკური კულტურა ეკატერინე მეორის ეპოქასთან რუსეთში. ქართული ფეოდალური არისტოკრატია იმდენად იღებდა ფსიქოლოგიურად ირანისა და, საერთოდ, აღმოსავლეთის ცხოვრების ფორმას, მეტყველების სტილს, ესთეტიკურ სახეებს, რამდენადაც ამას კარნახობდა იმდროინდელი ქართული კულტურის სოციალურ-ეკონომიკური პირობები.

ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ “ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲨᲘ”

რუსთაველის პოემაში გმირები მოქმედებენ გარკვეულ პირობებში: თავიანთი ფიზიკური და სულიერი თვისებებით ისინი წარმოადგენენ რუსთაველის ეპოქის გაბატონებულ წოდებებსა და კლასებს. მთელი პოემის შინაარსი გაშლილია ფეოდალიზმისა და ვაჭრული ურთიერთობის ზღუდეებში: მოქმედი პირები არიან ან დიდი მეფეები და ფეოდალები, ან ვაჭრები. მოქმედებათა გეოგრაფიული გარემო არაბეთით, ხვარაზმეთით, მულღაზანზარით წარმოადგენს არა მარტო ველურ ტყეებსა და ველებს, არამედ მშვენიერ კულტურულ ადგილებს – ქალაქებს. ვაჭრებს, მათ კულტურას და ოჯახურ-სოციალურ თვისებებს პოემაში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია, მაგრამ მთავარი გმირები მაინც მეფეები და ფეოდალები არიან, თავიანთი ოჯახებით და მდიდარი სასახლეებით. მეფეები რუსთაველის პოემაში ტირანები კი არ არიან, არამედ კულტურული და ბრძენი მმართველები. როსტევან მეფე ბრძენია და ძლიერი, აქვს დიდი ქონება, ის ბედნიერია, თუმცა სიბერე სჭირს და ვაჟიშვილი არ ჰყავს. ავთანდილი დიდი ფეოდალია, რომელსაც ფეოდი არა აქვს მითითებული, მაგრამ აქვს საქონელი ურიცხვი. ფრიდონიც და მელიქ-სურხავიც მდიდარი მეფეები არიან. სიმდიდრესთან ერთად მათ აქვთ დიდი კულტურა, ზღვათა სამეფო **“თვისა ათისა სავლითა”,** ქალაქი გულანშარო **“სავსე ტურფითა მრავლითა”** სავაჭრო ქალაქია, აქ გაშლილია აღებ-მიცემობა და ადამიანთა ღირსება გაიზომება ნივთიერი და ფულადი სიმდიდრით. პირველ კაცად ქალაქში ითვლება ვაჭართუხუცესი უსენი. იგი ფლიდი, ანგარებიანი და მახინჯია. ინტერესით სავსე სოციალურ-ეკონომიკური ფსიქოლოგიაა მოცემული ფატმანის პიროვნებასა და ოჯახში. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია მეფისა და ვაჭრების ურთიერთობა. ვაჭრები გავლენიანი პირები არიან, ისინი თავიანთი ცოლებით დადიან მეფის სასახლეში. უსენი და მისი ცოლი ფატმან ხათუნი, ხშირი სტუმარია მეფის. მეფე მათ კარგად იცნობს. ფატმანი საჩინო პიროვნებაა, ნავროზობის დღეს იგი წინ უძღვის ვაჭრის ცოლებს და მიდის მეფის სასახლეში, ულოცავს მას დღეობას. დიდ ვაჭრებს ვალად ჰქონდათ **“დარბაზს მიღება ძღვენისა”,** და შემდეგ სასახლეში იწყებოდა **“ხმა წინწილისა, ებნისა”,** ხოლო **“მოედანს მღერა, ბურთობა, დგრიალი ცხენთა დგენისა”** (1118). ნავროზობის დღეს ქალაქში მხოლოდ ზეიმია. არც არავინ მიდის სამგზავროდ, არც ვაჭრობაა. ყველა იწყებს **“კაზმასა, ლამაზობასა”.** მეფეს აქვს **“პურობა-დარბაზობა”.** აქ მშვენივრად არის დახასიათებული მეფისა და ვაჭრების ურთიერთობა. აღმოსავლეთის კულტურისათვის სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა და დიდი ფეოდალების ასეთი ურთიერთობა ბუნებრივია. საქართველოში ანალოგიურ მდგომარეობას უთუოდ ჰქონდა ადგილი. აკი მეფე ბაგრატი ამბობს: **“ვაჭარი ჭკვიანი კაცი იქნებისო”.** ვინ იცის იქნებ ფატმან ხათუნის სახით რუსთაველს ზანქან ზორაბაბელის ოჯახიც ჰყავდეს გამოყვანილი. ადგილი ჰქონდა ვაჭრების გავლენას თამარ მეფის პოლიტიკაზე და, ცხადია, რუსთაველი ამას უყურადღებოდ ვერ დატოვებდა. ზანქან ზორაბაბელი საინტერესო პიროვნება იყო. იგი სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელია საქართველოში, მას დიდი ეკონომიკური და სოციალური შესაძლებლობები ჰქონდა; მისი ოჯახური და საზოგადოებრივი გავლენა დიდი იყო და, ცხადია, **“ვეფხისტყაოსნის”** ავტორი დაინახავდა საყურადღებო მოვლენებს სოციალური ფსიქოლოგიისას, გამომდინარეს სავაჭრო კაპიტალის ბუნებიდან. ჩვენ არ ვიცით, საქართველოს რომელი პროვინციიდან იყო ზანქან ზორაბაბელი, მაგრამ, რომ შავი ზღვის სანაპიროზე დიდი ვაჭრების მოსახლეობა იქნებოდა, ეს **“ვეფხისტყაოსნიდანაც”** ჩანს.

ფატმანი გადის **“საღამოსა ჟამსა” “ბაღსა შიგან”,** მას მოჰყვებიან მომღერალნი, **“იტყოდიან ტკბილსა ხმასა”,** ფატმანი თვითონ მღერის და **“ყმაწვილობს”.** ბაღში მშვენიერი სახლებია **“ნატიფად გებულნი, მაღალნი, ყოვლგნით მხედველნი, ზღვას ზედა წაკიდებულნი”** (1122). ფატმანი ქეიფობს ვაჭართა ცოლებთან ერთად. ქეიფის შემდეგ იგი რჩება მარტო. მას მოწყენა დაეტყობა: **“მარტო დავრჩი, სევდა რამე შემომექცა გულსა მურად”** (1123). ფატმანი აღებს სარკმელს, რომ შეხედოს ზღვას: **“ვიხედვიდი, ვიქარვებდი კაეშნისა ჩემგან ზრდასა”** (1124). საუცხოოდ არის აქ მოცემული ვაჭრის ოჯახური ცხოვრება, თავისი ქეიფით, დროს ტარებით, ფატმანის მიერ უცხო მოყმის გაცნობა, შემდეგ მისი გატაცება და რომანი არა მარტო ავთანდილთან, არამედ იმასთანაც, ვინც ავთანდილმა გამოასალმა წუთისოფელს (ჭაშნაგირთან). ფატმანის მიჯნურობა განსახიერებაა პოეტის მიერ პოემის დასაწყისში დაგმობილ სიძვისა, უგულო სიყვარულისა. ფატმანმა ჭაშნაგირი არათუ დათმო, არამედ სასიკვდილოთაც გაიმეტა. რუსთაველი თავის მხატვრული შემეცნებით ღრმად იხედება სოციალური ცხოვრების ხვეულებში და ხედავს, რომ ფეოდალური კულტურის გვერდით, ისტორია ქმნის ვაჭართა კულტურის თავისებური ცხოვრების სტილით და ესთეტიკური განცდებით.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲙᲐᲞᲐᲜᲔᲚᲘ

(გაგრძელება იქნება)

“ᲐᲠ ᲒᲐᲑᲔᲓᲝᲗ, ᲑᲘᲭᲔᲑᲝ, ᲘᲡ ᲮᲝᲛ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘᲐ...” – ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲑᲔᲑᲘᲐᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝᲗ!

“ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ” – ამ სათაურით აქვეყნებს კულტურის ყოფილი მინისტრი, მწერალი გურამ ოდიშარია სოციალურ ქსელში საკმაოდ გრძელ პოსტს, რომელშიც სტუდენტობის დროს გადახდენილ ემოციურ ამბავს იხსენებს და ქართველებს ერთმანეთის სიძულვილისგან თავის შეკავებას ურჩევს.

“ᲡᲘᲫᲣᲚᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ”

ერთხელ, სტუდენტობისას, მე და ჩემმა ბავშვობის აფხაზმა მეგობარმა სოხუმიდან ერთ-ერთ აფხაზურ სოფელში მის ბებიას ჩავაკითხეთ. როდესაც ეზოში ვსეირნობდით, გველს გადავეყარეთ. მისი მოკვლა გადავწყვიტეთ და ქვებს დავუწყეთ ძებნა. ამ დროს სამზადიდან მეგობრის ბებია გამოვარდა – არ გაბედოთ, ბიჭებო, ის ხომ სტუმარია, სტუმარს კი ასე არ ეპყრობიანო.

ბებია გველს მიუახლოვდა და აფხაზურად დაიწყო ლოცვა. გველმა თითქოს მისი სიტყვები შეისმინაო (დღესაც დარწმუნებული ვარ, მართლაც შეისმინა), სრიალ-სრიალით დატოვა ეზო. ბებიამ **„სტუმარი“** ლოცვა-ლოცვით ღობემდე მიაცილა.

ამ მოგონებას მთელი ცხოვრება ავგაროზივით დავატარებ. მეგობრის ბებიამ იმ დღეს მასწავლა, რომ ყველაზე მეტად ვინც შეიძლება გძულდეს, ისიც კი ღმერთის წყალობაა!

მას შემდეგ დამჩემდა – როცა რთულ სიტუაციაში ვხვდები, მეგობრის ბებიას ლოცვას ვიხსენებ. თან თავს ვეუბნები – თუ მაინცდამაინც გძლია სიძულვილმა, რაც შეიძლება ხანმოკლე უნდა გახადო მრისხანება...

ამას შენი თავის გადასარჩენადაც უნდა ეცადო, ეცადო – შინაგანი მრისხანების ცუნამი მოკლე დროში სიყვარულით ჩაანაცვლო. და თუ ამას ვერა და ვერ ახერხებ, და არ შეგიძლია სიყვარული, პატივისცემით მაინც უნდა ჩაანაცვლო (სიყვარულს ხომ მაინც სულის სხვა სიმაღლე და სხვა ღირსება სჭირდება).

ვაცლავ ჰაველი თავის ერთ-ერთ წერილში ინდიელთა მითს იხსენებს – არსებობდა ორთავა ფრინველი, რომელთა თავებმა ერთმანეთი შეიძულეს და ერთმანეთის ჯიბრზე ქვების ყლაპვა დაიწყეს. ფრინველს ორი თავი კი ება, მაგრამ სტომაქი ჰქონდა ერთი და მისმა კუჭმა მოძულე თავების მიერ გადაყლაპული ქვები ვერ მოინელა. ფრინველი დაიღუპა.

“ᲐᲠ ᲒᲐᲑᲔᲓᲝᲗ, ᲑᲘᲭᲔᲑᲝ, ᲘᲡ ᲮᲝᲛ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘᲐ...” – ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲑᲔᲑᲘᲐᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝᲗ!

რა გამოდის? სიძულვილი – თვითმკვლელობაა!!!

ვინც სისტემატურად ეცნობა ჩვენს მასმედიას (ბოლო წლებში ამ საქმეში და ამ განხრით **Facebook**-იც ჩაერთო), დამეთანხმება, რომ საქართველოში არ კლებულობს სიძულვილით სავსე წერილების, პოსტების, გზავნილების... რაოდენობა. არ ვინდობთ ერთმანეთს, არც ჭორებსა და ყურმოკრულ ამბებს ვერიდებით, არც ცილისწამებას, არც სასტიკ ცინიზმს... არადა, მთელი ქვეყანა უსმენს, კითხულობს მოძულეთა სიტყვებს.

ბოროტი ენერგიის შტურმმა ბევრს შეუმოკლა სიცოცხლე.

ავი წერილების თხზვა სიტყვით მკვლელობის ერთ-ერთი სახეა. სიტყვით მკვლელს კი, სამწუხაროდ, არავინ სჯის.

ისე, ძალიან უბედურია მოძულე კაცი. ვაცლავ ჰაველი წერდა – ასეთ ადამიანს წესიერად გაღიმებაც კი არ შეუძლიაო.

იმიტომ, რომ სიძულვილი სიყვარულზე პოპულარულია თავისი მარტივი, პრიმიტიული ენის წყალობით.

იმიტომ რომ, სიძულვილი ცდილობს, გენეტიკურ მახსოვრობაში დაიდოს ბინა და მემკვიდრეობით გადაეცეს თაობიდან თაობას.

იმიტომ რომ, ზოგიერთი ლამობს, სიძულვილი თვითდამკვიდრებაში დაიხმარიოს...

სიძულვილი ანამცეცებს ეროვნულ ენერგიას და ის ძალა. რომელიც ქვეყნის აღმშენებლობაში უნდა იხარჯებოდეს, ურთიერთდაპირისპირებაში ქრება.

არა და არ მთავრდება დროდადრო სისასტიკეში გადასული სიძულვილის ესკალაცია.

არა და არ მთავრდება დრო ქვათა სროლისა...

ხანდახან მეც დამესხმება ხოლმე თავს დაუმსახურებელი სიძულვილი; რა თქმა უნდა, თქვენც, რომლებიც ამ სტრიქონებს კითხულობთ ახლა.

და რა ვქნათ? სიძულვილს სიძულვილით ვუპასუხოთ?

არავითარ შემთხვევაში! თუ ასე მოხდა, ეს იმას ნიშნავს, რომ სიძულვილმა დაგვამარცხა!...

მე ჩემი ავგაროზი მუდამ თან დამაქვს – ფიქრში ხშირად მწვანე ბიბინა სოფელში ვარ და აფხაზი ბებიას ხმა ყურში მესმის – **“რას შვრებით, ბიჭებო, ის ხომ სტუმარია...”** გველი ბებიას ლოცვას ემორჩილება და ეზოს ტოვებს. ქვას ხელიდან ვაგდებ...

ასეა, ჩემი სიძულვილის ქვა იმ დღეს სამუდამოდ დავტოვე იმ სოფელში...

დაბოლოს – ერთი ომი მაინც უნდა გქონდეს გამოვლილი, ფსიქოლოგიური იმუნიტეტის ჯავშანჟილეტი რომ გიცავდეს ავი სიტყვების თავდასხმებისაგან.

მე ის ომი (თანაც რამდენიმე) გამოვიარე. სამწუხაროდ”.

ნაცკაცუნა

კაცი რაც უფრო ულიმდამოა და გაცრეცილი, თვალში ნაკლებად მოსახვედრი, მით უფრო ქვემძრომი მუზმუზელა, უფრო საშიში და სახიფათოა, ყველანაირად მოსარიდებელია. ასეთები, საკმაოდ მცდელები და პირადი ცხოვრების უჩუმრად მომგვარებელ-მომწყობნი: მკვეხარა და როხროხა, ფერხორციან-ტანადი კაცების მოულოდნელად მჯობნი და გამსწრენი ბრძანდებიან. თითქოს რომ გვგონია ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამენ, შეუმჩნევლად ამოქმედდებიან და ისეთ საქმეებს დაატრიალებენ, უზომოდ გაგვაკვირვებენ და პირებს დაგვაღებინებენ.

გარეგნობით ტანმორჩილნი და უსახურნი; ხასიათით წუნიანები, მხდალები და მშიშრები, გაუტანელნი, კაცთმოძულენი და ყველასათვის ავის მოსურნენი, წარმოუდგენლად ბოროტები... მოკლედ, კაცუნები არიან!

სწორედ ამგვარი კაცუნებით არის გამოტენილი საქართველოს დასანელებელ-გასაცამტვერებლად და ქართველობის გადასაჯიშებელ-გასაქრობად, ვინ იცის ვისგან მოფიქრებულ-შეკოწიწებული დანაშაულებრივი წარმონაქმნი – **“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”** და, ამიტომაც, ყველა მისი ე.წ. წევრი-ლიდერები, ახლადმოვლენილი და მახინჯი არსებანი – ნაცკაცუნები არიან!

...ექიმობა სდომებია და მხოლოდ მოგვიანებით აუსრულებია გულისწადილი. მანამდე მონტიორად, ზეინკლად და სხვა სპეციალობებით უმუშავია. მერე, რაღაცნაირად გასტუდენტებულა და **“ფსიქიატრი”** გამხდარა. სადმე თუ საქმიანობდა და ვინმე თუ **“განკურნა”**, ეს ნაკლებად საინტერესოა, რადგან თუკი ოდნავ მაინც რამე გაეგებოდა და რამეს შემძლე იყო, ოდნავ მაინც უნდა შეემსუბუქებინა მდგომარეობა უცხოეთის შვიდი ცნობილი კლინიკისგან რეაქციული ფსიქოზის დიაგნოზდასმული ბელადისათვის. თურმე, არაფერი ყოფილა და არაფერი შესძლებია ტანმოკლე-ჩმახს, ჩიასა და ყვიციანს, შემაწუხებელი მინავლებულ-მოკანკალე ხმით მოუბარს, გადამთიელი სააკაშვილის იაფფასიან სათამაშოს.

...ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავალ პერიოდში, თურმე შოთა მალაშხიას სულშიც **“უხუვლია”** მამულისა და ერისადმი სიყვარულისა და თავდადების გრძნობას! დიდად საეჭვოა და დამაფიქრებელი, მართლა საკუთარი სურვილით თუ სხვათა მითითებით ესწრებოდა, მოძრაობის თავკაცებისგან მაშინ გამართულ ჭეშმარიტ მამულიშვილთა მრავალრიცხოვან მიტინგებს.

ვაშინგტონსა და მოსკოვში დაგეგმილი სამხედრო გადატრიალების მოწყობის, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და კანონიერი მთავრობის ქვეყნიდან განდევნის შემდეგ, მთელ საქართველოში იმართებოდა მიტინგები. ქართველების ერთი ნაწილი მერაბ კოსტავას ეზოში იკრიბებოდა და პროტესტს გამოთქვამდნენ, სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენას მოითხოვდნენ. მაშინ, შოთა მალაშხია მდუმარედ იდგა თავშეყრილთა შორის და არავინ დაინტერესებულა მისით. ალბათ, ასე ჰქონდა წარმოდგენილი ნაბრძანებ-დავალებულს, **“დაღონებულ-დამწუხრებული”**, ნაკლებად ვინმეს არ მოსდებოდა თვალში; გამომსვლელებს დაჰკვირვებოდა, დაემახსოვრებინა მათგან ნათქვამი და სიტყვა-სიტყვით მოეყოლა დავალების მიმცემისათვის.

ეტყობა მოეწონათ შეფებს კნავილ-წკმუტუნით მოლაპარაკე შოთიკოს ენატანიობა, არაკაცური გულისამრევი ლიქნ-მლიქვნელობა და თავიანთთან სამსახური შესთავაზეს. რას არ დათანხმდებოდა მშიერ-დაბეჩავებული მოენე, ცოტათი მაინც სულის მოსათქმელსა და ხელის მოსანაცვლებელ სამსახურზე. და, ალბათ, აკეთა კიდეც გახალისებულ-იმედმიცემულმა, ერისა და ქვეყნის საზიანო საწყევარსაგინებელი საქმე.

სწორედ მაშინ, იმ შავ საქმეში ჩაბმულგართულს წამოეწია **“ვარდსურნელოვანი რევოლუცია”**. ჭუჭყიანი ფულის შოვნით თვალგახელილი და ფეხზე წამომდგარი, საქართველოს საბოლოოდ დასამხობად და ქართველების გასანადგურებლად მომხდურ ქურდბაცაცა ნაციონალ ბანდიტებს მიუჩოჩდა და მათთან ყოფნა-საქმიანობა ითხოვა. მიიღეს, რასაკვირველია, დავალება მისცეს და გამოსცადეს. ეტყობა მოსაწონად შეასრულა შოთიკომ საქმე ბინძური და საღალატო; ალბათ კიდევ რამდენჯერმე მოუწია ასეთი დაკვირვება-შემოწმების გავლა და გამოცდა. ბოლოს, გამყიდველმა და მოღალატე ნაცებმა წუნი აღარაფერში დასდეს და ატამანს დადებით, სანდო თანამოსაქმედ დაუხასიათეს. მოუწონა მიხეილმა ახალშეძენილ ხელის ბიჭსა და მონა-ყმას გამოცდის ჩაბარება და ნაციონალურ ბანდაში ჩაირიცხა.

ასე გაიმარჯვა და ხელმეორედ იშვა, ამჯერად ნაციონალად, შოთა მალაშხია. ქართველთმოძულე უსტაბაშმა შოთიკოსათამაშო, მალევე დაასაჩუქრა საკუთარი პარლამენტის დეპუტატობით და დიდად პასუხსაგები საქმეც ჩააბარა. წკნავილ-წიკვინა ხმით მოლაპარაკე რომელიღაცა კომიტეტის თავმჯდომარე ნაცკაცუნას, აფხაზეთის და სამაჩაბლოს **“დაბრუნების”** უმტკივნეულო საქმე **“უნდა მოეგვარებინა”**, სინამდვილეში, სეთურის მოყურადე დიაცისა არ იყოს, ენატანია და კუდიანი არსებასავით, შოთიკოს ყველაფერი აებურდ-დაეხლართა. ვითარება იმგვარად უნდა გაერთულებინა, რომ საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება, აუხდენელ ოცნებად და უტოპიად გადაექცია. მან ეს ჩინებულად შეუსრულა ბელადს და ალბათ, გვარიანადაც გაფულიანდა ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს.

ადრე ხელმოკლემ და უქონელმა, ცხოვრება შესამჩნევად გაიუმჯობესა, წელი მოიდგა, სახეზე ფერი დაიდო და **“დავაჭკაცდა”** – დანაცკაცუნდა. ადრე ბოგანოსა და ჯიბეცარიელს, მერე უკვე **“განაჩალნიკებულს”** და უცხოეთმოვლილს, ავტომობილი ემსახურებოდა; **“სახელმწიფოებრივ საკითხებთან”** დაკავშირებით, წიგნებიანი თაროების ფონზე, შეძლებისდაგვარად **“ხმაგაფოლადებული”** ესაუბრებოდა შინმიწვეულ **“კალმოსნებს”**.

დიდმა კონსტანტინემ, ძეს მისას ოდესღაც რომ **“ერთგულობდა”** შოთა მალაშხია, სწორედ მისნაირებზე ბრძანა: **“ადამიანი რაც უფრო უნიჭოა და გაიძვერა, მით უფრო უკეთ იკეთებს კარიერას”.**

დიახ, ასეა. შოთიკოც თანდათან ისე გაყვიზინდა, რომ **“კინოშნიკობაც”** კი მოისურვა და შთამომავლობას, კავკასიის თემატიკის მომცველი, **“უტყუარი მასალა-დოკუმენტების მიხედვით”** გადაღებული მრავალსერიიანი **“ქმნილება”** დაუტოვა. რასაკვირველია, ასეთი **“უნიკალური საგანძურის”** შექმნაზე ბლომად ფული **“დაიხარჯებოდა”** და **“შოთა-რეჟისორიც”** კარგა მოზრდილ ჰონორარსაც დაირტყამდა. გაბედრანგებული ქვეყნის მწირე ბიუჯეტით, ბაცაცა ნაციონალების ყველა ახირება-სიგიჟე ხომ უყოყმანოდ ფინანსდებოდა ნებისმიერი ოდენობის თანხით.

რაღა თქმა უნდა, ასეთი **“მრავალმხრივი უნარ-შესაძლებლობების”** მონა-ყმას, ქართველთმოძულე ბელადი ყველანაირად შეუწყობდა ხელს; გვერდიდან არ მოიცილებდა მისი დანაშაულებრივი და ბინძური საქმეების უერთგულესად და უმწიკვლოდ შემსრულებელს. ამიტომაც, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ჩაფლავების შემდეგ, უსიამო წკნავილით მოლაპარაკე შოთა მალაშხია განმეორებით წამოსვა პარლამენტში.

და, ზის ქუთაისის შუშის კუს ფორმიან აჩხა-ბაჩხა კონსტრუქციაში **“ნაჩალნიკობადაკარგული”** შოთიკო რიგით **“კანონმდებლად”** და დრო და დრო, გულის შემაღონებელი ხმით გააკვნესებული ეფანდურება თანაპარტიელი მოღალატე გამყიდველების გაუთავებელსა და უძალო ღრენა-ყმუილს; საკუთარ წილ სამსალას ურევს მათგან გადმონთხეულ-გადმოღვრილ ბალღამსა და შხამში. მაგრამ იმდენად ვეღარაფერს ხდებიან არამზადები; ძველებურად იმდენად ვეღარაფრით უსრულებენ ავსა და შავ ზრახვებს, სააკაშვილის მიერ ქართველობისგან მოპარული ფულით მოსყიდულ-მოქრთამულ წუწკ ევროამერიკელ მფარველებს. და ამიტომაც, შედარებით ნაკლებად იღებენ მათს მხარდაჭერასა და ქომაგობას.

თურმე საკუთარი პარტიაც გაუჩალიჩებია ნაცკაცუნა შოთიკოს, თანაც ქრისტიანული სახელწოდებაგარეული. ეტყობა, ხელისუფლებაში **“მობრუნებული”** ნაჩალნიკის ახალ **“პარლამენტში”**, დამოუკიდებელ სუბიექტად თუ სწადია ყოფნა საბრალოს. და, ალბათ, ამისი მომლოდინე, ქვეყნის დამაქცევარ თანაგუნდელებთან ერთად, ჩახმახშემართული თოფივით გახლავთ გამზადებული, ოდესიდან წამოსული დავალებებიდან მიღებული კუთვნილი წილის უსწრაფესად შესასრულებლად. მხოლოდ ეგ არის, რომ **“კვლავ აღზევების”** ოცნება-სურვილის **“აღსასრულებლად”**, მოულოდნელად, ერთობ სახიფათო და წინააღმდეგობრივმა ფაქტმა იჩინა თავი.

მართალია, კარგა მოგვიანებით, მაგრამ დიდად გასაკვირვად განძრეულ-შენახულმა საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ, უკრაინის **“გადასარჩენად მსხვერპლგაღებულ-გაუკრაუნებულ-გამოქალაქებული”** მიხეილ სააკაშვილისათვის, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობის ჩამორთმევა განიზრახა?!

ბუნებრივია, ამან ნაცების ბელადი და მისი თანამდგომი ჯოგის წევრები უმალ საპასუხო ზომების მისაღებად აამოქმედა. ეტყობა, საშიშროებაშეყრილმა ოდესის გუბერნატორმა, ყველა ხელქვეითს პერსონალური დავალება გაუმზადა და მათი ელვისებურად შესრულება შემოუთვალა. ჩანს, ნაცკაცუნა შოთიკოს, სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის საწინააღმდეგო კამპანიის დაწყება-წარმართვა ერგო. ქართველთმოძულე მიხეილს, თურმე არაფრად არ სურს აქაურობის მოქალაქეობის დათმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული კრახი ელის და შეუძლებელი ხდება, მრავალგზის გაპრეზიდენტებულისათვის მფარველების დახმარება, საქართველოსა და ქართველებისათვის მორიგი თავდასატეხი ვერაგული გეგმა-ჩანაფიქრის განცხადება.

...და, დატრიალდა დავალებამიღებული, უკვე **“პარტიული ბოსი”** შოთა მალაშხია, მკვირცხლად ამოქმედდა მანიაკი შეფის საამებლად. სააკაშვილის კუთვნილი **“რუსთავი 2”**-დან, ჩვეული კრუსუნ-წკნავილით მიმართა ნაციონალებისადმი ღრიანცელად მიდრეკილ პრეზიდენტს და სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეჩერება-ჩამორთმევისგან თავის შეკავება მოსთხოვა!!!

ვფიქრობთ, ნაცკაცუნა შოთიკო მალაშხიასგან ასეთნაირად **“ხელის გამოღება”** ბევრს არ გაუკვირდა, რადგან იგი ნამდვილად არაფერია, მანამდე მისთვის **“შესასრულებლად”** დაკისრებულ უმნიშვნელოვანეს მისიასთან – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს **“შემოერთებასთან”** შედარებით. ამიტომაც გაბედა და ახლახან ტელევიზიით გამოსვლისას, საქვეყნოდ მოითხოვა ქართველების ჯვარცმული სამშობლოს ასაოხრებელ-გასაქრობად მოვლენილი სააკაშვილის ხელშეუხებლობა და მისთვის საძულველი ქვეყნის მოქალაქეობის შენარჩუნება.

გასაკვირი კი მართლა ნამდვილად არაფერია, რადგან სამართლიანობის აღდგენით შეპირებული ნაციონალების დასჯის პირობა დღემდე შეუსრულებელია. არადა, დიდი ხანია, ციხეში უნდა ლპებოდნენ ნაციონალი **“კიტები”**, რომლებსაც, ბატონ ზაზა პაპუაშვილისგან ზედმიწევნით ნათქვამისა არ იყოს: **“ნაციონალებს თავპირი უნდა უმტვრიო დღე და რამე”. (“ახალი თაობა”**, 2015 წ. №170). ჰოდა, სწორედ ამის გამო გაიღო ხმა, ციხეში სამუდამოდ გამოსამწყვდევი ატამანის საბრალო მონა-ყმამ და ფეხის მტევანმა. ესეც არ იყოს, ალბათ ნაცებისა და მათი ბელადისგან ხელმოკლე-გაუბედურებული ქართველებისგან წაგლეჯილი ფულის გემოგაგებული უცხოელი მფარველებიც გაიხსენა, დამნაშავე ნაცებს ჯერ კიდევ რომ ქომაგობენ, ამხნევებენ და აიმედებენ ხელმეორედ **“გახელისუფლების”** უტოპიური არაკით. სწორედ ისეთით, არცთუ დიდი ხნის წინ რომ მოსწერა ოკეანისგაღმელმა სენატორმა მაკკეინმა თავის ფავორიტ ოდესის გუბერნატორს: **“მე ზომები მივიღე, შენ ბიჭებს ხელს არ ახლებენ, გამოძიება დაიხურება. ელჩი აქტიურად მუშაობს. ივანიშვილი დაპატიმრების საკითხს არ დააყენებს. თუ არა და ყველა მის ანგარიშს დავბლოკავთ. მალე სენატორთა ჯგუფთან ერთად ვაპირებ საქართველოში ჩასვლას”. (“ილორი”,** 2015 წ. №340).

არა გვგონია, ქვემძრომ შოთა მალაშხიას ბოლომდე სჯეროდეს ნაციონალებისა და მათი ცეტი თავკაცის კვლავ **“გახელისუფლებისა”**. მაგრამ, თავს ზემოთ ძალა არა აქვს სწორედ მათგან ფეხზე დამდგარსა და წელში გამართულს.

დიახ, სააკაშვილისა და თანაპარტიელების ეს ამაგი უწვავს ზურგს, ბუნებით მხდალსა და მშიშარა, დღესაც **“კანონმდებლად”** მყოფ შოთიკოს. თორემ, დიდი ხანია ისეთ ღრმა და ყრუ სოროში შეძვრებოდა, ვინძლო ვერავის მიეგნო შიისგან კიდევ უფრო დაჩიავებულისათვის. მაგრამ, ვერ გაბედა ამისი ქმნა ქვეშქვეშამ და მუზმუზელამ. ცხადად წარმოიდგინა მათგან **“ნაამაგების”** უპირობოდ დაკარგვა და ისევ ჩაყოლა ამჯობინა.

სწორედ ამან აიძულა ფსიქიატრიაში ხელმოცარული გაორებული სულის **“კანონმდებელი”** ნაცკაცუნა და ნაცებთან მიჩოჩებულ მარგველაშვილს, ზემოთხსენებული ტელემოწოდების შესრულება შეჰბედა. და, თუ ასეთნაირად არ გაირჯება არაკაცური, ნაციონალური მლიქვნელობით კარიერული იერარქიის ზედა საფეხურზე აბობღებული და ცხოვრებისეული პირობების მომგვარებელი, უმალ ძირს დაენარცხება, ყველაფრის ერთბაშად ხელიდან გავარდნილ-დამკარგველი.

კარგად იცის სააკაშვილის ლიქნ-ლაქუცში მოღლილმა შოთა მალაშხიამ მისი გაუგონარი შეუბრალებლობის, დაუნდობლობისა და სისასტიკის, ორშაურად გაყიდვისა და ხელის შეწმენდის შესახებ, ერთი ტალახიანი ღორისგან, სხვა ბევრის გასვრა-გაჭუჭყიანების ნათქვამის გამხსენებელმაც. მშვენივრად იცის, რომ მართალი სასამართლოს წინაშე წარმსდგარი ავაზაკი სააკაშვილი, სხვებთან ერთად მასაც აუცილებლად ჩაუშვებს და დამნაშავე ხელქვეით ნაცკაცუნებთან ერთად, იქ, გრძელ რიგად ჩამწკრივებული სკამებიდან, ერთი-ერთზე, შოთიკოს დაჯდომასაც მოითხოვს...

გელა ჯიღაური

კარგად იცის სააკაშვილის ლიქნ-ლაქუცში მოღლილმა შოთა მალაშხიამ მისი გაუგონარი შეუბრალებლობის, დაუნდობლობისა და სისასტიკის, ორშაურად გაყიდვისა და ხელის შეწმენდის შესახებ, ერთი ტალახიანი ღორისგან, სხვა ბევრის გასვრა-გაჭუჭყიანების ნათქვამის გამხსენებელმაც.

ედუარდ აიჰვალდის სამოგზაურო ჩანაწერებში დაცული ცნობები სამეგრელოს შესახებ

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

აბაშა სათავეს იღებს ასხის კირქვული მასივის სამხრეთ ნაწილში, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მისი სათავე-მდგენელებია ტობა და რაჩხისწყალი. მდინარის სიგრძე 66 კმ-ია და მარცხენა მხრიდან უერთდება ტეხურს, სოფ. ზანათის ტერიტორიაზე.

13 მაისს ნაოდალევიდან სალხინოს დადიანების საზაფხულო რეზიდენციისკენ გამგზავრებულმა აიჰვალდმა თავის მეგზურთან ერთად გაუარა აბაშის წყალვარდნილს და შეუდგა წიფლისა და კაკლის უღრან ტყეში არსებულ აღმართს. მოგზაური მიუთითებს ერთმანეთს ერთი კუთხით მიბჯენილ ორ მთას და წინანდელი მოსახლეობის მიერ კირქვიან კლდეებში გაყვანილი მაღაროს არსებობაზე. ხეობის სიღრმეში განმარტოებულად მდებარე მთის საკანის შესასვლელი კარით ყოფილა დაკეტილი. **„მასთან მისვლა მხოლოდ გაჭირვებით და არცთუ უსაფრთხოდ შეიძლებოდა,** – წერს აიჰვალდი; – **ბუნებამ მის შესაქმნელად გაცილებით მეტი იზრუნა, ხელოვნურად კი მხოლოდ შესასვლელი იყო ამოშენებული და გამოქვაბული ცოტა წესიერად გაფართოებული. მე ვერ შევიტყვე ვის უნდა ეცხოვრა მასში. მე მომიწია სულ მცირე ერთი ვერსის შეუჩერებლივ აცოცება კლდეზე, რათა იქამდე მიმეღწია. ამასთან მთა ისე ციცაბო იყო, რომ სიცხისაგან მთლად გამოსავათებული და გახურებული მივადექი გამოქვაბულს, მაგრამ ჩემი ცდა არ დამიფასდა“** (იქვე, 173-174). მოგზაურის მიერ მოცემული გამოქვაბულის გეოგრაფიული აღწერიდან ირკვევა, რომ ეს ადგილი მდებარეობდა მდ. აბაშის მარცხენა მხარეს და მდინარეზე არსებული წყალვარდნილის ჩრდილოეთით. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აქ იგულისხმება სოფელ პირველი ბალდის აღმოსავლეთით, 0,5 კმ-ზე, აბაშის მარცხენა მხარეს, მოთენას მთაზე, ეოცენური ასაკის შრეებრივ კირქვებში გამომუშავებული და მოთენასავე სახელით ცნობილი მღვიმე. მოთენას ჰორიზონტალური, ორსართულიანი, აღმავალი მღვიმის შესასვლელი ზ. დ. 570 მ, ხოლო აბაშის ხეობის ფსკერიდან 180-200 მ სიმაღლეზეა. შესასვლელში ამოყვანილი ქვითკირის კედლის სიმაღლე 8-9 მ-ს აღწევს, სიგანე კი – 7-8 მ-ს. კედელში ჩატანებული კარის სიმაღლეა 1,5 მ, ხოლო სიგანე – 0,7 მ. უფრო ზევით მრგვალი სარკმელია. კედლის ქვეშ არსებული სამკუთხედისებური თაღიდან მოზრდილი მდინარე გამოედინება. ქვითკირის კედელი და სათოფურები მიუთითებს, რომ ეს ადგილი ისტორიული დროის ნაგებობაა და გვიან შუა საუკუნეებში გამოიყენებოდა ციხესიმაგრედ. კედლის წინ 10 მ-ით წამოწეულ კლდეზე სუროს გრძელი გირლანდებია დაკიდებული. კედლის უკან მღვიმის სიმაღლე 15 მ-ს აღწევს, სიგანე – 10 მ-ს. კედლის შიდა მხარეზე არსებული მეომართა დასადგომი ბაქანი, როგორც ჩანს, ხის ძელებზე იყო დაყრდნობილი. მღვიმის გამოკვლეული ნაწილის სიგრძე კედლიდან ტბამდე 90-110 მ-ია (მარუაშვილი ლ., შუქი სიბნელეში, თბილისი, 1963, 89-91; მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე მარუაშვილი ლ., ოდიშის სპელეოლოგიური კვლევის შედეგები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი, ტ. XXVII, 1961, 591-592; ყიფიანი შ., ტატაშიძე ზ., ოქროჯანაშვილი ა., ჯიშკარიანი ვ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი. თბილისი, 1966; ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი. ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ახალი სერია 3 (82), თბილისი, 2009, 201-201).

მეოგალებიდან (ნაოდალენიდან) 15-იოდე ვერსზე აიჰვალდი ასახელებს მდ. **საჩურას** (საცხურას), რაც დადიანის საზაფხულო ბანაკს ჩაუდის გვერდით სოფელ სალხინოში. **„მასზე პირველად შემხვდა ხიდი; ის მეგრელთა უდარდელობისა თუ სიზარმაცის გამო გაკეთებული იყო ხის ტოტებისგან და შეკრული იყო წნელებით, ისე რომ მასზე მხოლოდ ფეხით შეიძლებოდა გასვლა, ისიც საკმაო საფრთხის ქვეშ; ცხენები კი ამავე დროს მდინარით გაჰყავდათ. ეს ხიდი იყო ძალზე ვიწრო და მაღალი, ისე რომ ზედ გასვლისას განუწყვეტლივ ქანაობდა“** – წერს მოგზაური (იქვე, 174). **საჩურა** იგივეა, რაც მდ. **წაჩხურა.** მოედინება ასხის კირქვული მასივის კარსტული ძაბრიდან, მიწისქვეშა ნაკადის სახით, ზ. დ. 320 მ სიმაღლიდან. უერთდება მდ. ტეხურს მარცხენა მხრიდან, სოფ. სალხინოს ტერიტორიაზე. მდინარის სიგრძე 12 კმ-ია. მდინარისთვის დამახასიათებელი წყალცივობა გახდა სახელდების საფუძველიც: **წაჩხურა** იგივეა, რაც **„ცივწყალა“** (კეკელია ი., მარტვილის რაიონის ოიკონიმია. ქუთაისი, 2010, 125-127; ხუხუა ო., სალხინო თუ წაჩხურუ? გაზ. **„შრომის დროშა“,** №86, 1980; ხუხუა ო., ტოპონიმების – **„სალხინოსა“** და **„წაჩხურუს“** წარმოშობის ისტორიისათვის. გეგეჭკორის სარაიონთაშორისო სამხარეთმცოდნეო მუზეუმის XXVI სამეცნიერო სესია (მასალები). თბილისი, 1981). მდინარის სახელწოდების ადგილობრივ ვარიანტებად დადასტურებულია აგრეთვე **ჭაჩხურა//ჭაჩხუÁა//წაჩხვია//წაჩხუÁა** (ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VI, მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი)., თბილისი, 2012, 656).

მცირე მანძილის გავლის შემდეგ აიჰვალდი მიადგა დადიანის საზაფხულო სადგომს **სალხინოში**. მოგზაური ფიქრობდა, რომ აქ ნახავდა სამეგრელოს მბრძანებლის მშვენიერ შენობებს, მაგრამ ტყიდან გასულს, მდინარის წინ, პატარა მოედანზე **„კაბიტკის“** მსგავსი რამდენიმე, მრგვალი, დაწნული ქოხის, ქვის ძველი ეკლესიისა და მის უკან მდგარი დადიანის მოძველებული და მორყეული სასახლის მეტი არაფერი შეუმჩნევია. **„თვით სახლი მთლად ხისაა და შემდგარია მაღალ ბოძებზე, რადგან საფუძველი არ აქვს. კიბით ავდივართ დახურულ აივანზე, რომლის გვერდებზეც შეინიშნება დასაჯდომები. შიგნით მოთავსებულია დადიანისა და მისი ოჯახის საცხოვრებელი ოთახები. თვით ოთახებში ვერსად ვნახე სკამები ან სხვა ავეჯი, მხოლოდ რამდენიმე მერხი იდგა კედლებთან. ოთახები, რომლებიც განკუთვნილია მოსამსახურეთათვის, საკმაოდ ჭუჭყიანი და ძალზე ღარიბული იყო“** (იქვე, 175).

სალხინო თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით სოფლების – წაჩხურუს, ვახას, ლეგულორდავეს, ლესხულუხეს, ლეცავესა და პატარა ჟინოთის ცენტრს წარმოადგენს. მარტვილს 15 კმ-ით არის დაშორებული და გაშლილია ტეხურისა და წაჩხურის ხეობებში, ვაკეზე, მთებსა და გორაკ-ბორცვებზე. გოგილო და დემურ ბასილაიები სოფლის სახელწოდების წარმოქმნას ამ ადგილის დადიანთა რეზიდენციად გადაქცევას უკავშირებენ და დაასკვნიან, რომ ტოპონიმის **„დამკვიდრება“** უნდა მომხდარიყო XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან (ბასილაია გ., ბასილაია დ., ჩვენი სალხინო, თბილისი, 2008, 20). არჩილ ბატონიშვილისა და გიორგი გეგელიას რჩევით ფიცრულის ნაცვლად ორსართულიანი ქვის სასახლის მშენებლობის დაწყება სალხინოში სამეგრელოს მთავარ ლევან V დადიანის (1804-1840 წწ., გარდაიცვალა 1846 წელს) სახელთანაა დაკავშირებული, რაც მის შვილიშვილს, პრინც სალომე მიურატს, დედამისის – ეკატერინე დედოფლის (ჭავჭავაძის) გარდაცვალების შემდეგ დაუსრულებია (XIX. ს 80-იან წლებში). მანამდე აქ სამეგრელოს მთავრებს ხის ოდა ედგათ. **„სასახლის მდებარეობა იმ ადგილს ახლო, საცა არის სამშობლო „ოჯალეშისა“ (სასახლიდამ ორ ვერსტზე) მდინარის წაჩხურის ნაპირად, რომელიც იყო და არის განთქმული შესანიშნავის წაჩხურის კალმახებით და თითონ პლანი სასახლისა, რომლის ქვედა-სართულის შუა-გულ ზალაში არის ჩატნეული უზარმაზარი ქვევრი, რომლის გარეშე შიგ ზალაში გაკეთებულია სალხინოდ განმზადებული მუხის სვეტებზე აყვანილი ფანჩატური ლამაზად მოქარგულის თაღით, სრულად ამართლებენ სასახლის წოდებას „სალხინოს“ და მოწმობენ, რომ ამგვარი სასახლის აშენების აზრი ამ ადგილზე, სწორედ უნდა მოსვლოდა ისეთს მთავარს, როგორიც იყო ლევან დადიანი, რომელსაც მთელი მისი სიცოცხლე ლხინში და სიმღერაში გაუტარებია“,** – წერდა მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია (მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი. მასალები და დოკუმენტები სოლ. ცაიშვილის რედაქციით. ტფილისი, 1939, 62).

სალხინოს XVIII ს-ის 80-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიებს ნიკო დადიანი: **„შემდგომად რამოდენისამე ხანისა სიყვარულისა დასამტკიცებლად მოვიდა მეფე სალხინოს დადიანისა თანა (იგულისხმება კაცია დადიანი – ი. კ.), მონათლა ასული დადიანისა მარიამ, და შემდგომად მრავლის ლხინისა და მრავლის საჩუქარისა მოვიდა მეფე კვალად ქუთაისს“** (დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბილისი, 1962, 180).

სალხინო მოხსენიებულია თეოფანე არქიმანდრიტის (გაბუნიას) მიერ 1852 წელს შედეგნილ დოკუმენტში: ჯვარის მაზრის ეკლესიებისა და საეკლესიო მსახურთა **„უწყებაში“** (კეკელია ი., მარტვილის რაიონის ოიკონიმია, 111-112).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით **სალხინო** ლხინისთვის განკუთვნილი, ლხინთან დაკავშირებული შენობა ან საგანგებოდ მოწყობილი ადგილია. **სალხინო//სარხინო** თავდაპირველად მდ. წაჩხურის მარცხენა ნაპირზე მდებარე მინდვრის სახელწოდება ყოფილა, რასაც ამჟამად **ოკათუეში** „თავშესაყარი“ ჰქვია. მეტონიმიის გზით მიკროტოპონიმი განივრცო სახელდებული ობიექტის უშუალოდ მომიჯნავე ობიექტზე, რაც დამახასიათებელია სამეგრელოს ტოპონიმიისათვის (კეკელია ი., მარტვილის რაიონის ოიკონიმია, 112; კეკელია ი., ბჟალავა დ., მარტვილის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი ოიკონიმის წარმომავლობისათვის. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, IV, თბილისი, 2010, 213). სალხინო ის ადგილია, სადაც იკრიბებოდნენ რელიგიური დღეობების აღნიშვნისა და გართობის, დროის გატარების მიზნით (კეკელია, მარტვილის რაიონის ოიკონიმია, 112).

იბორ კეკელია,
ისტორიის დოქტორი
(გაგრძელება იქნება)

პოეზიის კუთხე

ორი სათრეველა

რომლებიც დაბადა 666-ე პარტიისადმი ლევან ღვინჯილიას მიმართვამ და სულმნათისეულმა გაფრთხილებამ: პარტიები საქართველოს დაღუპავენო.

„ბირჩი“

„ლავეს“ და „ინჩეს“
ლევანი გირჩევთ,
დაირქვათ „გირჩა“,
შეეშვათ „გირჩებს“,
შეეშვათ, ყინჩად
ვინც ხელზე გიჩვევთ
და თავს სამშობლოს
გაყიდვით ირჩენს!

შეგონება „ბირჩიელს“

რამეთუ პირველი იყო სიტყვა და
სიტყვაი იგი იყო ღმერთი

დაანებე თავი გირჩებს
და ისწავლე ინჩი-ბინჩი.
ყური უგდე, რასაც გირჩევთ,
„გირჩაა“ და არა „გირჩი“,
თუმცა მაინც არ აგირჩევთ,
რაკი ერთხელ გადაგირჩით!

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ

სიკვდილს ვერვინ დაუდგება

იმ საზღვართან ვდგევარ და
მიყვარს ორთავ მხარე.
რინა იშენ მი ორსი დო
ღურათ, – მისით მარე.

ორივ უფლის გაჩენილი
არის არე-მარე.
რინა ღურუს მუთათ უჯგუ?
თენა თაში ვარე.

სიკვდილს ვერვინ დაუდგება,
სიცოცხლეა მწარე.
ღურა დღასი ვე უაფუ
ჩქინი რინაშ გალე.

ზუგდიდიშა მოკო ულა

ზუგდიდიშა მოკო ულა,
თისი ოკო ვუბირე...
თექი თიცალ მობირეფ რე –
მაფშალიაშ გუნდი რე.

ზუგდიდიში მაცალუა
დიო სოთინ ვაბძირი...
დიდო ბწანქ დო დიდო მიცორქ,
ჩქიმო ირო განძი რდი.

სქან მასქვამე კუნთხე სოთინ
ვაარსებენს, თაშ ფიფქრე,
მრელ ქიანა მოლებულ მაფს,
კუნთხე სოთინ ვადიპტე.

ზუგდიდის დო ზუგდიდარებს
ბრელი ხანდა უძირუ,
ნახანდებს დო ნალიმარებს
ჩქინ კუნთხეშო გურ უძუ.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲥᲝᲑᲐᲚᲘᲐ

რას წერს საქართველოს შესახებ რუსული პოპულარული საიტი

“ამ პატარა და საოცარ ქვეყანაში დროის ნებისმიერი მონაკვეთის გატარება სიამოვნებითაა შესაძლებელი”, – წერს პოპულარული რუსული ონლაინ ჟურნალი adme.ru საქართველოს შესახებ.

“საქართველოში ყველაფერია. სუბტროპიკებიდან რამდენიმე საათში მთის მწვერვალის თოვლიან ნაწილში მოხვდებით. ზღვის ნაპირის პალმებიდან მოკლე დროში სამთო სათხილამურო კურორტზე აღმოჩნდებით. კოლორიტულ და ამოუცნობ თბილისში მეექვსე საუკუნის ეკლესიები ძველ მყუდრო ქუჩებს ემეზობლება, სადაც ბარები და ღამის კლუბები დაგხვდებათ.

საქართველოში ყველა იპოვის მისთვის შესაფერის აქტივობას. მშვიდი დასვენების მოყვარულები ადგილობრივი სამზარეულოთი დატკბებიან, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. შეგიძლიათ ვიწრო ქუჩებზე ისეირნოთ და დაუსრულებლად ათვალიეროთ ღირშესანიშნაობები, აქ თითქმის ყოველ კუთხეში ისტორია იქმნებოდა. ცნობილი თბილისის გოგირდის აბანოები კი, რომელსაც თავად პუშკინი სტუმრობდა ხოლმე, ფრენას დაგაწყებინებთ. თუ აქტიურ დასვენებას გადაწყვეტთ, თქვენ გელით რაფტინგი, ალპინიზმი, ჯირითი, ან ლაშქრობა კავკასიურ მთებში”, – წერს ჟურნალი adme.ru და ფოტოგალერეასაც აქვეყნებს.

მომზადებულია adme.ru-ს მიხედვით.

კაცობრიობის პირველი ენა

კელტურად ქალაქს ბონი ერქვა, რაც აგრეთვე მეგრულში შეიძლება დავამკვიდროთ, ხოლო მომავალში სალიტერატურო მეგრულ ენას აიური ენა ეწოდოს. აიურში ქალი, დედაქალი წარმოითქმის როგორც დია. ამ აიური დიადან მომდინარეობს მეგრული დიდა, ქართული დედა, სვანური დინა, რუსული დევა, უკრაინულში დივჩინა, იტალიურში დონა, ფრანგულში დამა. დიადან მომდინარეობს ქალღმერთების, დალისა და დიანას, სახელები. აიური პატონიდან მოდის ქართული ბატონი, პატივი, პატივისცემა, უცხოური პატრე, პაპა, პატრონი (პატერონ), ხოლო თურქული ბაბა, აიური პაპას დიალექტია (სვან. ბაპ).

ურარტუს მეფის სახელი იყო რუსა, რომელიც იგივეა რაც რუშა, რაშა და ციურ მნათობს მზეს მიანიშნებს. რაშა, როშა, როსი და რუსი ერთმანეთიდან გამომდინარეობენ. ყველა ამ სიტყვის სიმბოლური დატვირთვა მზის შვილობაა (რა – მზე). ზოგიერთი აიური სიტყვები ბგერათა დისიმილაციის შემთხვევაში ასევე ახლოს დგას სლავურ ენებთან: ბჭობა – вече, მოვლენა – явление, ხორბალი – хлеб, ბეჭედი – печать, ოდრო – отро, утро, ძელი – тело, სუჯი, სჯა – судь, ტიბუ, თბილი – теплый, სეტი – совет, გარა (ტირილი) – горе, გოლა, გორა – гора და ა. შ.

ამ ნაშრომში გამოყენებული ბევრი მოსაზრება აიური ანისა და დამწერლობის შესახებ მოგვაწოდა ქ. სენაკში არსებულმა მცირე ერთა და ეთნოსთა დემოკრატიული განვითარების ინსტიტუტმა.

მეცნიერებაში არსებული აზრი თითქოსდა ინდოევროპულ და სემიტურ-ქამიტური ენები არ ენათესავებიან აიური ოჯახის ენებს მცდარი შეხედულებაა. ამის დასტურად იქნა მოყვანილი ზემოთმოყვანილი შედარებები და, საერთოდ, აიური ენა ნოეს პირდაპირ შთამომავლად შეიძლება ჩაითვალოს უმთავრესად სულიერი თვალსაზრისით. ამიტომ წინარე კოლხური, რომელიც ლაზარეს ენად მიმაჩნია, ეკუთვნის სემიტურ-ქამიტურ-იაფეტური ენების ერთობას. თუ შეიძლება ითქვას, არის ნოიტური ენა. მასში დევს გადარჩენის ის კოდი, რითაც ნოე და მისი ოჯახი გადარჩა წარღვნის დროს. ე. ი. ღვთიური მადლი მეტია. ასევე შუმერული გილგამეშის ეპოსის გმირი, წარღვნისას გადარჩენილი ეთნარქი იწოდება, როგორც უტნაპუს-ტი (იგივეა, რაც მეგრული უდინაფუშ-ტი, ქართულად ძე – დაუკარგავისა).

მეფე აიეტის დროს კაცობრიობამ ოქროს საწმისის სახით მიიღო უდიდესი (მრავალმხრივი) ცოდნა: სიბრძნისმეტყველება, დამწერლობა, არქიტექტურა, გაანგარიშება, კარტოგრაფია და ა. შ.

მეტყველებას დიდი როლი აქვს კულტურული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში. მეტყველებაში ხუთი ხმოვანი გამოვლინებაა ბუნებაში არსებული ოთხი სტიქიისა, რომლებიც ერთმანეთში ირევიან, რის გამოც წარმოიშობა თანხმოვნები. „ა“ ესადაგება წყლის სტიქიას, მდედრობითი ნიშნისაა. ასე მაგალითად, ცირაში, ვიოლეტაში, ვალენტინაში, ამერიკაში და ა.შ. ხმოვანი „ი“ მიწის სტიქიის განსახიერებაა, მდედრული სტიქია და მიწიერება ქალის სიმბოლოა. ძველ აიურად მიწის სახელწოდება გეა იგივე ხეა. როგორც მოგეხსენებათ, ხა შობას აღნიშნავს მეგრულად. მიწაც და ქალიც არიან მშობლები. ქალი ხნულს გავს, სადაც თესლს ჰყრიან. მამაკაცის ქალთან შეუღლება მამაკაცს აძლევს მდგრადობის (სიმყარეს). ხმოვანი „ე“ მიწის სტიქიის ცეცხლის სტიქიაში გარდამავალი რგოლის გარკვეული საფეხური იყო. ოქროს საწმისის მოპოვებით წყლის სტიქიის ინტუიცირებისა და მიწის სტიქიის მდგრადობითობის სიმბოლური გამომხატველი გაბრძნობა ხდებოდა. აიას სახელწოდებაც ამაზე მიგვითითებს. ეს დაახლოებით იქნებოდა მდინარე აბაშასა და ცხენისწყალს შორის. ისტორიული არექეოპოლისის ადგილას გადატანილ იქნა მტრებისაგან შევიწროებული მეფე აიეტის სატახტო ქალაქი, რომლის სახელწოდებაც იყო ეა (იგივე აია). რაც აღნიშნავს იმას, რომ აქ მიმდინარეობდა ნებელობითი ინიციაცია. ხმოვანი **„ე“** როგორც ცეცხლის სტიქიის გამომხატველი, გამოხატავდა ნებელობას. ხმოვანი **„ე“** მიწის სტიქიის ცეცხლის სტიქიაში გარდამავალი რგოლის გარკვეული საფეხური იყო. ოქროს საწმისის მოპოვებით, წყლის სტიქიის ინტუიციურობისა და მიწის სტიქიის მდგრადობითობის, სიმბოლური გამომხატველი გაბრძნობა ხდებოდა. აია სახელწოდებაც ამაზე მიგვითითებს. ხოლო შესაძლოა ო და უ-ც ჰაერისა და ცეცხლის სტიქიებიც იყოს, ეს ჩემი მცირე მოსაზრებაა და არ წარმოადგენს დოგმას ხმოვნებთან დაკავშირებით, მოითხოვს ფუნდამენტალურ შესწავლას.

სტიქიებთან დაკავშირებით ტარდებოდა აიასა და იას დიდი საკრალური მისტერიები, რომელთა უმთავრესი მიზანი იყო სულიერი ოქროს მოპოვება შრომით მისტერიულ პროცესში (უმთავრესად, ფიზიკური და სულიერი წვრთნის მიმდინარეობისას). გავიხსენოთ მითი არგონავტებზე, იასონი სულიერი ოქროს მოპოვების, ინიციაციის პროცესს, მიწის დამუშავებით გადის. მიწა თავისებურად შეიცავს ყველა მინერალს. საერთოდ, ადამიანი რასაც გულწრფელად შეიყვარებს, მის საწყისებს სწვდება. ღმერთი არის სიყვარული და უფალი ყველა არსთა გამრიგე. არსთა წვდომა ადამიანსაც ხელეწიფება, რადგანაც ის ხატია და მსგავსია ღმერთისა.

კაცთმოყვარეობით, ბუნების ძალთა თაყვანისცემითა და მიწის მუშაკობით ადამიანი ქმნის თავის სამყაროს, მიკროკოსმოსს, რომელშიც ოქროცაა და ალმასიც, ხეც, მიწაც, სიბრძნეც, სისულელეც, მზეც, მთვარეც, ვარსკვლავებიც. საკუთარი მეობის უარყოფით ბუნების სიყვარულითა და მის არსებაში შედწევით ადამიანი ხდება ყველა ინფორმაციის მატარებელი (რაც მოხდა წარსულში, რაც ხდება აწმყოში და რაც მოხდება მომავალში). ადამიანი ბუნებასავით ხდება დიდი საიდუმლო, რადგანაც ის თვითონ არის მიკროსამყარო, იძენს ღვთაებრივ მეობას, ადამიანი იწრთობა მიწათმოქმედებით, სიმართლის სიყვარულით, მშობლების პატივისცემით, ოჯახში უფროსუმცროსობის გარჩევით (არამარტო ოჯახში, არამედ საზოგადოებაშიც) არსებობს გამოთქმა: ვერც ფიზიკური ძალა და ვერც ფული ვერ შექმნის ადამიანს იმდენად ბედნიერად, რამდენადაც სიმართლე და მრავალმხრივი სიბრძნე. ძველი აიელი მუხას სცემდა თაყვანსა და თვითონაც მუხასავით მტკიცე და შეურყეველი იყო. ძველად ფიქრობდნენ რომ მუხა იყო კოსმიური ცოდნის მიმღები. ღვთაებრივი ბუნების სიხასხასე და სიმწვანის მარადიულობა სულის განძეულობის წარმომშველია.

დრაკონის დამარცხება არგონავტების მითში, საკუთარ ქვენა გრძნობებზე გამარჯვებასაც ნიშნავს ბედისადმი მორჩილებითა და თავმდაბლობით, უდიდესი მოთმინებით (ბერძენი ფილოსოფოსი პლატონის სწავლებით: ყოველგვარი სიბრძნის საფუძველი მოთმინებაა. მცირედი კმაყოფილებით, ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს სილამაზის ესთეტიკური ტკბობით, ყველაფრის უნივერსალური სიყვარულით მოიპოვება ზეციური სიბრძნე. სიყვარული კანონი იყო და არა მოვალეობა ძველ აიასა და ეგვიპტეში. აიელ ბრძენკაცთა სახელები უცნობია კაცობრიობისათვის. ბრძენკაცნი რეალურ არყოფნაში იმყოფებოდნენ. შეიძლება შევადაროთ ასეთ გამოთქმას: **„რაც უფრო ღრმაა მდინარე მით უფრო ნაკლებად ხმაურობს“.** თავისთავად ეს მიუთითებს სულიერ ზნეობრივ სიწმინდეზე. საკუთარი თავის წარმოუნენლობის სურვილზე, რაც თავისთავად გარემოდან გამომდინარეობს. ჩინელი ბრძენი ლაო-ძის სიტყვებია: **„ყოვლად ზნეობრივი ყოვლად უზნეოსა ჰგავს“.**

ძველი აიელების სიწმინდე და კეთილშობილება გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი იმდროინდელ მსოფლიოში ავრცელებდნენ ცივილიზაციას მშვიდობიანი გზით და საერთო კაცთმოყვარეობით, განსხვავებით ინდოევროპელებისაგან. ძველ აიაელთა კულტურა ძირითადად მაგიას ემყარებოდა. აიას სიმბოლოდ მუხასთან ერთად შეიძლება ჩავთვალოთ ყვავილები – ია და ვარდი. არის დალოცვა: **„ია და ვარდი გეფინოს გზაზე“.** ია სიმორცხვის, მორჩილებისა და სინაზის განსახიერებაა. ხოლო ვარდი სამეფო ყვავილია. ე.წ. ყვავილთა მეფე. იასა და ვარდის შერწყმით ადამიანი ეუფლება მესამე გზას, გარდაცვალებამდე ცხონებას. ქართული ზღაპარი ასე იწყება: **“იყო და არა იყო რა. იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი“.** თავისთავად აქ ჩანს უსახელოდ ყოფნა. სოკრატე ამბობდა: **„მე ის ვიცი რომ არაფერი ვიცი!“** სოკრატე, ცხადია, უცოდინარი არ იყო, მაგრამ ის ვერ სწვდებოდა ღვთაების ბუნების გაგებას.

ბიბლიაში უფალი ასე ამბობს: **„მე ვარ პირველი და მე ვარ უკანასკნელი“.** ეს ერთი განმარტებით, იმას ნიშნავდა, რომ ქრისტე ღმერთი მაცხოვრის სახითაც ეცხადებოდა ადამიანებს და მეფის სახითაც. ვინც ამპარტავნობით პირველობას იჩემებს უკანასკნელი ხდება, ვინც უკანასკნელია ის კი პირველი. ბუნებაში მიმდინარე პროცესები თავისებურ წრეს ქმნის. წრე მარადიულობის სიმბოლოა. დედამიწა და სხვა ციური მნათობები უმთავრესად წრიული ფორმისაა. მარადიული ნული სისტემაა, რომლისგანაც იწყება ყველაფერი. ნულის სისტემის ადამიანი არის პირველი და უკანასკნელი. აიელი ბრძენკაციები და აიური ბუნების ადამიანები ნულის სისტემისა იყვნენ. უძველეს სამყაროში იყო პროტოაიური ცივილიზაციები თავიანთი გრანდიოზული ნაგებობებით, გემთმშენებლობებით, ვარსკვლავთმრიცხველობით და ა. შ. პროტოაიელებიც, როგორც აღვნიშნე უსახელობაში, ნულის სისტემაში იყვნენ. ნულიდან კი ყველაფერი იწყება და ყველა ისტორიაში ცნობილი კულტურების უკან ჩვენი ნათესავი იდგა.

ძველ აიაში უძველესი ქვეყნიერების ცოდნამ (ოქროს საწმისის სახით) მოიყარა თავი. იქიდან მთელმა მსოფლიომ მიიღო ახალი აზროვნებით მიღებული ცივილიზაციის ეს ნაყოფი, საფუძველთა საფუძველი მთელი კაცობრიობისა იყო პროტოაიური მოდგმა. ჩვენი კულტურიდან მოდის ელინური კულტურა. მათ ჩვენი დახმარებით ლოგოსის ბრწყინვალე კულტურა შექმნეს. მედეადან მოდის სიტყვა მედიცინა. მთელი მსოფლიო სარგებლობდა აიური მედიცინის საფუძვლებით. პროტოაიურიდან შეიქმნა შუმერული, ეგვიპტური, ინდური, ჩინური, ბერძნულ-რომაული და სხვა ცივილიზაციები.

დღეს უკვე ბოლო ჟამია მოახლოებული, როცა კაცობრიობა ხალხის მმათველობის ე.წ. დემოკრატიის გზას დაადგა. მიმდინარეობს წრიული ფორმა: ვინც იყო თავდაპირველი, ბოლო ჯამსაც ის ხდება პირველი. ეს ბუნებაში ციკლური მოვლენაა. ღვთის მადლით უნდა მოხდეს ლაზარეს ენის აღდგინება. ლაზარეს ენაში იგულისხმება წინარეაიური, რომლის პირდაპირი შთამომავალიც არის მზარდი მეგრული ენა. ძველაიური კლასიკური ფორმების, მაღალგააზრებული სიტყვების აღდგენით ფარდა აეხდება ყოველ საიდუმლოს, რაც ამ ენაშია დამარხული და უნდა ჩამოყალიბდეს ახალი აიური (კოლხური) ენა, რომელიც წარმმართველი იქნება ხალხთა ღვთაებრივი გაბრწყინებისა.

კოლხური მოდგმა მამაა კაცობრიობის, ხოლო შვილები: შუმერები, ეგვიპტელები, ინდოელები, ჩინელები, ბერძნები, ლათინები, ებრაელები, ქართველები, სლავები და სხვა ხალხები. ისტორიის არენაზე აიური მამის გონი არ ჩანს, ის უსხეულო წარსულშია, შვილის სიტყვა ისმის და მატერიალური ფორმით გვევლინება. ჭეშმარიტების დარღვევაა, რომ მამა შვილის სახელით იწოდებოდეს, მეგრელს კი ეწოდოს ქართველი, როგორც ერთდროს იწოდებოდა ბერძენად, აფხაზად, თურქად და ა.შ. თუ სიტყვიერება განვითარდება ღვთაებრივ ასპექტში (დემონურში ღმერთმა არ დაუშვა მისი განვითარება) ის წარმოჩინდება მატერიალური ფორმით და გონიერება გაბატონდება, რაც დასაბამს მისცემს კაცობრიობის აღმასვლის სწორ მიმართულებას.

აპოკალიფსში იოანე ღვთისმეტყველი წმინდა სამების კარნახით წერს: „ფილადელფიის ანგელოზს მისწერე: ასე ამბობს წმინდა, ჭეშმარიტი, რომელსაც აქვს დავითის გასაღები, რომელიც გააღებს და ვერავინ დაკეტავს, დაკეტავს და ვერავინ გააღებს.

ვიცი შენი საქმენი, აჰა შენს წინაშე დავდგი ღია კარი, რომლის დაკეტვაც არავის ძალუძს, რადგან მცირე ძალა გაქვს. მაგრამ შეინახე სიტყვა და არ უარყავი ჩემი სახელი.

აჰა, გადმოგცემ იმათ სატანის საკრებულოდან, რომლებიც თავიანთ თავზე ამბობენ იუდეველები ვართო და არ არიან, არამედ ცრუობენ. აჰა, ისე მოვუწყობ მათ რომ მოვიდნენ და თაყვანი გცენ შენ ფერხთა წინაშე და გაიგებენ, რომ მე შეგიყვარე.

რაკი შენ დაიცავი სიტყვა ჩემი მოთმინებისა, მეც დაგიცავ განსაცდელის ჟამისაგან, რომელიც მოვა მთელ მსოფლიოზე, რომ გამოსცადოს დედამიწის მკვიდრნი.

აჰა, მოვალ მალე, გეპყრას რაც გაქვს, რათა არავინ წაგართვას შენი გვირგვინი.

გამარჯვებულს გავხდი სვეტად ჩემი ღვთის ტაძარში და იგი აღარ გავა გარეთ. დავაწერ მასზე ჩემი ღვთის სახელს და ჩემი ღვთის ქალაქის, ახალი იერუსალიმის სახელს, რომელიც ციდან ჩამოდის ჩემი ღვთისაგან და ჩემს ახალ სახელს.

ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს (ახალი აღთქმა, გამოცხადება).

აპოკალიფსში ნახსენებ ფილადელფიის ეკლესიაში შეიძლება ვიგულისხმოთ კოლხური მოდგმა. ფილადელფია ბერძნულად ნიშნავს ძმურ სიყვარულს. ძმური, კაცური სიყვარულით აიური ნათესავი ძველთაგანვე განთქმული იყო.

ღვთის მადლით გაბრწყინდება აია-კოლხა და კეთილი ნების ადამიანების გულებს გაათბობს ქრისტესმიერი სათნოება და სიყვარული. ჩემგან დაწყებული განისჯება ყველა ადამიანი მთელს მსოფლიოში, როგორც ცოცხლები, ისე მიცვალებულებიც.

დაე, აღსრულდეს ღვთის ნება!

დაე! ღმერთმა განსაჯოს ის თუ რა არის უზენაესის მადლით მინიჭებული ჩემი შეხედულებები კაცობრიობის პირველ ენაზე, რომელიც არ წარმოადგენს ამპარტვნულ ამბიციას, არამედ მცდელობაა ჭეშმარიტებისათვის... კოლხური დამწერლობის შესახებ.

მალხაზ გრიგოლია

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის ორგანიზაცია დიდი მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა ეროვნული მოძრაობის აქტივისტი,

იგორ კვარაცხელია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს... უფალმა გაანათლოს მისი ტანჯული სული...

ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘᲐ

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

„ვერასოდეს გადაწყვეტ პრობლემას, თუ ისე იფიქრებ, ვინც ეს პრობლემა შექმნა“
ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜ

სტალინმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც გააგრძელა გაფართოება და გაძლიერება ქვეყნისა თავისი სახელმწიფო სტრუქტურებით, ავტონომიებით, ოლქებით და ა.შ. რომლის შექმნაშიც თვითონ იღებდა მონაწილეობას, საფუძვლად უდებდა მის ურღვევობას და ჰქმნიდა მისი ეკონომიკური განვითარების ახალ ეტაპზე გადაყვანის პირობებს, რომელიც ზოგადად პარტიის მე-19 ყრილობაზე განაცხადა. სტალინს არ დასცალდა ჩანაფიქრის განხორციელება, რაც შემდეგ დენ სიაო პინმა განახორციელა ჩინეთში. თუ გავითვალისწინებთ სტალინის გენიალობას და შორსმჭვრეტელობას, ტრუმენის ეპოქის ამერიკის განვითარების პერსპექტივები უბიძგებდა რაც შეიძლება სწრაფად გაეფართოვებინა და გაეძლიერებინა თავისი ქვეყანა. რაც შეეხება აზრს, რომ ვ. პუტინს სსსრ კავშირის აღდგენა სურდეს, სრული სიცრუეა, მას უფრო ანალოგიურად წარსულისა, იმ ძალის შექმნა სურს რომელიც დაიცავს როგორც რუსეთს, ისე შექმნილ გაერთიანებას და მსოფლიოს, შესაძლო კატასტროფისგან.

იქნებ წარსულის გაგრძელებაა საქართველოში ბ. ივანიშვილის გამოჩენა და 1 ოქტომბერი? შესძლებს კი ადამიანის გონება ბოლომდე ჩასწვდეს სამყაროს საიდუმლოებებს, აღიქვას მოვლენები რომელსაც ჩვენ სასწაულებს ვეძახით და თვითონ მართოს იგი? საეჭვოა.

სახელმწიფოს **“პოლიტიკას შინ და გარეთ არსებული ვითარება განსაზღვრავს, მაგრამ იგი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ხელისუფლებაში მოსულ ცალკეულ მმართველ პირებზე, მათ პიროვნულ თვისებებზე, ზნეობასა და მორალზე“**, (გაზ.“ᲘᲚᲝᲠᲘ“ 8-15 ოქტომბერი 2013 წ. **“ეთიკა – მომავალი წარმატების საფუძველი“**), ასევე იმ აუცილებელ ფაქტორებზე, რასაც სახელმწიფოებრივი, თუნდაც ეროვნული აზროვნება ჰქვია და ჩვენში დეფიციტს წარმოადგენს. ოქტომბრის გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულა ქართულმა საზოგადოებამ, თუმცა ამერიკა ისე მყარად დარჩა წარმოდგენილი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და მთლიანად საზოგადოებაში, რომ საქართველოს სუვერენიტეტს არარად აქცევს. თუ საქართველოს დღევანდელ რეალობას და 90-იანი წლების სამოქალაქო ომის პერიოდს გადავხედავთ ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ ხალხმა თავისი მისია შესრულებულად ჩათვალა, გადავიდა პასიურ მდგომარეობაში, მზრუნველობა თითოეულ მოქალაქეზე და ქვეყნის მართვაზე მთლიანად მთავრობას გადააბარა, რაც უარყოფითად აისახა პოლიტიკურ პროცესებზე, ქვეყნის განვითარებაზე. საზოგადოებამ ერთიანობის დაკარგვასთან ერთად უპირველესად სახელმწიფოს მართვის პროცესში ხელისუფლების მაკონტროლებლის ფუნქციაც დათმო, რაც მსოფლიოში დემოკრატიის ეგიდით მიმდინარე პირობებში (რაშიც გულდასმით გვარწმუნებს ამერიკა), ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს. ამით მთავრობას მართვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი გამოაცალა ხელიდან. ამ თემას ჯერ კიდევ 2013 წელს შევეხე ზემოთ ნახსენებ წერილში, რითაც მკითხველს მივუთითე იმ საჭიროზე, რაც აუცილებელია საზოგადოების მხრიდან სახელმწიფოს უკეთ ფუნქციონირებისთვის.

ადამიანის ადამიანურობის ხარისხის ბარომეტრი არის ნებისყოფა, დაფუძნებული ზნეობაზე, რაც მამულიშვილს განიჭებს უნარს საზოგადოების რიგით წევრადაც უანგაროდ ემსახურო სამშობლოს. ქართული საზოგადოება არ განიცდის ამგვარ ნამდვილ ქართველთა სიმცირეს რომელთა შორის არიან: ა. ხიდირბეგიშვილი, ა.მაისურაძე, დ, თევზაძე, ტ. წითელაშვილი, გ. შერვაშიძე, ე. კვიციანი, პ. კოღუაშვილი, ა. საკანდელიძე, გ. ყარაულაშვილი, გ. ბათიაშვილი, თ. კიკნაძე, ლ. ელიავა, ლ. ვასაძე, მ. ბერაძე, ჯ. სეფიაშვილი, გ. კეტაშვილი და სხვები. რაოდენ საწყენია რომ სახელმწიფო სათანადოდ ვერ იყენებს მათ ცოდნა-გამოცდილებას.

საქართველოსთვის რთულ პირობებში მნიშვნელოვნად გააქტიურდა პარტია **“პატრიოტთა ალიანსი“** და ტელემაუწყებელი **“ობიექტივი“**. პარტიაშიც და ტელევიზიაშიც ბევრი ღირსეული ადამიანი მოღვაწეობს, რაც საგარეჯოს შუალედური არჩევნების შემდგომმა პერიოდმაც დაადასტურა. პარტიის ლიდერებმა დ. თარხან-მოურავმა და ი. ინაშვილმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს თავი როგორც გონიერმა, ლიდერის თვისებების მატარებელმა და მთავრობასთან ურთიერთგაგების, თანამშრომლობის მსურველმა ადამიანებმა. მიუხედავად ყველაფრისა ტელევიზიაში არც თუ იშვიათად ადგილი აქვს წამყვანებისა და სტუმრების მხრიდან მთავრობის და ცალკეული ღვაწლმოსილი პირების წრეგადასულ დისკრედიტაციის მცდელობას, ისევე როგორც დიდაქტიკურ, რიტორიკულ სჯაბაასს, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ყველა ახალი ხელისუფლების დროს ხდებოდა ხოლმე და ხალხის შეცდომაში შეყვანას ემსახურებოდა.

ანალოგიური ნიშნები იკვეთება დღესაც, რაც ქართულ საქმეს არ წაადგება. რაც შეეხება **“ობიექტივის“** საუკეთესო გადაცემებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოვყოფდი ვ. კვარაცხელიას მაღალპროფესიულ და კომპეტენტურ ანალიტიკურ გადაცემებს, თავისი საქმის პოფესიონალ სტუმართა თანხლებით. დასტურად მ. წ. აგვისტო-სექტემბრის და შემდეგი გადაცემებიც იკმარებდა, რომლებიც ნათლად გვიჩვენებენ საქართველოში ერთ მუშტად შეკრული საზოგადოების არსებობის აუცილებლობას. გარკვეული პერიოდი ქართული საქმის არაკეთილმოსურნეთა მეცადინეობით შეწყდა მისი გადაცემები **“ობიექტივის“** ეთერში, თუმცა დროულად იქნა გამოსწორებული ეს შეცდომა.

ბოლო ათწლეულებში ზნეობისა და მორალის დაცემის გზაზე მდგარი ახალგაზრდების დიდი ნაწილის შემხედვარე, ღღის წესრიგში დგება ერის სულიერების და ტრადიციული ღირებულებების გადარჩენა. მხოლოდ მომავლის იმედი ქმნის საზოგადოებას და იქცევა დაუოკებელ ძალად, რომლის ნება მთავრობის მოღვაწეობაში იკვეთება, მხარდაჭერას საჭიროებს და ხალხის მხრიდან სათანადოდ არ ხორციელდება. ძლიერი საზოგადოება ქმნის ძლიერ სახელმწიფოს. 80-90-იანი წლებიდან ყველა ხელისუფლების, ოპოზიციური ძალის, **“ასო“**-ების ერთობრივი მოღვაწეობის შედეგია ჩვენი ღღევანდელი პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც კარგად უნდა გააცნობიეროს ქართულმა საზოგადოებამ, უარი უთხრან მათ რათა გარკვეული უკუსვლის და დეპრესიის შემდეგ გადავიდეს იმ ამაღლებულ საფეხურზე რომელიც 1 ოქტომბერს გავიარეთ, უარი ვთქვათ წარსულზე და ჩვენი ისტორია ახალი გამარჯვებებით გავამდიდროთ.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ღღემდე საქართველო მტრების საჯიჯგნად იქცა, მცირე გამონაკლისს, ერთეულებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ვერ ნახავთ ადამიანს რომელსაც სამშობლოს სამსახურს ანდობ და მოვალეობას პირნათლად შეასრულებს. ისტორიაში არ მოიძებნება პერიოდი როდესაც ზნეობა, კულტურა, მორალი ასე დაცემულიყოს როგორც ღღეს, (იგივეა მსოფლიოს პრობლემა), რაც ურწმუნობამ უფრო გააღრმავა. საქართველო და მისი მოსახლეობა უიმედობამ მოიცვა, გათითოკაცებული, პირად პრობლემებში ჩაფლული თავის გადარჩენის მიზნით თუ კომფორტს დახარბებული ყველაფერს კადრულობს, რაც კარგად ჩანს ჩვენი ჩინოვნიკების, ბიზნესმენების, ბანკირების თუ სხვათა მაგალითზე. შედეგად ვიღებთ საქმიანობის ყველა სფეროში არაკომპეტენტურ, უპასუხისმგებლო კადრების სიმრავლეს, ათასი ჯურის სიმახინჯეს და სიბინძურეს. პარტიული, პოლიტიკური და სახელმწიფო სტრუქტურები სავსეა ტკბილად მოსაუბრე **“საქართველოს გულდამწვარი ჭირისუფლებით“**, რომელთა ავანგარდს ყოფილი ხელისუფლების ნაშთები წარმოადგენენ. ხალხი ხვდება ამ ადამიანებს, ხელს ართმევენ, გამარჯობას ეუბნებიან ანუ გამარჯვებას უსურვებენ და ამით არავითარ უხერხულებას არ გრძნობენ. მხოლოდ ამ შემთხვევაში არა აქვს გამართლება ნათქვამს **“სალამი ღვთისაა“**-ო. სახელმწიფომ, მიუხედავად საშინაო საქმეებში გარე ძალების ხშირი, უხეში ჩარევისა, უნდა შესძლოს თავისი ღირსებისა და მოქალაქეების დაცვა, მაგრამ მისი მხარდამჭერი ძლიერი საზოგადოების გარეშე ძნელი წარმოსადგენია. საქართველოში დროა ხელი აიღონ ახალ-ახალი პარტიების, **„ასო“**-ების შექმნაზე, ქართული ხასიათიდან გამომდინარე პირველკაცობის დაუოკებელ სურვილზე და იმ გაუაზრებელ ადამიანურ თვისებებზე რასაც ჰქვია **“მე ვარ და ჩემი ნაბადი“** ან **“უჩემოდ ვინ იმღერეთა“**.

ქართველ ხალხს (და არა მარტო ქართველებს) ახლო წარსულში ყველაზე დიდი ტკივილი აფხაზეთმა და სამაჩაბლომ მოგვაყენა. გარე ძალების ჩარევისა და არასწორი ქართული პოლიტიკის შედეგი იყო სეპარატისტული მოძრაობის გაძლიერება გასული საუკუნის დასაწყისში, რაც სტალინურ ეპოქაში თითქმის შენელდა, თუმცა საუკუნის შუა წლებიდან ახალი ძალით გაჩაღდა და 90-იან წლებში სათანადო პირობების შექმნისთანავე აფხაზეთი დავკარგეთ, ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებით მას სამაჩაბლოც მიჰყვა. ბოლო ათწლეულებში (თუ მეტი არა) ახალი უბედურება მწიფდება საქართველოში. როგორც აფხაზეთში, ისეთივე სცენარით ღვივდება სეპარატისტული მოძრაობა სამეგრელოში. იმედია მეგრელები სახელმწიფოს დახმარებით შესძლებენ მტრული ძალების საქმიანობის შეჩერებას, გარანტია მათი კოლხურ გენებზე დაფუძნებული სიბრძნე-ნიჭიერება, ურთიერთ გვერდში დგომის განსაკუთრებული თვისება და მტკიცე ხასიათია.

რაც შეეხება აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნებას მშობლიურ წიაღში, რუსეთთან მეგობრობის, მისი კეთილი ნების და პოლიტიკურად, ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს ჩამოყალიბების გარეშე განუხორციელებელი ოცნებაა. ყოველივე ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების, აბრეშუმის გზის მნიშვნელობის გაფართოების და ჩვენს გეოპოლიტიკურ სივრცეში სხვა გლობალური პროექტების განხორციელების ფონზე უნდა განვითარდეს.

ბოლო ათწლეულების არასწორმა ქართულმა პოლიტიკამ პრობლემები მხოლოდ სახლში კი არა სამეზობლოშიც მრავლად გაგვიჩინა. ძირითადად ეს რუსეთთან ურთიერთობას ეხება. განგებამ ბოლო ორასი წელი ერთმორწმუნე რუსეთს დაგვაკავშირა, ხოლო 70 წელი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად, ერთ ოჯახშიც გვაცხოვრა. ამან გარკვეული თბილი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბა, საერთო გაგვიჩინა, ნათესაური კავშირები გააბა. რაც შეეხება ჩვენს უახლოეს ჩრდილოელ მეზობლებს, კავკასიელობასთან ერთად ჩეჩნებს, ინგუშებს, ყაბარდოელებს ერთი გენეტიკური მოდგმაც გაგვაჩნია, ხოლო ქისტებს ქართველებშიც არ ვყოფთ, არ ვანსხვავებთ. ებრაელებთან 26 საუკუნოვანი თანაცხოვრება კი მსოფლიოს სამაგალითოდ აქვს მიღებული. მიუხედავად ამ ბოლო ხანებში მცირეოდენი გადახრებისა გარეჯის სამონასტრო კომპლექსის და საინგილოს მაგალითზე, საკმაოდ ახლო, თბილი ურთიერთობა გვაკავშირებს აზერბაიჯანელ ხალხთან და მათ დიასპორასთან საქართველოში, რომლებთან ერთად ჩვენი მიწაწყლისთვის სისხლიც ერთად დაგვიღვრია. ერეკლე მეორეს თანამებრძოლი იყო საქართველოს ეროვნული გმირი ხუდია ბორჩალოელი, რომელიც შეეწირა თავის მებრძოლებთან ერთად საქართველოს თავისუფლებას. მწერალი პ. ქოჩაკიძე-ჭალადიდელის წინადადებით ვიმედოვნებთ მალე ქართველი ხალხი მადლიერების ნიშნად მარნეულში ძეგლს დაუდგამს გმირ მებრძოლს.

ისტორია მნიშვნელოვნად განსხვავებულ სურათს იძლევა სომეხ-ქართველთა ურთიერთობაზე, რაც მრავალი საუკუნეა გრძელდება და უდიდესი უმადურობის გამოვლინებაა საქართველოს მიმართ. ისტორიამ შემოგვინახა ცნობები ქართველების როლზე სომეხი ხალხის ფიზიკური გადარჩენის საქმეში. მიუხედავად ყველაფრისა გვახსოვს საქართველოს პირველი დამოუკიდებლობის დროს, ისარგებლეს რა ჩვენთან შექმნილი პოლიტიკური ქაოსით, ომის გამოუცხადებლად დაგვესხნენ თავს. მაზნიაშვილის სარდლობით ქართულმა ჯარმა მტერი განდევნა საქართველოს მიწაწყლიდან, მაგრამ ინგლისელთა ჩარევის შედეგად მათ მაინც მოახერხეს ქართული მიწების მიტაცება.

მსგავსი საქმეების სურვილი ეტყობა დღესაც არ განელებიათ სომეხ პოლიტიკოსებს, რასაც მათი პრემიერ-მინისტრის სიტყვები ადასტურებს, რომ შევცდით 2008 წელს ჯავახეთში არ შევიჭერითო. ეს ნიშნავს, მათთვის ხელსაყრელ პირობებში სომხეთი არც მომავალში იტყვის უარს საქართველოში სამხედრო აგრესიაზე. თუ რატომ ეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე თქვა ტაციტუსმა; **“Вероломство же армян всем известно”.** ასევე დიდი უმადურობა და მუხთლობა გამოიჩინეს სომხებმა მე-19 – მე-20 საუკუნეებში ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების წინაშე რომლებიც მათ მფარველობას უწევდნენ. მჭიდრო მეზობლურ ურთიერთობაში მყოფ ერებს ეს არ გვეკადრება.

სომხების **“დამსახურებებს“** საკადრისი პასუხი გასცა დიდმა ილიამ **“ქვათა ღაღადით“**, მაგრამ ჩვენს ურთიერთობას არაფერი დასტყობია. სულ ახლახან მნიშვნელოვანი წერილი მიუძღვნეს ამ თემას ნ.გოგუამ და რ.ჯალაღანიამ ვ. ველიჩკოს ნაშრომის **“კავკასიის“** წინასიტყვაობის სახით, რაც ღრმა დაფიქრების საფუძველს გვაძლევს, მითუმეტეს არც ბაგრამიანის სახ. ბატალიონის საქმიანობაა აფხაზეთში შორეული წარსული, არც ყარაბაღში განვითარებული მოვლენები და არც ვითომ გაქართველებულ სომეხთა თავკაცობით გაწეული “მოღვაწეობა“ საქართველოში. რაც შეეხება ასეულობით ქართული ეკლესიის სომხურ ეკლესიად გამოცხადებას საღი აზროვნების ყოველგვარ ჩარჩოებს სცილდება, აი, სადამდე შეიძლება მივიდეს ხალხის მტაცებლური ბუნება და მუხანათობა.

საქართველოს არაკომპეტენტური და უპასუხისმგებლო კადრები ამრავლებს პრობლემებს რაც მართვისა და საქმიანობის ნებისმიერ სფეროში ნათლად წარმოჩინდება. ამ თვალსაზრისით ჩვენი უპირველესი საზრუნავი ქართული მეცნიერება, განათლება, ენის სიწმინდის და მეტყველების დაცვა-განვითარებაა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შევეხები ენის სიწმინდეს, რომელსაც არავითარ ყურადღებას არ უთმობენ მასმედიის საშუალებები, რომ არაფერი ვთქვათ საზოგადოებაზე. ენის ცოდნაში და სიწმინდის დაცვაში განსაკუთრებით სცოდავენ ტელეწამყვანები და ტელეჟურნალისტები, რომლებიც ბაძავენ რა **“განათლებულ“** ცნობად სახეებს, ხელს უწყობენ ენის დამახინჯება-დაბინძურებას. მაგ: კრეატიული, სენსიტიური, პიარი და ა.შ. ბევრი ვერ ანსხვავებს მნიშვნელობით კომპანიას და კამპანიას, მოხდას და გადახდას (შესაბამისად ბოდიშის და მადლობის), კოსტუმს და პიჯაკს და ა.შ. ხოლო როგორ იყენებენ სიტყვას – **“დაკავშირებით“** ან პროცენტის გამოთქმას, ეს უკვე საშინელებაა, სიმახინჯეა. ენა ყოველთვის მდიდრდება უცხო სიტყვებით, მაგრამ ის არ უნდა ხდებოდეს ენის საზიანოდ. რატომ ვხმარობთ უცხო სიტყვებს, როცა გვაქვს საკმაოდ მდიდარი ლექსიკა. მაგ: სენსიტიური-მგრძნობიარე, პიარი – ბლადერი, თინეიჯერი – ნინველი, раствор-ცელიზი, холодец – ჟეგრილი, ცივთანთალა, бамбанерка – შოგარი, контеинер – სკივთირი, латок (კვერცხის) – ლაფტი, პამპერს – ამდები და ა.შ. ენის საკითხებს არა ერთხელ გამოხმაურებია პრესა, ტელევიზია, მ.შ. ჯერ კიდევ 2013 წელს შევეხე მოცემულ თემას გაზეთ **“ᲘᲚᲝᲠᲘᲡ“** ფურცლებზე (4 -11 ივნისი. **“ქართული ენის სიწმინდისათვს“**) თუმცა არავითარი შედეგი. გვყავდეს ისეთი ენათმეცნიერი, ლინგვისტი როგორც ლ. ღენჯილია და არ ვიყენებდეთ მის ცოდნა-გამოცდილებას სირცხვილია. ქართულის სწავლას კი საშუალო სკოლებში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

პასუხისმგებლობის და უთავბოლობის ნათელი მაგალითია მეტრო-სადგურ **“ახმეტელის თეატრის“** და **“გლდანი მოლის“** მიმდებარე ტერიტორია, სადაც ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა ინტენსიური მოძრაობაა, მაგრამ ათეული წლებია მისი მოწესრიგება ვერ ხერხდება. ხსენებულ ორ ობიექტს შორის მდებარე მოედანზე მეტროდან გამოსასვლელში, ან იქვე მიწისქვეშა გასასვლელში თუ მიწისზედა ხალხის სავალ ნაწილზე, მოვაჭრეებით და მათი საქონლით ჩახერგილია გზები, რაც ზღუდავს ფეხითმოსიარულეთა გადაადგილებას, ხოლო სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით ყოვლად დაუშვებელია. სად არიან ადგილობრივი ხელისუფლების ან შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ვისაც ევალებათ ამ ყველაფრის მოწესრიგება? ეს ყველაფერი იმის მანიშნებელია, რომ ქართველები საკუთარ თავს და საკუთარ სამშობლოს სათანადო დონეზე ვერ ვაყენებთ, პატივს აღარ ვცემთ, გვავიწყდება, რომ **“სამშობლო მხოლოდ საკუთარი თავი, ოჯახი და კარმიდამო არ არის, სამშობლო ჩვენი შვილები, გვარ-ტომი, სოფელი, ქალაქი, ველ-მინდვრები, ტყე და წყარო, წარსული და მომავალია თავისი კულტურით, ეს ჩვენი დიდი ოჯახია თანმდევი პრობლემებით, მას მხოლოდ ჩვენი ურთიერთ სიყვარული, თანადგომა და ერთგულება სჭირდება“.**

ᲥᲐᲠᲗᲣ ᲐᲠᲐᲒᲕᲔᲚᲘ,
(ავთანდილ ციხისთავი)

ნანა დევდარიანი: დასავლეთს და ამერიკას ისლამური სახელმწიფოს ბოლომდე ამოშანთვა არ სურთ!

აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე ანალისტიკოსი, ნანა დევდარიანი *საუბრობს.*

– ქალბატონო ნანა, მსოფლიო შეძრულია საფრანგეთში მომხდარი ტერაქტებით. სპეციალისტები უკვე საუბრობენ, რომ ეს ერთჯერადი აქტი არ არის და სავსებით შესაძლებელია სხვა სახელმწიფოებსაც მოედოს. საინტერესოა თქვენი აზრი, საიდან მოდის ტერორიზმის ფესვები და როგორ შეიძლება მისი შეჩერება?

– ტერორიზმი საბრძოლველად ძალიან მძიმეა, ვინაიდან, ის ხალხში შიშის და პანიკის დათესვისკენაა მიმართული. უბედურებაა ისაა, რომ ტერორს მიმართავენ, მაშინ, როცა სხვადასხვა მექანიზმებითა თუ მეთოდებით საწადელს ვერ აღწევენ.

არ იფიქროთ, რომ მე ტერორიზმის გამართლება მინდა, უბრალოდ, მიზეზები მინდა დაგანახოთ. ამ შემთხვევაში ამ ტერაქტს კონკრეტული მიზეზები აქვს. მაგალითად ის, რომ დასავლეთი მკვეთრად ჩაერია ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებში მთელი რიგი ვითომ **„უსისხლო გადატრიალების“** ხელშეწყობაში. ამან გამოიწვია ის, რომ საერო სახელმწიფოები ისლამისტების ასპარეზად იქცა. მსგავსი ჩარევები ყოველთვის ძალიან ცუდ რეაქციებს იწვევს, ანუ ერთი სახელმწიფოს სურვილი, ჰარმონია განახორციელოს მსოფლიოში, იწვევს მსგავს პროცესებს.

– ქალბატონო ნანა, თქვენ ამას წინათ საკმაოდ ხმამაღალი განცხადება გააკეთეთ: „ამერიკა სადაც კი შევიდა, ქვა-ქვაზე არ დატოვა“, სხვათაშორის, ამ განცხადებას საზოგადოებაში არაერთგავროვანი გამოძახილი ჰქონდა. მეტიც, ზოგი აშკარად პრორუსულობაში გადანაშაულებდათ. მაინც რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების უკან ყველგან ამერიკა დგას?

– ვინმეს თუ ჰგონია, რომ ჩემთვის პრორუსულის დარქმევით რაიმე განცდებში ჩამაგდებს, ძალიან ცდება. გააჩნია ვინ რას ამბობს. არის ადამიანთა ჯგუფი, რომელთა აზრი მე, არცერთ საკითხებში არ მაინტერესებს და ჩემს თავზე მითუმეტეს.

მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ თუ ჩვენ გადავხედავთ ბოლო 20 წლის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებს, მაშინ ვნახავთ, რომ ამის უკან, ყველგან დგას ამერიკა და ამას ვერაფერს ვერ ვუზამთ.

ეს ყოველთვის ხდება სრულიად გაუაზრებელი ჩარევების შედეგად. ჩვენი საზოგადოებისთვის მიუღებელია ამერიკის საელჩოდან და სახელმწიფო დეპარტამენტიდან ისეთ საკითხებზე კრიტიკა, რომელიც ეჭვშეუვალია ჩვენი საზოგადოებისთვის.

– ბოლო დროინდელმა მოვლენებმა, რომელმაც ააფორიაქა მსოფლიო, ნათლად დაგვანახა რუსეთის როლი თანამედროვე რეალობაში. როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად რა ფუნქციის შესრულება შეუძლია რუსეთს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. აყენებს თუ არა ეს მისია მას, ამ კონკრეტულ მომენტში, მომგებიან სიტუაციაში?

– რუსეთმა ახლა ევროკავშირის წარმომადგენლებს ტერორისტულ-ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისკენ მოუწოდა, რაზეც მათ უარი განუცხადეს. ამ დროს რუსეთის პრეზიდენტი ადგა და ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების დაცვით, კანონიერი პრეზიდენტის მოთხოვნით, განახორციელა დარტყმები. აღმოჩნდა, რომ რუსეთმა ორ თვეში გაცილებით მეტი შედეგი დადო, ვიდრე წელიწადნახევარში 62 ქვეყნის კოალიციამ. აქედან 2 რამის დასკვნა შეიძლება: პირველი ის, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები უფრო ძლიერია, ვიდრე 62 ქვეყნის, რაც დაუჯერებელია და მეორე, უფრო ლოგიკური, რომ დასავლეთს ამ ისლამური სახელმწიფოს ბოლომდე ამოშანთვა ხელს არ აძლევს და ის მას იყენებს, როგორც ინსტრუმენტს. ამ შემთხვევაში კი კონკრეტულად, ბაშარ ასადის დასამხობად.

– ბუნებრივია, ქართული საზოგადოება შეშფოთებულია საფრანგეთში მომხდარი ტერორისტული აქტებით. ადამიანებს კიდევ ერთხელ გაუჩნდათ დაუცველობის განცდა.

თქვენი აზრით, ქართული სახელმწიფო, არის თუ არა, დღეს მზად ანტიტერორისტული ღონისძიებების განსახორციელებლად? რა უნდა გავაკეთოთ, რომ ელემენტარულად მაინც დავიცვათ საკუთარი მოსახლეობის უსაფრთხოება?

– როგორც ჩანს, ჩვენი უსაფრთხოების სამსახურები გარკვეულ სამუშაოს მაინც ეწევიან. იმიტომ, რომ შეიძლებოდა გაუთვალისწინებელი ფაქტები მომხდარიყო. მაგრამ, ხაზგასმით ვამბობ, რომ ცალკე ერთ ქვეყანას არ შეუძლია ამ უბედურებას შეებრძოლოს. ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ ყველა იმ ქვეყანასთან, რომელიც ტერორის წინააღმდეგ დადგება. ეს რუსეთი იქნება თუ ევროპის სხვა რომელიმე სახელმწიფო, ამას არ აქვს მნიშვნელობა. და საერთოდ, რეგიონალურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ჩვენ ყველა ჩვენს მეზობელთან მჭიდრო თანამშრომლობა გვჭირდება, მათ შორის უშიშროების სამსახურთან.

– უკვე საუბრობენ იმაზე, რომ ანალოგიური აქტები შეიძლება გახდეს რელიგიური ექსტრემიზმის და ე.წ. „რელიგიური ომის“ დაწყების საფუძველი. თუმცა, ქართული ეკლესია, მისი სულიერი მწყემსმთავარი აცხადებს, რომ აღნიშნულ ტერაქტს და მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებში მიმდინარე სხვა ტერაქტებს რელიგიური საფუძველი არ გააჩნიათ, რადგან ბოროტება რელიგიურ ნიშნებს არ ცნობს... თქვენი კომენტარი...

– არ არსებობს რელიგია, რომელიც ადამიანების მკვლელობას ქადაგებდეს. ამას არაფერი საერთო რელიგიასთან არ აქვს, რადგან ისლამი ომის მქადაგებელი რელიგია არ არის! ეს არის რელიგიური ნორმების პოლიტიკური მიზნით გამოყენება. ამ ფაქიზი თემით ადამიანების მანიპულირება ყველაზე ადვილია, რადგან ღვთის რწმენა, რელიგიურობა ეს ის თემაა, რომლითაც მანიპულირებას ახერხებენ!

– უკვე საუბრობენ იმაზე, რომ ანალოგიური აქტები შეიძლება გახდეს რელიგიური ექსტრემიზმის და ე.წ. „რელიგიური ომის“ დაწყების საფუძველი. თუმცა, ქართული ეკლესია, მისი სულიერი მწყემსმთავარი აცხადებს, რომ აღნიშნულ ტერაქტს და მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებში მიმდინარე სხვა ტერაქტებს რელიგიური საფუძველი არ გააჩნიათ, რადგან ბოროტება რელიგიურ ნიშნებს არ ცნობს...

– ამის არაფერი საერთო რელიგიასთან არ აქვს, რადგან ისლამი ომის მქადაგებელი რელიგია არ არის! ეს არის რელიგიური ნორმების პოლიტიკური მიზნით გამოყენება. ამ ფაქიზი თემით ადამიანების მანიპულირება ყველაზე ადვილია, რადგან ღვთის რწმენა, რელიგიურობა ეს ის თემაა, რომლითაც მანიპულირებას ახერხებენ!

– უკვე საუბრობენ იმაზე, რომ ანალოგიური აქტები შეიძლება გახდეს რელიგიური ექსტრემიზმის და ე.წ. „რელიგიური ომის“ დაწყების საფუძველი. თუმცა, ქართული ეკლესია, მისი სულიერი მწყემსმთავარი აცხადებს, რომ აღნიშნულ ტერაქტს და მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებში მიმდინარე სხვა ტერაქტებს რელიგიური საფუძველი არ გააჩნიათ, რადგან ბოროტება რელიგიურ ნიშნებს არ ცნობს...

– აქ სოციალურ და პოლიტიკურ ფონზე საუბარი იმდენად არაა, რამდენადაც იმაზე, რომ სააკაშვილმა ჩვენი ქვეყნის საზღვრები, ყველა ქვეყნისთვის მოხსნა და მოაფრიალა.

ევროკავშირის მოწოდება, რომ საქართველომ უნდა მიიღოს სირიელი ლტოლვილები, სრულიად მიუღებელია ჩვენთვის. იმიტომ კი არა, რომ ჩვენ სირიელების უბედურება არ გვტკივა, არამედ, საქმე იმაშია, რომ თუ ჩვენ გავხსნით საზღვრებს სირიელი ლტოლვილებისთვის, კაცმა არ იცის და რთული გასაგები იქნება, თუ ვინაა ლტოლვილი და ვინ ტერორისტი. ასევე ვიზა-ლიბერალიზაციის მიღების შემთხვევაში მათთვის ევროპაში შესვლის პრობლემაც არ იქნება.

ორი ვარიანტი გვრჩება: ან ჩვენ მივიღებთ სირიელების ამ ნაკადს ან თუ ძალით მიგვაღებინებენ, მაშინ ჩვენ ვიზა-ლიბერალიზაციას არ მოგვეცემენ!

ესაუბრა მედეა შელია

აფრასიძეების სისხლიანი სპეცოპერაცია ადგილობრივის თვალით

2015 წლის ნოემბრის მიწურულს ტელეარხმა "მაესტრო", პოლიტიკურ თოქ-შოუში გამოაცხადა ინტერაქტიური კვლევა, რომლის შეკითხვა იყო შემდეგი – ვის დაუჭერთ მხარს კონფლიქტის შემთხვევაში: რუსეთს თუ თურქეთს? აღსანიშნავია, რომ ტელემაყურებელთა 82-მა პროცენტმა რუსეთის მხარე დაიჭირა, რამაც სასტიკად აღაშფოთა თოქ-შოუს მონაწილე ნაციონალი არამზადა ზურაბ ჭიაბერაშვილი, პაატა ბურჭულაძის ახლადშექმნილი ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, პირწავარდნილი ნაციონალის მიხეილ მაჭავარიანის ასევე პირწავარდნილი ნაციონალი ძმა ვანო მაჭავარიანი და მწერლად წოდებული სრული არარაობა და ასევე პირწავარდნილი ნაცდაშნაკი ლაშა ბუღაძე.

რა არ აკადრეს ერთმორწმუნე რუსეთის მომხრეთა აუდიტორიას ამ არაკაცებმა – ეს გამოკითხვა მე-17 საუკუნიდან გადმოღებული სინდრომიაო, თურქეთის დღეს ის არ არის, რაც ადრე იყოო, თურქეთის დემოკრატიული ევროპული სახელმწიფოაო და ა.შ.

ვერა და ვერ ურიგდებიან ნაცარამზადები იმ აზრს, რომ გადამწყვეტ ჟამს საქართველოს მოსახლეობა იმ სახელმწიფოს გვერდით დადგება, რომელმაც ორასი წლის წინ გვიხსნა მაჰმადიანთა კლანჭებიდან და ერთ დროს განადგურების საფრთხის წინაშე მდგარი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა 5 მილიონამდე გაზარდა.

რაც შეეხება ქართველთა იდეასინკრაზიას ევროამერიკელ პედერასტთა მიმართ, იგი განპირობებულია იმითაც, რომ არ გვაძლევენ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენისა და სისხლის სამართლის დამნაშავე ნაცთათვის ღირსეული სასჯელის მიზღვის საშუალებას. სწორედ მათ ერთ-ერთ მბიმე დანაშაულზეა საუბარი ქვემორე წერილში!

ომეხ აფრასიძე – ადამიანი, რომლის სახელიც წლების განმავლობაში ბევრ ადამიანს შიშის ზარს სცემდა. დიახ, ეს კაცი ნამდვილად იყო საშიში და არ ვაპირებ ის დანაშაულები ჩამოვწერო, რაც მან ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში ჩაიდინა, მაგრამ...

მესტიაში დავიბადე და გავიზარდე. ალბათ ძალიან პატარა ვიყავი, როდესაც ომეხის სახელი პირველად გავიგე. ამ სახელს მორიდებით ახსენებდა ყველა, დიდიც და პატარაც, მისი ყველას ეშინოდა, ჩემი ინტერესი კი ამ პიროვნების მიმართ სულ უფრო იზრდებოდა. ძალიან მინდოდა საკუთარი თვალით მენახა ადამიანი, რომელზეც ამდენ ცუდს და ხშირად კარგ ამბავსაც ყვებოდნენ.

10 წლის ვიყავი, ჩემ სახლთან ახლოს მესტიაში სუპერ-მარკეტის მსგავსი მაღაზია გაიხსნა. **"ედელვაისი"** დაარქვეს, ეს მესტიაში ყველაზე დიდი მაღაზია იყო და ბავშვებს ბავშვურად გვიხაროდა, რომ ეს მაღაზია სწორედ ჩვენს უბანში იყო. გაკვეთილების სწავლის შემდეგ მთელ დროს **"ედელვაისთან"** ვატარებდით; ალბათ იმიტომ, რომ აქ ყოველთვის ბევრი ხალხი ტრიალებდა.

ერთ დღეს მაღაზიასთან **"ნივა"** გაჩერდა, ამ დროს სკოლიდან ვბრუნდებოდი, ავტომობილიდან გამხდარი შავგრემანი კაცი გადმოვიდა, ფული მომაწოდა და მაღაზიაში რაღაცის საყიდლად შესვლა მთხოვა. უარი ვუთხარი... კაცმა თხოვნა უფრო მკაცრად გამიმეორა, ამ დროს მის ქამარში იარაღიც შევნიშნე, ძალიან შემეშინდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ მესტიაში უცხო ვერაფერს დამიშავებდა და **"ვიღაცისთვის"** მომსახურების გაწევაზე ისევ უარი ვთქვი, ძალიან მეშინოდა. შავგრემანმა კაცმა ჩაიცინა და მაღაზიაში შევიდა, მე ქუჩაში დავრჩი, ჩემზე უფროსი ბავშვები გარს შემომეხვივნენ და მთხოვეს, გავქცეულიყავი, რადგან ომეხ აფრასიძეს უარს ვერავინ ეუბნებოდა და მაღაზიიდან გამოსული აუცილებლად მომკლავდა. შიშისგან ფეხი ვერ მოვიცვალე, გამახსენდა ყველაფერი, რაც ამ კაცზე მსმენოდა, ფეხები მიკანკალებდა და არ ვიცოდი რა გამეკეთებინა, ადგილიდანაც კი ვერ ვიძვროდი. ომეხი მაღაზიიდან მალევე გამოვიდა, მისი ყველა ნაბიჯი დღემდე თვალწინ მიდგას, რამდენიმე წამი საუკუნესავით გაიწელა, სახეზე ცივი ოფლი მასხამდა, ის კი ჩემსკენ მოდიოდა. მაშინ, როდესაც სიკვდილს ველოდი, შავმა კაცმა თავზე ხელი გადამისვა, რამდენიმე **"სნიკერსი"** მომცა და მითხრა, ძმაკაცებთან ერთად გამეყო. როდესაც პირველად ამოვისუნთქე, ომეხი უკვე ძალიან შორს იყო.

ამის შემდეგ ამ კაცს თვალი რამდენჯერმე მოვკარი, ისევ მესმოდა მასზე ბევრი ცუდი და ხშირად კარგიც, მაგრამ დღე, როდესაც იგი ბოლოს ვნახე, საბედისწერო აღმოჩნდა...

2004 წლის 23 მარტს დედაჩემთან ერთად გვიან დამე სახლში ვბრუნდებოდი, უკვე 14 წლის ვიყავი და ბევრ რამეს სხვაგვარად ვაანალიზებდი. **"ედელვაისთან"** ნივა იყო გაჩერებული, როგორც კი მივუახლოვდით, რამდენიმე მამაკაცი ავტომობილიდან გადმოვიდა და კამათი დაიწყო. მაშინვე ვიცანი ის შავი კაცი, რომლისაც ერთ დროს ძალიან მეშინოდა და რომლის ნახვაც ყოველთის ძალიან მინდოდა. სიტუაცია რამდენიმე წამში დაიძაბა, შავი კაცი ძალიან მთვრალი იყო, შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლად რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც არ შეეძლო. ძალიან მთვრალები იყვნენ მისი თანმხლები პირებიც. ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც ომეხი ეჩხუბებოდა, გაიქცა. **"შავ კაცს"** სროლა უნდოდა, მაგრამ იმდენად მთვრალი იყო, რომ იარაღის ამოღებაც კი ვერ მოახერხა. ორმა თამხლებმა მანქანაში ჩასვა, **"ნივა"** ეცერისკენ დაიძრა. ეს ყველაფერი დაახლოებით დამის ორ საათზე ხდებოდა. 13 წლის ბიჭიც კი მივხვდი, რომ ამ სამი ადამიანის დაკავებას იქვე ძალიან მარტივად შეძლებდა 3 პოლიციელი.

დილით საინფორმაციოს და მამაჩემის გინების ხმამ გამაღვიძა. გავიგე, რომ აფრასიძეებს 1.200 კაცის და ვერტმფრენების გამოყენებით გაუსწორდნენ. გავიგე, რომ სპეცოპერაციის ბრძანება პირადად მაშინდელმა პრეზიდენტმა გასცა. შემდეგ ადგილობრივებისგან ხშირად მესმოდა, რომ ომეხის მამა, ევგენი აფრასიძე ჩასაბარებლად აივანზე გამოსული სნაიპერმა მოკლა, რომ ომეხი 3 დღეში პოლიციას საკუთარი ნებით უნდა ჩაბარებოდა, ამაზე მოლაპარაკებები კი შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დასრულებული იყო, რომ ომეხი უკვე დაპატიმრებული და ბორკილდადებული სპეცრაზმელებმა დახვრიტეს. რომ მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ სისხლიანი სპეცოპერაციის შემდეგ კუბდარი მოითხოვა და რაც მთავარია, სპეცოპერაციამდე რამდენიმე საათით ადრე საკუთარი თვალით ვნახე უგონოდ მთვრალი ომეხ აფრასიძე, რომლის დაკავებასაც 3 კაცი თავისუფლად შეძლებდა და რომლის მოკვლასაც 1.200 სპეცრაზმელი და 6 ვერტმფრენი დასჭირდა...

როდესაც ამ ამბავზე ვფიქრობ თავში მხოლოდ ერთი კითხვა მიტრიალებს, – რატომ? რატომ მოკლეს დაკავებული კაცი? რატომ მოჭრეს მკვდარ აფრასიძეს თითი? რატომ დაცხრილეს სახლი, სადაც 4 ბავშვი იმყოფებოდა და რაც მთავარია, რა სინდისით მოითხოვა ბარამიძემ კუბდარი?..

ლაშა ჯაფარიძე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲛᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ �პᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲕᲐᲚᲐᲚᲝ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

მტრის გასახარად, არა მარტო ქართველი ერი გაიხლიჩა დაპირისპირებულთა ჯგუფებად, არამედ ქართული ოჯახებიც გაიყო ორ ნაწილად – ისინი სხვადასხვა, საწინააღმდეგო იდეის მატარებელნი გახდნენ. ასეთი გაუგონარი დაპირისპირება გახდა იმის საფუძველი, რომ თავისი ოჯახი და ქვეყანა დატოვა 1 მილიონ 200 ათასმა ქართველმა. (თ. გუგუშვილი, გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, მიგრაციის სტატისტიკა, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი 2002 წ). უმრავლესობა უმისამართოდ გადაიხვეწა უცხო ქვეყნებში, მათ შორის 800 ათასიდან ერთ მილიონამდე ადამიანმა რუსეთს შეაფარა თავი. ახალგაზრდა ასაკის ათასობით წარმომადგენელი დღეს სხვადასხვა ქვეყანათა ციხეებშია გამოკეტილი, დიდი უმრავლესობა შეეხიზნა ქალებს, თუ რამდენი ხნით ეს გაურკვეველია.

ქართველი ერისათვის ასეთ მძიმე პერიოდში, სხვა ერის წარმომადგენლები, რომელთაც საქართველოს მიერ წარმოებულ ომებში მონაწილეობა არ მიუღიათ, თუმცა მძიმე ეკონომიკურ პირობებში, მაინც ინტენსიურად აგრძელებდნენ თავიანთ სამეურნეო მოღვაწეობას. მაშინ, როცა საქართველოში მოსახლეობას თითქმის არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია, გაზი, არ ურიგდებოდა პენსიები, უმუშევრობამ მოიცვა მთელი ქვეყანა, აზერბაიჯანული მოსახლეობა ინტენსიურად აწარმოებდა ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებს თავიანთ ბაღებში და ქართულ საკოლმეურნეო ბაზრების, მათ შორის ქალაქ თბილისის დიდი ბაზრების 85-90% მათ ხელში გადავიდა. ქართული მოსახლეობა თავის მინიმალურ ფინანსებსაც ბაზრებში ხარჯავდა. დღესაც, როცა ეკონომიკურად მოღონიერდა ქართველობა, მათი შემოსავლის დიდი ნაწილი აზერბაიჯანელ მწარმოებელთა ჯიბეებში მიდის. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ქართულ სოფლებთან შედარებით, ისინი ტერიტორიულად ახლოს არიან თბილისის დიდ ბაზრებთან, რაც უადვილებთ მოწეული მოსავლის დიდი დანახარჯების გარეშე გადაზიდვას და გასაღებას. ასეთი დიდი შრომისა და ბაზრების მომარაგებისათვის მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ თუ სახელმწიფოს მიერ ქართული სოფლის მეწარმენი არ იქნებიან ხელშეწყობილნი, და თუ ისინი ქართულ ბაზარს არ დაუბრუნდებიან, როგორც დომინანტი მეწარმენი, მაშინ ეს გარემოება გამოიწვევს ქართული და აზერბაიჯანული სოფლის მოსახლეობის არათანაბარ განვითარებას, როგორც სიმდიდრის, ასევე მოსახლეობის გამრავლების კუთხით. უკვე ეკონომიკურად ძლიერი აზერბაიჯანული მოსახლეობის აღწარმოება 2-ჯერ გაიზარდა, ქართული მოსახლეობისა კი ისევ მცირდება.

ქვეყანაში მოსახლეობის აღწარმოების საფუძველთა-საფუძველია ცხოვრების საერთო დონის ამაღლება, საქართველოში კი ეს პროცესი 1992 წლიდან კრიტიკულად დაბალ ნიშნულზე ეცემა. საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ინფორმატიკის მიერ გავრცელებული მონაცემების საფუძველზე 1992 წლის დასაწყისში სიღატაკის ზღვარს ქვემოთ იყო 75%, ხოლო ასეთი ოჯახების რაოდენობა წლის ბოლოსათვის 89%-ს მიაღწია, შემდგომ წლებში ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო დაეცა. როგორც ჩანს ქვეყანაში ყველა წარმოება შეჩერდა. გარდა ამისა, ხალხის თვალწინ ჯართად იყიდებოდა მოქმედი ფაბრიკა-ქარხნები, რკინიგზის ახალი ლიანდაგებით დატვირთული ტრანსპორტი ყოველდღიურად გადადიოდა თურქეთში. ამას სჩადიოდნენ ქვეყნის მაშინდელი მოღალატე ე.წ. თავკაცები. მინიმალური ხელფასის სიდიდე ასე დაბალი არასოდეს ყოფილა. მოსახლეობის უმრავლესობის კვების სტრუქტურა ფაქტიურად არ არსებობდა. მოსახლეობის მიერ მიღებული კალორიების 70% მარტო პურზე და პურპროდუქტებზე მოდიოდა. გაუგონარი ეკონომიკური სიდუხჭირის გამო უამრავი ოჯახი დაიშალა, ახალი ოჯახები თუ იქმნებოდა, ისიც არაქართველი ეროვნებების ბაზაზე. რა თქმა უნდა, ქართული ოჯახების დიდი უმრავლესობა დევნილებთან ერთად ძლიერ გადარიბდა, შემცირდა მათი რაოდენობა და ცხოველმოქმედება, მინიმუმამდე შემცირდა ქართველი ერის მაცოცხლებელი ფაქტორი – შობადობა.

როგორც ცნობილია, მოსახლეობის აღწარმოება მოიცავს ადამიანის წარმოშობა-გაქრობის უწყვეტ ბუნებრივ პროცესს. თუმცა მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების გამოცდილებებიდან გამომდინარე, ერთობ რთულია დემოგრაფიული პროცესების პოლიტიკურად და სოციალურად რეგულირება, მაგრამ იგი არ არის მოუგვარებელი. თუ 2-მილიარდკაციანი ჩინეთი არეგულირებს თავის ქვეყანაში დეპოპულაციის მკაცრ პროცესებს, რათა ყოველმა დედამ იყოლიოს მხოლოდ თითო შვილი და ამას ისინი უკვე პრაქტიკულად აღწევენ, მაშინ ქართულმა სახელმწიფომ უნდა შეძლოს უარყოფითი დემოგრაფიული ბალანსის დროული მოგვარება.

იმისათვის, რომ ქართულმა მოსახლეობამ მატების სასურველ შედეგს მიაღწიოს, დემოგრაფიის გაანგარიშებით მრავალშვილიანი ოჯახები მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს, საზოგადოებრივი აზრის გაანალიზებით დასტურდება, რომ ყოველ ქართულ ოჯახში სამი-ოთხი ბავშვის ყოლა აუცილებელია.

უპირველეს ყოვლისა, უარყოფითი დემოგრაფიული მდგომარეობის აღსადგენად, აუცილებელია კეთილმოწყობილი ბინა – საცხოვრებელი ფართი, რაც ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს საშუალო და უფრო დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანების მიზანს, ოცნებას, მით უფრო ახალშექმნილი ოჯახისათვის. ასევე, კეთილმოწყობილი ბინა წამქეზებელი და მასტიმულირებელი ფაქტორია ბავშვების გასაჩენად. სწორედ საშუალო და უფრო დაბალი ფენა წარმოადგენს მოსახლეობის იმ უმრავლესობას, რომლებიც ითვლებიან აღწარმოების ძირითად ფენად. ამასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია რეალური ვარაუდი იმისა, რომ ოჯახში ბავშვის შობადობის გაგრძელების შემთხვევაში ის იქნება უზრუნველყოფილი საბინაო პირობების გაუმჯობესებით. ერთი სიტყვით კეთილმოწყობილი ბინებით უზრუნველყოფა ოჯახებისა, გლობალური ფაქტორია შობადობის სტიმულირებისათვის.

ახლა დავუბრუნდეთ საქართველოში გასული საუკუნის 80-იანი წლების ზოგიერთ დემოგრაფიულ მონაცემებს, რომლის შემდეგ, ცნობილი მიზეზების გამო, კიდევ უფრო დაბლა ეცემა მხოლოდ ქართული მოსახლეობის მაცოცხლებელი პერსპექტივები – შობადობა და ოჯახში მრავალშვილიანობა.

თუმცა, ეს მონაცემები დღევანდელ მსგავს მონაცემებთან ათეული წლებით გვაშორებს, მაგრამ ზემოთ ნათლად იყო ჩვენს მიერ გაანალიზებული თუ რა ტრაგიკული შედეგები მოგვიტანა 90-იან წლებში საქართველოში დატრიალებულმა შიდა დაპირისპირებებმა და აფხაზეთში და სამაჩაბლოში წარმოებულმა ომებმა, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა ქართული მოსახლეობის ისედაც არასტაბილური დემოგრაფიული პორტრეტი.

აშკარაა, რომ 1970-1989 წლებში, საქართველოში, დიდი უპირატესობით მატულობს (ორმაგად და მეტად) აზერბაიჯანული მოსახლეობა, ქართულთან შედარებით.

მონაცემებიდან ჩანს, რომ 1.000 ქალიდან გათხოვილთა რაოდენობით, როგორც 16-19 წლამდე, ასევე 20-29 წლის ასაკებში დიდ უპირატესობათ აქვს აზერბაიჯანელებს, შემდეგ კი სომხებს, ხოლო ქართველები მათ ბევრად ჩამორჩებიან. რა თქმა უნდა, ასეთი სტატისტიკური მონაცემები ქართველებისათვის მეტად დამაფიქრებელი არის და შემაშფოთებელიც. როგორც იტყვიან, ეს გზა ტაძრამდე ვეღარ მიგვიყვანს, არადა ჩვენს მოძმეებს ხომ ვერ ეტყვი – გამრავლება შეწყვიტეთო.

ამჟამად შობადობის ჯამობრივმა კოეფიციენტმა საქართველოში ქართული მოსახლეობისათვის კრიზიულ დონეს მიაღწია და მისი მდგომარეობა მეტად მძიმეა, ხოლო აზერბაიჯანელების, სომხებისა და ქურთების შობადობის მაღალი დონე კვლავ ფიქსირდება.

ერის მწვავე დემოგრაფიული პრობლემებით დაინტერესებულმა ჯგუფმა შეადგინა საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის კონცეფცია, სადაც აღნიშნულია, რომ 1259 წლის აღწერით საქართველოს მოსახლეობა 8 მილიონს შეადგენდა (ზოგიერთი დემოგრაფი 5 მილიონს აფიქსირებს), 1770 წლის აღწერით ის ბევრად შემცირდა და გახდა 761.000 კაცი, 1800 წელს ქვეყანაში რუსების მოსვლამდე, ქართველთა რაოდენობა 675.000 ჩამოვიდა. საბჭოთა სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ, 70 წლის განმავლობაში, საქართველოს მოსახლეობა 5.467.000 გახდა, მათ შორის ქართველები 3.787.393 ანუ მთელი მოსახლეობის 70 პროცენტს შეადგენდნენ (ეს მონაცემები 1989 წლის აღწერითაა დადგენილი, როცა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალური მდგომარეობა ჯერ კიდევ სტაბილური იყო.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

თუ საქართველოს სავალალო დემოგრაფიული მდგომარეობა, ქართველი ერის უპირველესი ინტერესებიდან გამომდინარე (ეს პრობლემები სრულებითაც არ აწუხებს ჩვენს მოძმე ერებს საკუთარ სამშობლოში), არ იქნა შეჩერებული და ლიკვიდირებული სახელმწიფოს მიერ კომპლექსური ღონისძიებებით, 2050 წლისათვის ქართველი ერი საკუთარ სამშობლოში აღმოჩნდება უმცირესობაში. ამის აღსაკვეთად კი აუცილებელია:

ყოველი ქართული ოჯახი (მხოლოდ ისაა კრიზისულ მდგომარეობაში), მისი წევრების რაოდენობის მიუხედავად, სადაც ქალი ფერტუალური (შობადობის უნარი) აქტივობით გამოირჩევა, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კეთილმოწყობილი ბინით, გაეწიოს მას, აუცილებლად საჭირო ფინანსური დახმარება შვილების აღსაზრდელად (და არა ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით, რაც ბავშვისათვის მხოლოდ პამპერსის შესაძენად თუ ეყოფა).

შობადობის დროს, სამედიცინო დაწესებულებაში, მშობიარე ქალი უნდა განთავისუფლდეს დაწესებული **„ბეგარისაგან“**, რადგან შვილი მარტო დედის საკუთრება და სიამოვნება კი არაა, არამედ იგი ქვეყნის მშენებელი უნდა გახდეს.

გ) ოჯახის შექმნის მიზანი, მისი მრავალშვილიანობა მორალური ვალდებულებაც უნდა გახდეს და პრესტიჟიც, ერისა და ქვეყნის წინაშე, რადგანაც მას ეს სჭირდება გადასარჩენად.

აუცილებელია საქართველოში აბორტის კანონით აკრძალვა, ხოლო ამ კანონის მიღების შემდეგ მისი დამრღვევები, მედიცინის მუშაკი იქნება თუ სხვა სახის ბებია ქალები, მიცემულ უნდა იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

საქართველოში, როგორც ერთ-ერთი უძველესი კულტურის ქვეყანაში, შემოსული და მუდმივ მაცხოვრებლად დამკვიდრებული ყველა ერის წარმადგენელი ვალდებული უნდა იყოს შეისწავლოს და გაათვითცნობიეროს ქართული სახელმწიფო ენა, პატივი სცეს და დაიცვას მისი კულტურული ფასეულობები, როგორც საკუთრება.

ყველა ჩამოთვლილი და სხვა აუცილებლად საჭირო დემოგრაფიული ღონისძიებების დროულად გატარება სახელმწიფოს მიერ, მომავალში, საქართველოს ააცილებს მოსალოდნელ კონფრონტაციას, როგორც ამას, საუბედუროდ, ადგილი ჰქონდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში.

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲖᲐᲫᲐᲠᲐᲘᲐ,
ᲑᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ,
ᲝᲜᲔᲠᲘ ᲫᲐᲫᲣᲐ,
ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ,
ᲙᲚᲘᲛᲔᲜᲢᲘ ᲙᲘᲙᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

”ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲙᲘᲠᲔᲑᲡ” – ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲛᲝᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲔᲜ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ?!

”ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲛᲐ ᲬᲚᲔᲚᲘ�წᲐᲓᲨᲘ 10 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ �გᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ... ᲛᲘᲡᲘ ᲯᲘᲣᲢᲝᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲪᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲔᲑᲐᲐ. ᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲛᲐᲡ ᲡᲣᲠᲡ ᲔᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ”, – ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის, ამ კატეგორიული განცხადების პარალელურად, ავლაბრის რეზიდენციიდან პრეზიდენტის გამოსახლებაზე თითქმის ორწლიანი კამათი მთავრობაშიც ახალ ძალას იკრებს. უმრავლესობის წევრებიც დარწმუნებით აცხადებენ, რომ გიორგი მარგველაშვილს, **”კინაღამ თეთრ სახლზე დიდი”** პრეზიდენტის სასახლის დატოვება და ათონელის ქუჩაზე გადასვლა უახლოეს მომავალში აუცილებლად მოუწევს.

როგორც ჩანს, პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, თუმცა აძლევს თუ არა კანონმდებლობა დაინტერესებულ პირებს პრეზიდენტის რეზიდენციიდან იძულებით გამოყვანის შესაძლებლობას და რა მექანიზმი აქვს პროცესის შესაჩერებლად თავად ქვეყნის მთავარსარდალს, ამ დეტალებში გარკვევა სამართალმცოდნეებთან ვცადეთ. სხვათა შორის, 2013 წლის 4 ნოემბერს პრეზიდენტის პოსტზე ახალარჩეულმა მარგველაშვილმა ქვეყნის პირველი პირის რანგში ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება გაახმაურა და ავლაბრის სასახლეში ქართულ-ამერიკული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის განთავსებაზე ისაუბრა: ”პოლიტსაბჭოზე წამოვაყენე წინადადება, რომ შენობაში უნივერსიტეტი განთავსდეს. ამის შემდეგ მინისტრს, ქალბატონ თამარს ვესაუბრე და ერთად ჩამოვყალიბდით, რომ რეზიდენციაში ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი უნდა ამოქმედდეს, რომელიც, სავარაუდოდ, მომავალი წლიდან გაიხსნება... მიხარია, რომ ფული, რომელიც ბიუჯეტიდან დაიხარჯა აი, ასეთ ფეშენებელურ შენობაზე, ქართველ სტუდენტობასა და განათლებას მოხმარდება”.

ᲗᲐᲮᲢᲐᲜᲑ ᲫᲐᲑᲘᲠᲐᲫᲔ, კონსტიტუციონალისტი: ”საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო ქონებას მთავრობა განკარგავს. ამიტომ შესაძლოა, პრეზიდენტის რეზიდენციიდან გამოყვანის მიზნით მმართველმა გუნდმა ავლაბრის სასახლე ბიბლიოთეკას, უნივერსიტეტსა თუ შინაარსობრივად მსგავსი ტიპის სხვა ორგანიზაციას სიმბოლურ ფასად გადასცეს. არც იმას გამოვრიცხავ, ეკონომიკურმა გუნდმა ის სოლიდურ თანხადაც გაყიდოს. ალბათ, მსგავსი სცენარის საბოლოო მიზანი შენობაში პრეზიდენტის ყოფნის უკანონოდ გამოცხადება იქნება, თუმცა აქ სხვა სამართლებრივი ფაქტორებიც უნდა გავითვალისწინოთ – გიორგი მარგველაშვილმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტის ადგილსამყოფლად ავლაბარში მდებარე რეზიდენცია განისაზღვრა. ვერ გეტყვით, საკუთარი ინტერესების სამართლებრივად გამართვას რომელი მხარე უფრო სრულყოფილად მოახერხებს, თუმცა ერთი რამ ნათელია – ყველაფერი მთავრობის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. მმართველი გუნდი მზად უნდა იყოს იმისთვისაც, რომ მსგავსი გადაწყვეტილება მისთვის პოლიტიკურად წამგებიანი იქნება, თანაც, თუნდაც შენობის გაყიდვის ან გაჩუქების შემთხვევაში, სანამ პრეზიდენტი რეზიდენციაში ცხოვრობს, შენობას სახელმწიფო დაცვის სამსახური იცავს. ამიტომ ხელისუფლებას იმაზე ფიქრიც მოუწევს, საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულება რა ფორმით უნდა უზრუნველყოს. ერთი სიტყვით, საკმაოდ არაორდინარული ვითარებაა, რომელმაც შესაძლოა ქვეყნის იმიჯი მნიშვნელოვნად დააზარალოს”.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲐᲚᲐᲤᲘᲨᲕᲘᲚᲘ, იურისტი: ”პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაკავშირებით ისე მიდის საქმე, გიორგი მარგველაშვილს იძულებულს გახდიან, სამართალდამცველებს მიმართოს, რომ მის მიმართ იძულების ან იძულების მცდელობის ფაქტზე გამოძიება დაიწყონ. დანაშაული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლით და მისი ჩადენისთვის სასჯელის მაქსიმალურ ზომად თავისუფლების ერთი წლით აღკვეთა განისაზღვრება. პარლამენტის მიერ ცოტა ხნის წინ მიღებული კანონის ციტირებას ვახდენ: ”ადამიანისათვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისაგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, ისჯება ჯარიმით ან გამოსასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით”.

ასე რომ, სამართლებრივად პრეზიდენტის გამოსახლება გონივრული გადაწყვეტილება არ იქნება. იმედი მაქვს, შესაბამისი ორგანოები კანონის ფარგლებში იმოქმედებენ, რადგან საქმე ქვეყნის მთავარსარდალს ეხება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გადაწყვეტილების მიმღები ამ ქვეყანაში პრეზიდენტი და მთავრობა, ქონებრივ საკითხებზე კი – სასამართლოა. თუ დავა აღნიშნულ ჭრილში გაგრძელდა, შესაძლოა, საქმე სასამართლომდეც კი მივიდეს – წარმოიდგინეთ სასამართლო პროცესი, სადაც **“პრეზიდენტი და მთავრობა სახელმწიფო ქონებისთვის დაობენ”**. ბუნებრივია, ავლაბრის რეზიდენციის ირგვლივ განახლებული აჟიოტაჟის ფონზე გიორგი მარგველაშვილთან დაკავშირებაც ვცადეთ, თუმცა პასუხი პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან მივიღეთ – მარგველაშვილი საკუთარი ნებით შენობის დატოვებას არ აპირებს.

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲨᲔᲚᲘᲐ

ზურაბ კვარაცხელია ბლოგი

გზანათელზე ევლოს მარადის...

1982 წლის 13 დეკემბერი... ღმერთო ჩემო... 33 წელი გასულა იმ საბედისწერო დღის შემდეგ... 33 წელი გასულა რაც ვიტალი დარასელია ტრაგიკულად აღესრულა... მას 33 წლის წინ უმუხთლა განგებამ და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ლეგენდარული მობურთალი – საწუთროს განაშორა... მაგრამ, თვით ვერაგმა სიკვდილმაც კი, ვერა დააკლო რა მისადმი ხალხის გულრწფელ და უანგარო სიყვარულს... ვიტალი მართლაც უყვარდათ „დინამოს" და არამარტო „დინამოს" მრავალრიცხოვან ქომაგებს... ვიტალი უყვარდათ ნამდვილი ფეხბურთის ჭეშმარიტ გურმანებს... ვიტალი უყვარდათ მისი ფილიგრანული და გულიანი ბურთაობის გამო... თუმცა, რატომ უყვარდათ – ის უყვართ დღესაც... ის გვიყვარს დღესაც... მისი დიდოსტატური თამაშის მნახველ ქომაგთ შეუძლებელია მისადმი სიყვარული ოდესმე გაგვინელდეს... შეუძლებელია ვიტალის, ამ ოჩამჩირელი კოლხი ჭაბუკის ჩვენი გულებიდან ამოღება... ო, ღმერთო... რამხელა სიხარული მომანიჭა იმ დაუვიწყარი 13 მაისის ღამეს ჩემი სიყმაწვილის ამ ერთ-ერთმა უმთავრესმა გამლამაზებელმა და ლეგენდარული „დინამოს" ამ მართლაც დიდმა მობურთალმა... ის იყო ბოლო საფეხბურთო ტრიუმფი... მას შემდეგ ჩვენ სპორტის ამ ულამაზეს და უპოპულარეს სახეობაში დასაკვეხნი არც არაფერი გვქონია... და, საერთოდ მგონია, რომ ვიტალი დარასელიას სიკვდილთან ერთად დაიწყო ჩვენი ფეხბურთის სასიკვდილო აგონიაც და ღმერთმა ჰქნას – მოხერხდეს მისი სიცოცხლისაკენ შემობრუნება, მისი რეანიმაცია... ღმერთმა ჰქნას... ღმერთმა ჰქნას ახალი დარასელიები, შენგელიები, ყიფიანები, ჩივაძეები, ხინჩაგაშვილები, სულაქველიძეები, კოსტავები, გუცაევები, გაბელიები, ხურცილავები, მესხები, მეტრეველები, სიჭინავები, ბარქაიები, იამანიძეები, კოტრიკაძეები, ღოღობერიძეები, ჯეჯელავები, პაიჭაძეები კიდევ გამოჩნდნენ საფეხბურთო მოედნებზე... ღმერთმა ჰქნას...

ვიტალი დარასელიას, ჩვენი დაუვიწყარი და ლეგენდარული ვიტალი დარასელიას სული კი გაანათლოს უფალმა...

თანამოძალაძენო!!!

მავანთა არაადექვატური ინტერნეტ-პრუწუნის ატანა მართლა შეუძლებელია უკვე და ამიტომ მინდა ერთ ფაქტს გავუკეთო კონსტატაცია... შემჩნეული მაქვს, რომ იმ ადამიანებს, ვინც სამშობლოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნის გამთლიანების თვალსაზრისიდან გამომდინარე, ბოლოსდაბოლოს ცუდსა და უარესს შორის უკეთესის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთების აუცილებლობიდან გამომდინარე – ვცდილობთ გარკვეული საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას – ძირითადად ობსტრუქციას ისინი გვიწყობენ, ვინც თავის დროზე მავანთა მიერ საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ მიჩნეულნი იყვნენ სუკ-ის აგენტებად... უნდა ვაღიარო, რომ ზოგიერთის რეაბილიტაციას მეც შევეცადე მაშინ და არცთუ წარუმატებლად, თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ ახლა გულწრფელად ვნანობ ამას!.. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მე შესაძლოა ფსიქიატრიის ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ამ ვითომ ძალიან მაგარ ეროვნულებს როგორც ჩანს დიდი და ღრმა კომპლექსი აწუხებთ და თუ ეს ასე არ არის მაშინ ან უსაშველოდ ბრიყვები არიან ან კიდევ, ევროამერიკული იმპერიალიზმის წვრილფეხა აგენტები, რომელთა მიზანიცაა არ დაუშვან საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობის მოწესრიგება... არადა, ჩრდილოურ ზესახელმწიფოსთან ურთიერთობის მოგვარება უწინარესად ჩვენსავე ეროვნულ ინტერესშია!!!

ასეა თუ ისეა, მინდა ზოგიერთებს შევაგონო, რომ ნუ იქნებიან რომის პაპზე უფრო დიდი კათოლიკენი, რადგან როცა ამას ცდილობენ – სასაცილო და კომიკურ სიტუაციაში იგდებენ თავს!!! პატრიოტობა და სამშობლოს სიყვარული მართლა მათივე ბოდვები ნუ ჰგონიათ ვიღაცეებს!!! ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიტყვი: ჩვენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივად სწორი, მართებული და სტრატეგიული აზროვნება-გარჯის გარეშე უცილობელი კატასტროფა გველოდება!!!

P. S *ვისაც ამ აქსიომატური ჭეშმარიტების გაგების უნარი არ გააჩნია – უმჯობესია მომშორდეს თავიდან, რადგან ამ კატეგორიის უგუნურთა დაბრძენების იმედიც უკვე ფუჭია ნამდვილად!..*

საქართველოს სულიერ-რელიგიური მდგომარეობა

„ქართველი ხალხი სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს ანუ მას ქრისტეს მეორედ მოსვლა სურს. აი, რა უნდა ქართველ ხალხს ქვეცნობიერად."
მ. ქართველი

ცოდვების მოსპობა შესაძლებელია მხოლოდ მართალი აზროვნებით და სწორი განათლების ორიენტირებით, რომლის მოცემა შეუძლია მხოლოდ მეცნიერულ რელიგიას, მართლმადიდებლობას, ეკლესიასა და ყოველმხრივ განათლებულ პატიოსან სამღვდლოებას.

ხშირად გვსმენია მღვდელმსახურთაგან: **„ჩვენ ქრისტიანები ვართ, ამიტომ „მოსესთან" და მის წარმართულ რელიგიასთან არაფერი გვესაქმება"**-ო.

მათ ვეუბნები შემდეგს: – ხალხნო, სირცხვილია, როგორც სულმნათი მ. ქართველი იტყოდა, მომავალი თაობები დაგვცინებენ, როგორ შეიძლება მოსეს, იაკობის, ისაკის, აბრაამის, ნოეს და თვით ადამის – მსგავსი ტერმინით მოხსენიება, ეს ხომ ძველი და ახალი აღთქმის სრული უცოდინარობის გამოხატულებაა და ა.შ.

თვით ადამს, უარყოფითი მსოფლმხედველობითი შეხედულების გამტარებელს, უფალი შექმნიდა თავის ხატად და მსგავსად შემცნობელს ბოროტისა და კეთილისას?

– ბუნებრივია, არა!

სინამდვილეში პირველი კეთილისა და ბოროტის შემცნობი ადამიდან, იესო ქრისტეს ჩათვლით, ხსენებული პატრიარქები მართლმადიდებლური მსოფლმხედველობისანი არიან. მათ შორის მხოლოდ ეპოქალური რელიგიის ხარისხობრივ განსხვავებას აქვს ადგილი, რომლებსაც დროთა განმავლობაში ერთმანეთის ზედშენებით ქმნიდნენ ხსენებულნი პატრიარქები და საბოლოო ჯამში მივიღეთ რელიგიური მრწამსის უმაღლესი ცნობიერების ქრისტიანული – მართლმადიდებლური სარწმუნოება.

მსოფლიოში არსებულ რელიგიათა ფუნდამენტალურ, მართლმადიდებლურ საყისებზე დაფუძნებისა და რელიგიათა ხარისხობრიობის კიდევ ერთი დასტურია წერილი, რომელშიც ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა – მაჰმუდ აჰმადინეჯადმა 2007 წელს მოულოცა სრულიად ქრისტიანულ სამყაროს ბრწყინვალე აღდგომა (დაიბეჭდა ჟურნალ **„ქაროზი"**-ში №1 (44), 2007წ.). გთავაზობთ მილოცვის სრულ ტექსტს:

„იესო ქრისტემ მშვიდობა და სიკეთე აუწყა ყველას.

ვულოცავთ ყველას ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს და ახალი წლის დადგომას.

იესო ქრისტემ (წმინდა იყოს სახელი მისი) სამართლიანობასა და რწმენაზე დამყარებული მშვიდობა და სიკეთე აუწყა ყველას. ის იშვა დედის კალთაში, რომელიც უფალმა წმინდანად აკურთხა და ყველა დედაზე მაღლა დააყენა, ღვთისმშობელი დედა და მისი ძე უფალმა აამაღლა.

ეჭვგარეშეა, მოწყალე და მწყალობელმა უფალმა შექმნა ადამიანი და არც შემდეგ მიუტოვებია იგი – მოციქულთა და წმინდანთა მოვლინებით ყოველთვის ლოცავდა და ყოველთვის სწორ გზას უჩვენებდა მას. კაცთა მოდგმა არ გაჩენილა შუღლისა და მტრობისათვის, დაპირისპირებისა და ბოროტებისათვის, არამედ იმისათვის, რომ მეგობრობის, ძმობის, სიყვარულისა და სამართლიანობის გარემოში გზა დაუთმონ მომავალ თაობებს. ადამიანის შექმნის ფილოსოფია გულისხმობს უმანკო ცხოვრების, გონებრივი შესაძლებლობების განვითარების, დედამიწაზე სამართლიანობისა და სიკეთის გავრცელების ბედნიერების მიღწევას. ეს ღვთის სიტყვაა, და როდესაც მჩაგვრელთა და მოძალადეთა მიერ ჩადენილი ბოროტება და უსამართლობა დაიპყრობს ქვეყნიერებას, იქნება მეორედ მოსვლა, რასაც ნათლად აცხადებს უფლის ყველა მოციქული.

სამწუხაროდ, ისტორიის მანძილზე ერთი მუჭა თავკერპა და ბოროტი ადამიანები წინ აღუდგნენ უფლის სიტყვას, რაც ყველა უბედურების, ომისა და მტრობის სათავე და მიზეზია. მსოფლიოს დღევანდელი ყოფა ყველასათვის ცნობილია: პალესტინაში, ერაყში, ავღანეთში, სამხრეთ აფრიკაში, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაშიც კი მოძალადეთა პარტიულ და ჯგუფურ ინტერესებს ეწირება ადამიანის სიმშვიდე, სიკეთე, პატიოსნება და ნამუსი. სიმართლისა და პატიოსნების ნაცვლად სიცრუესა და ორპირობას უხსნიან გზას. უამრავი ადამიანი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებული მიდგომებით შეუძლებელია ადამიანთა სიმშვიდის უზრუნველყოფა.

ვინ იცის, იესო ქრისტე (წმინდა იყოს მისი სახელი) დღეს რას გადაწყვეტდა, ვის შეაჩვენებდა და ვის დაუდგებოდა გვერდით. უდავოდ, ის დაგმობდა სიბილწესა და აღვირახსნილობას, რომელიც ქალის ღირსებასა და სახელს შეურაცხყოფს, იმ ღირსებს, რომლის მაგალითსაც თვით წმინდა მარიამ ღვთისმშობელი წარმოადგენდა.

იესო ქრისტე დღეს დაგმობდა ამ მოვლენას, რომელიც მსოფლიოს უბიძგებს უსამართლობისკენ, აცლის მას სულიერებას და სიმშვიდეს. სწორედ ამიტომაა, რომ უფლის მოციქულთა ჭეშმარიტი მიმდევრები დღეს ირჩევენ სამართლიანობის, მშვიდობისა და სულიერების განმტკიცების გზას.

მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელმა წელმაც უსამართლობის, აგრესიისა და ხალხთა უფლებების დარღვევის პირობებში ჩაიარა, სულ უფრო ხმამაღლა ისმის სამართლიანობის და რწმენის დამკვიდრების მოწოდებები. დღითიდღე მტკიცდება ერთა რწმენა უფლისადმი და ამიტომ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მიესალმებიან ღვთის მოციქულთა სწავლებებს.

როგორც იესო ქრისტე მოუწოდებდა ადამიანებს სიკეთისაკენ და მათ ურჩევდა განეგდოთ ბოროტი, მისი ჭეშმარიტი მიმდევარნიც ისევე იქცევიან. ისინი უფლისადმი რწმენითა და სიკეთით არიან გამსჭვალულნი. გვწამდეს, რომ წმინდა მოციქულთა სწავლებების აღსრულება მსოფლიოს სწორ გზაზე გაიყვანს.

ჩვენ გვწამს, რომ იესო ქრისტე ყველა მოციქულის დანაპირების აღსასრულებლად მეორედ მოვა დედამიწაზე და ეს დღესასწაული ერთი წლით კიდევ უფრო გვაახლოებს ამ დიდ მოვლენასთან.

გილოცავთ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს და ახალი წლის დადგომას, უფალს შევსთხოვთ ირანისა და მსოფლიოს ყველა ქრისტიანის ბედნიერებას და ჯანმრთელობას. დაე, ახალი წელი სიუხვისა და წარმატების მომტანი იყოს მათთვის."

მოცემული წერილის შინაარსის გაცნობის შემდეგ მეეჭვება ვინმე დარჩეს ქრისტიანთა და მუსულმანთა რელიგიური უთანხმოების გამზიარებელი. და თუ მსოფლიოს რომელიმე კუთხეში ხდება უმსგავსო ქმედებები, ეს მხოლოდ შეკვეთილი კრიმინალთა ბანდებია, როგორც ხდებოდა 90-იან წლებში საქართველოში.

მთავარია ადამიანს ჰქონდეს სწორი წარმოდგენა მიწიერ არსებობაზე და უსასრულო სამყაროს მიმართ, თუ საიდან მოვდივართ, სად ვართ და სად მივდივართ. ბუნებრივია, სულით მოუმწიფებელ ადამიანთა მხრიდან სრული დისკომფორტი გამოიწვიოს დასმულმა საკითხმა, მაგრამ მათ ვპასუხობ მხოლოდ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ მოძღვრებით:

„ვკარგავთ ჩვენს წლებს ბგერის უსწრაფესად.

ჩვენს წელთა რიცხვი სამოცდაათი წელიწადია,

ხოლო ჯანმაგრობის დროს – ოთხმოცი წელიწადი;

და ამათგან უმეტესი ჯაფა და უსამართლობაა,

რადგან სწრაგად გაივლიან და ჩვენ მივფრინავთ."

(ფსალ 89,10)

„რადგან ვარსკვლავებზე მეტად ბრწყინავენ მათი სახეები, ვინც თავშეკავებულ ცხოვრებას მისდევდა, ჩვენი სახეები კი წყვდიადზე უშავესია.

არ ვფიქრობთ ცოცხლები, როცა უსამართლობას ჩავდივართ, რა განსაცდელი მოგველის სიკვდილის შემდეგ."

(ეზრა 7,57)

დედამიწაზე ცოცხალი კვერცხუჯრედიდან მიღებულ პირველყოფილ ადამიანს არ ჰქონდა (არ შეეძლო) სამყაროს მიმართ სწორი ხედვა, განათლება და კულტურა, არამედ კოლოსალური დროის შედეგად მიღებული ფიზიონომიური, ცნობიერ-კულტურული ევოლუციის შედეგად გახდა თავისთავისა და მის გარშემო არსებულის დამკვირვებელი (შემსწავლელი), დედამიწაზე პირველი ადამიანი, რომელმაც ერთმანეთისგან გამიჯვნა **„შეიძლება"-„არ შეიძლებას"** კულტი, ეს იყო ქურუმ-პატრიარქი ადამი (მანამდე ყველაფერი შეიძლებოდა, რადგან არ არსებობდა რჯული და ცოდნა).

ადამიდან მოსეს ჩათვლით, ექვსივე ქურუმ-პატრიარქნი ქმნიდნენ და ემსახურებოდნენ გარკვეული დროთა დისტანციური შუალედებით, ერთმანეთის ზედშენებით დედამიწაზე წუთისოფლურ-ყოფითი არსებობის დახვეწასა და მის შეცნობას, რომელსაც კაცობრიობის ცნობიერი დიაპაზოით მეცნიერება და რელიგია ჰქვია!

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე ვგებულობთ, თუ როგორ იქმნებოდა წუთისოფლური ყოფითი წეს-ჩვეულებები და ადამიანური ფასეულობები დედამიწაზე, რომელიც დაგვირგვინა პატრიარქმა მოსემ ათი ცნების ქადაგებით. ვინაიდან **„ღმერთმა შექმნა ადამი თავის ხატად და მსგავსად"** (დაბ, 1,27), დედამიწიერ ადამიანს სულიერ-გენეტიკური მოწიფულობიდან უჩნდება გრძნობა ჩვენი პლანეტის გარშემო არსებული უსასრულო სამყაროს ცოდნის შესახებ, ანუ, საიდან მოვდივართ, სად ვიმყოფებით და სად უნდა წავიდეს ყოველივე დედამიწაზე არსებული.

ხსენებული ცოდნის შეცნობა შესაძლებელია მხოლოდ მესამე რჯულით, იესო ქრისტეს მოძღვრებითა და ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ზიარებით, რომლის სრული ცნობიერებაზე ზიარებას იწყებს კაცობრიობა იოანეს წყლით ნათლისცემის 2000 წლიანი ეპოქის დასრულების შემდგომ: **„შენ ხარ ის, ვინც უნდა მოვიდეს, თუ სხვას უნდა ველოდოთ?"** (ლუკა 11,3)

აქედან გამომდინარე უნდა ვიცოდეთ, რომ პატრიარქი მოსეს დედამიწიერი მეექვსე ცნობიერებიდან, იესო ქრისტეს ზეციური სასუფევლის, სულიწმიდითა და ცეცხლით მონათვლის მეშვიდე ცნობიერებამდე, გარდამავალი – მოსამზადებელი წინა პერიოდის სახით დევს 2000 წლიანი იოანეს წყლით ნათლისღების ეპოქა, რომლის ამოწურვის ბოლო ფაზაში იმყოფება მიწიერი კაცობრიობა, ამიტომ მსოფლიო ბობოქრობს, ის (მსოფლიო) ახალი ცნობიერების მიღების ზღვარზეა, რასაც მაცხოვარი იესო ქრისტე ახლო მომავალში ნათელს მოჰფენს ყოველივეს, ამინ!

მშრმან ხუბულავა,
(გაგრძელება იქნება)

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲡᲞᲘᲚᲝᲡ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲤᲠᲔᲜᲔᲑᲔ...

ᲕᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲡ

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ გივი სომხიშვილის ეს წერილი ორი წლის წინ გამოქვეყნდა გაზეთ "ᲝᲚᲞᲝᲠᲨᲘ". მაშინ "ნაციონალური მოძრაობა" უკვე გაძევებული გახლდათ ხელისუფლების სადაგეებიდან და ხალხს იმედი ჰქონდა, რომ სამართლიანობა მალე აღდგებოდა და ქვეყანა აღმშენებლობის გზას დაადგებოდა. მით უმეტეს, რომ იმ დროს სამარცხვინო სააკაშვილი გადავირჩიეთ პრეზიდენტობიდან და საქართველოში "ორხელისუფლებიანობაც" დამთავრდა. მაგრამ გავიდა სამი წელი ახალი ხელისუფლების მოსვლიდან და ახლა ორხელისუფლებიანობაზე მძიმე პოლიტიკური დარი გვიდგას, რადგან ორხელისუფლებიანობის დროს ორივე ხელისუფლება ცდილობს სასიკეთო საქმეთა ქმნას, მაგრამ მაშინ, როცა ოცნების ხელისუფლება ცდილობს ქვეყანაში მდგომარეობის სასიკეთოდ შემობრუნებას, სრულიად უსარგებლო რუდიმენტად ქცეული ნაცმოძრაობა ყოველნაირად უშლის ხელს ქვეყანაში მიმდინარე სასიკეთო ძვრებს...

ყველაფერი ეს კი ამერიკელების მიერ თავსმოხვეული კოჰაბიტაციის ბრალია, რამაც საშუალება არ მოგვცა, რომ სათანადო რეაგირება მოგვეხდინა ნაციონალების მტრულ მოქმედებებზე, რამაც დიდი ხნით დასწია საქართველო უკან.

ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ ბატონ გივი სომხიშვილის აღნიშნული წერილის კიდევ ერთხელ გამოქვეყნება.

არა და არ მოედო ბოლო ქართულ ნაციონალურ სიწმინდეებში ბინძური ხელის ფათურით, ევროატლანტიკური ცინიზმით შენელებული და ამერიკული დემოკრატიის საფანელმოყრილი პოლიტიკური თაღლითობით ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყის დაჩაჩანაკების მოღალატურ მცდელობას.

ამერიკელთა მიერ ოკუპირებულ საქართველოში განა ეროვნული სიამაყის დამცრობის მკაფიო მაგალითი არ არის უცხოეთიდან თავსმოხვეული კოჰაბიტაცია?!

ქართველი ხალხი გათავხედებულ ნაციონალთა აღვირახსნილი ძალადობით მოთმინების ზღვართან იყო, რომლის გადალახვის შემთხვევაში ქვეყნის მოსპობის და ერის გადაგვარებად მოვლენილ გაზულუქებულ პარაზიტებს ვერავითარი უცხოელი პატრონი ვეღარ უშველიდა. ამერიკელებს ამის მწარე აბები ჯერ კიდევ კუბიდან აქვთ ნაყლაპი, მაგრამ ჭკუის სასწავლებლად მაინც არ ჰყოფნით.

მსოფლიო საბორდელოდ გადაქცეული კუბა ამერიკასთან სტრატეგიული პარტნიორობის, გახრწნის, გარყვნილობის და ეკონომიკური დაბეჩავების ნათელი მაგალითი იყო. რომელ ეროვნულ სიამაყეზეა ლაპარაკი, როცა გაზულუქებული ამერიკელები თავიანთ ზნედაცემულობას კუბის კაზინოებში, სასტუმროებში, რესტორნებში და საბარდელოებში იკმაყოფილებდნენ.

ეს პროცესები შეუქცევადი რომ ეგონათ, კუბის ღირსეულმა მამულიშვილებმა ქვეყანა გამოგლიჯეს ზნედაცემულ, დემოკრატიისნიღბიანი ამერიკული სპრუტის საცეცებს და, ზედ მის ცხვირწინ, ეროვნული სიამაყის გამარჯვებას დღემდე ზეიმობენ.

მთელ მსოფლიოში სამარცხვინოდ ისმის ევროკავშირის კარებთან ქართველ პოლიტიკოსთა ღრეჭა ჩვენს მისაღებად. ქართველებს ვიღაცეები რაღაცას შეპირდებიან, როგორც ბრჭყვიალა სათამაშოსათვის ტირილით გადაფიჩინებულ ბავშვს, ჩამოვლენ საქართველოში და ტელეეთერებში თავიანთ სასაცილო მიღწევათა შიგთავსს ამაყად ჩამოცლიან, რადგან ევროპიდან ჭირვეული ბავშვივით დაყვავებით გამოუშვეს და ჭიტლაყით არ გამოაპანღურეს. ესაც დიდი სტიმულია ევროპის კარზე ისევ მათხოვარივით ასატუზად.

არა და, ამ საცოდავ თაგვებს ცაში ლაღად მოსრიალე ჩიტებად კი არა, ღამურებად გადაქცევაც არ აღირსეს მათმა ევროპელმა წამქეზებლებმა. მაინც კმაყოფილები არიან და, როგორც ფარეხში ჩამოკიდებული კატის ჩხავილი მშიერ ცხვრებს, ისე დაგვჩხავიან გაუსაძლის ცხოვრებისაგან შეჭირვებულთ ევროატლანტიკური ლაქუცის ქართველი ხალხის სურვილზე გადაბრალებით.

ამაყი, მომთმენი, კეთილშობილი, სამართლიანი ქართველი ხალხი უცდის გამათხოვრების გზაზე დამდგარ უძღებ შვილთა სიცრუესთან წილნაყარ გაწამაწიას, რომელთაც ავიწყდებათ, რომ ხალხის მოთმინების ფიალა უძირო არ არის.

ევროკავშირია, ნატო, კატო თუ სათენიკა, არ უნდა ეხვეწო მასთან შესვლას, ისე მოაწყე ცხოვრება, იყავი თავმოყვარე და ამაყი, რომ აქეთ გეხვეწონ, ჩვენთან თუ არ შემოხვალ, შენთან მაინც მიგვიღეო. ასეთი სამშობლოს ღირსია კაცობრიობის პატარა მარგალიტი, მისი კეთილშობილება ქართველი ერი.

გამჭრიახი, მოქნილი, პრინციპული, სამშობლოსათვის ყველაფრის შესაწირად მზადმყოფი პოლიტიკოსია საჭირო დღევანდელი უბედურებისაგან თავის დასაღწევად და არა ქვეყნის მაცოცხლებელ ძარღვზე წურბელასავით მიმჯდარი, სიცრუის და ტრაბახის კორიანტელს რომ აყენებს და ტელეშოუზე უკბილო ოხუნჯობით ტრაბახობს.

არა და, რატომ წუნობენ აზიელობას, თუნდაც აფრიკელობას, სადაც ისეთ ღრმა წარსულში დაირწა ცივილიზაციის აკვანი, რომ მის სათავეებთან დღემდე ვერ მიუღწევიათ?!

ევროპაში ცხოვრების დონემ, ეკონომიკურმა სიძლიერემ და დემოკრატიამ მიიზიდათ? ასე ფრენა-ფრენით ამოყოფენ თავს ლაპლანდიაში, თუ უკვე იქიდან არ გვირევენ გზა-კვალს. ევროპელობა რომ მოგვინდომეს, რით არიან ისინი სპარსეთის, ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიის, თუნდაც არაბების მიერ კაცობრიობის წინაშე დამსახურებაზე მაღლა? იქნებ ტოლერანტობით და მოყვასისადმი სიყვარულით უსწრებენ აზიელებს?

ადამიანთა მოდგმას დღესაც აშფოთებს საზარელი ინკვიზიციის ბოროტი აჩრდილი, ინდულგენციებით თაღლითობა, რაც არასდროს უკადრია მართლმადიდებლობას.

ნურც სამარცხვინო ჯვაროსნულ ლაშქრობებს დაივიწყებენ, ნურც მუსულმან სალადინის რაინდულ საქციელს და ჯვაროსანთა საზარელ, ველურ დაუნდობლობას. ნურც ქრისტეს საფლავის მაძიებელთა მიერ მართლმადიდებელი ქრისტიანობის ციტადელის ხუთჯვრიანი დროშის ფრიალით საზარელ აოხრებებს დაივიწყებენ. ნაციონალების მიერ სახელმწიფო დროშად აღიარებული ამ უბედურების ისევ დატოვება იმის ტოლფასია, ფაშიზმის დამხობის შემდეგ გერმანიაში ისევ სვასტიკიანი დროშებით რომ მოეწონებინათ თავი.

სულმნათი გურამ შარაძე ამ შერცხვენილი დროშისა და ნაციონალთა მუხთლობასთან შეურიგებლობას შეეწირა, რომლის მკვლელობა, გამოძიების ჭოგრიტის ქვეშ, შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად სჩანს.

კოჰაბიტაციით დაშინებული კბილაშვილი წავიდა და დაგვიტოვა ფრთოსანი გამოთქმა: ნაციონალების დროს მომუშავე პროკურორები იმ ხელისუფლების მძევლები იყვნენო. ეს ძალადობის ტყვე ქოსმენივით ნაპატივები პროკურორები მძევლები ყოფილან, მათ მიერ გაუბედურებული უდანაშაულო ადამიანები კი – ამ ხელისუფლების ნებიერნი.

ამჟამად ხალხი რწმენით უცდის, რომ კოჰაბიტაციის ჯადო მოხსნილია და ახალი პროკურორი ნაციონალთა მტაცებლის სიფათზე ახლად დაკემსილ ნიღაბს ბოლომდე ჩამოხსნის და მათ სამარცხვინო ნაგავსაყრელის გზას გაუყენებს.

ხალხმა საქართველოს დაქცევა-დაშლის გზაზე მდგარი ნაციონალები ქუთაისში ცოდვიან პარლამენტის შენობასთან ამოაბუქსავა. ახლა, დროდადრო, იუმორით იყუჩებს მუხთალთა მიერ მიყენებულ ტკივილს. ერთი პარლამენტარი ქალბატონი თურმე შეწუხებული ამბობს, ცალი ფეხი თბილისში მაქვს, ცალი კიდევ ქუთაისშიო, რა შესახედავი იქნება ხაშურიდანო. არადა ცოდვით გაპოხილი პარლამენტის შენობიდან გამოსვლას ვერა და ვერ ახერხებენ და ხაშურელებსაც გასართობი არ მოაკლდებათო, ოხუნჯობენ ხალხში. კარგად ახსოვთ, ტუტუცი პრეზიდენტი როგორ სატელევიზიო მთავრობის სხდომებს ატარებდა, მარტო თვითონ ბაქიბუქობით ნაცარს ამტვერებდა და სიცრუის კორიანტელში მჯდარი მთავრობის წევრები პირმოთნე ღიმილით პოსტის შენარჩუნების სურვილს იკმაყოფილებდნენ. ხალხი კი ოხუნჯობს: ***ნაცარს მაგრად ამტვერებდი, სიცრუეს კი კვლავ როშავ, პარლამენტში გაგილაყდა, ტყლაპად გექცა პადოშა.***

პარლამენტში ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლის დროს ნაციონალთა სამარცხვინო ღავდავის მოსმენისას გამახსენდა: ნაციონალების ერთ მინისტრს ჰკითხეს, სპილო დაფრინავსო? მან შეიცხადა, რას ბოდავ, სპილოს ფრენა ვინ გაიგონაო?! აბა, მიშა რომ ამბობს სპილო დაფრინავსო. ჰოოო, მთლად ჩიტივით ვერა, მაგრამ დაბლადაბლა კი დაფრინავსო. ამგვარად, მიშას მიერ სპილოს გაფრენას მისი მთავრობის წევრების ხელის ქნევაც უწყობდა ხელს.

მის სულელურ გამოსვლას პარლამენტში ოვაციით ხვდებოდნენ და ერთს არ დაბადებია ყოვლად უვნებელი შეკითხვის დასმის სურვილი. ღარიბაშვილს კი ისეთი გაცოფებით აძლევდნენ სამარცხვინო შეკითხვებს, რომ სახეზე ნიღაბი აღარ უჭერდებოდათ და მაყურებელს კოშმარივით ახსენდებოდა ნაციონალთა ბატონობის საზარელი დღეები. არა და, ისე აქვთ გამჯდარი მიშას მუხთლობაზე თავის ქნევა, ძალიან ძნელია მათი დარწმუნება, რომ სპილო არ დაფრინავს.

მთელი წელია რაც ორხელისუფლებიანობას განვიცდით: ახალი მთავრობის სასიკეთო ღონისძიებათა მცდელობა და ნაციონალთა ცოფმორეული ღავდავი პროგრესის დასამუხრუჭებლად და უკან დასახევად, უცხოეთში ცრუ დასმენების და მათი პატრონი მაღალჩინოსნების გაავებული თითის ქნევა დემოკრატიის დამველთა ნიღბით... შედეგად გათავხედებული, კოჰაბიტაციის ჯდანით დაცულ ნაციონალთა ხელშეუხებლობა საკუთარ თავზე ვიწვნიეთ. თავხედობა, მთელი ერის დაცინვა, ქვეყნის ღალატი, სხვა რა უნდა ეწოდოს თავქარიანი მიშას მიერ ათასობით უცხოტომელებზე საქართველოს მოქალაქეობის ასე ფლავივით დარიგებას. ამ პოლიტიკურ გვამად ქცეულმა მეძავმა საქართველოს მოქალაქეობა არ მისცა ბიძინა ივანიშვილს, რომლის ქვეყნისა და ერის წინაშე ღვაწლზე ყველამ კარგად იცის.

ასევე უარი უთხრა დირსეულ ქართველ მამულიშვილს – ალექსანდრე ებრალიძეს, იმ დროს, როდესაც თავქარქაშა მიშა და მისი ხროვა მთელი თავისი ბინძური არსენალის გამოყენებით ებრძოდა ქართულ ინტელიგენციას და მის გადაგვარებას ცდილობდა, პეტერბურგში მცხოვრებმა სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულმა მამულიშვილმა დავით აღმაშენებლის სახელობის პრემია დააარსა, რომლითაც შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს აჯილდოებდა და ხელი შეუშალა ამ მუხთალთა ხროვას, რომ ქართულ გენში შემოქმედებითი ცეცხლი ჩაექრო და ბინძურ უზნეოთა გარყვნილებას ეზეიმა. გასაკვირი და გამაოგნებელია, რომ **"ნაციონალები"** სასიკეთოდ ამოძრავებულ ცხოვრების ფორანს მიწოლის მაგიერ თვლებში ეჩხირებიან და მიშას მიერ სპილოების გაფრენის ოინბაზობას ახალი ენერგიით უქშეკენ ხელს. ქვეყანა დაქცევამდე მიიყვანეს; მიწები გაყიდეს; საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ომი დაიწყეს; ახლა საქართველოს საბოლოოდ დაქუცმაცების სიმბოლოდ ქცეულ ქუთაისის პარლამენტში სხედან და **"ქართული ოცნების"** ნაკლოვანებების მოგროვილი ჩხრიმლით ტივის შეკვრას ცდილობენ, ქვეყნის დასაქცევად, მეორედ მოსვლისათვის ხალხის ბობოქარ ოკეანედ ქცეული რისხვის გადასაცურად. იმდენი მსხვილ-წვრილი ღალატთან წილნაყარი დანაშაულობანი აქვთ ქვეყანაში გაფანტული, რომ მათი ამოშანთვის გარეშე ნორმალურად განვითარება შეუძლებელია.

მცირედი ნამუსი მაინც რომ ჰქონდეთ შერჩენილი, სადმე ბნელ კუთხეში მიჯდებოდნენ და შენდობის ხვეწნა-მუდარით შეაწუხებდნენ მათზე ესოდენ განაწყენებულ ქართველთა მფარველ ღვთაებას. ესენი კი, რაც დრო გადის, უფრო უმატებენ სამსალას თავიანთ გაუკუღმართებულ საქმიანობას. აბა, რისი სტიმულატორია მეოცნებეთა კოჰაბიტაციით დადონდლოებული სახედარი, რომელსაც ევროატლანტიკური ჭინკა გადასჯდომია და ნაციონალთა უკუღმართ კვალზე უპირებს გაჭენებას?!

თურმე, ნაციონალების მიერ პარლამენტის შესახებ კონსტიტუციაში შეტანილ კანონს ვერ ცვლიან; ასევეა პრეზიდენტის უფლებების შესახებ კანონიც. რა, კვლავ მიშას ჯიბის პარლამენტის ნაბოდვარზე გვიხდება სიარული? რადგან დღევანდელი ხელისუფლება კანონმორჩილია, მუხთალთა მიერ დაკანონებული ვერაგობა უნდა მოვითმინოთ?

ერთი გლეხი გულისტკივილით ამბობდა: **"ეს უამრავი პრეზიდენტობის კანდიდატები დაპირებებს თამამად რომ აფრქვევდნენ, რისი იმედით, როცა პრეზიდენტს სხვის მიერ მოწოდებულ ქაღალდზე ხელის მოწერის მეტი უფლება აღარ დაუტოვესო. ჩემი ბიჭიც ეგრეა, რასაც ხელი მოჰკიდა, ჩააოხრა. ახლა უქმად არის, რომ მოვკვდები, სამძიმარზე მოსულებს ხელს მაინც ჩამოართმევსო. კაცო, ის პრეზიდენტი ტუტუცი და მოღალატე რომ იყო, ახლისა რა ბრალია, რძისგან შეშინებულები დოს რატომ უბერავენო. გუბერნატორებია თუ რწმუნებულები, თავისი აპარატით, ზედმეტი რომ არიან, მე ვატყობ და თვითონ რატომ ვერ მიმხვდარან? ეგ შევარდნაძის მოგონილი მეჭეჭი მას სჭირდებოდა, ხალხის რომ ეშინოდა, იმიტომ. ამ ახალ ხელისუფლებას, რომელსაც ხალხის ნდობა და მხარდაჭერა აქვს, რაში სჭირდება მათზე ბიუჯეტის გადაყრა – დღეს ხომ საქართველოს ბიუჯეტის ასე მიშასეული ხელაღებით განიავების ფუფუნების უფლება არა გვაქვს"**-ო.

ხალხს ვერაფრით ვერ მოატყუებ, მან ყველაფერი იცის და თავის დროზე ყველას სათანადოდ მიუზღავს. თუნდაც ნაციონალების მიერ გაპიარებულ სიღნაღზე ხმაური. არაფერს ამბობენ, რატომ დააქციეს სიღნაღის შესასვლელთან მთელი ქიზიყის სიამაყედ აღმართული ამირანის უზარმაზარი ძეგლი. იქვე, საუკეთესოდ კეთილმოწყობილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის შენობა, კაცმა არ იცის, ვის მიაყიდეს, რომელმაც დაანგრია და ბეტონის ნარჩენებად აქცია; იქვე, კეთილმოწყობილი საავადმყოფო მიწასთან გაასწორეს; ბიბლიოთეკა, რაიონს რომ ემსახურებოდა, შენობიდან გამოასახლეს და უნიკალური წიგნების ფონდი სარდაფში შეყარეს; სამამულო ომში დაღუპულთა ბრწყინვალე ობელისკი გაანადგურეს, რაიონიდან სამამულო ომში დაღუპული ხუთი ათასი ვაჟკაცის წმიდათაწმიდა ხსოვნის აღსანიშნავად რომ იყო აღმართული. რა უფლებით წყრებიან, როცა ამ საძულველ ნაციონალებს ნეოფაშისტებად მოიხსენიებენ. თვითონ ბერლინში, სადაც ფაშიზმის ამოსაძირკვად ყველაზე მძიმე და დამანგრეველი ბრძოლა გაიმართა, ფაშიზმის საშინელებათა მომსწრე გერმანელი ხალხი ასე სათუთად უვლის და უფრთხილდება საბჭოთა მებრძოლების ძეგლებს.

ნაციონალების მიერ სიღნაღში ჩადენილ დანაშაულობათა პასუხის გარეშე დატოვება ამ ვანდალების წახალისების ტოლფასია; უამრავი მსგავსი დანაშაული აქვთ ჩადენილი ნაციონალებს. რა პირით უნდა მოითხოვო ევროპელობა, სადაც ფაშიზმის წინააღმდეგ დაღუპულთა ხსოვნას ასე სათუთად უფრთხილდებიან, აქ კი ვანდალები მათ მიერ განადგურებულ და სისხლდანთხეულ ადგილზე აშენებულ ცოდვიან შენობაში თავიანთ მუხთლობას არ იშლიან. როგორი ევროპელი ხარ, სად გინდა მიიტანო ამ ნეოფაშისტურ მკბენარებისაგან გაუწმენდავი სხეული?!

საქართველოს გაერთიანება ქუთაისიდან დაიწყო და მისმა ძლიერებამ თავის ზენიტს მიაღწია. უცხოეთის ლაქია ნაციონალები კი მის დაქცევა-დაქუცმაცების ზრახვებს ქუთაისისკენ მიახრიგინებენ. თუმცა დიდი ზიანი მიაყენეს ქვეყანას, მაინც ვერ დააქციეს. ხალხმა **"ქართულ ოცნებას"** დაავალა მათი დანაშაულობების გამოძიება, რომელიც ისედაც თვალნათლივ ტივტივებს.

ვინც ნაციონალების შენარჩუნებაზე თავს იდებს, აუცილებლად უნდა მოეკვეთოს კუდი. ყოველი ნაბიჯი ნაციონალებთან თანამშრომლობის, ოპოზიციად ჩათვლის და ჩაკოჰაბიტაციებით ქართველი ერის ნდობის დაკარგვის ტოლფასია. ესენი სამშობლოს ღალატის კეთრის მატარებლები არიან.

სამწუხაროდ, ამ დაავადების ნიშნები სხვებზეც შეინიშნება. ამიტომ, ხალხი ასე დაბეჯითებით მოითხოვს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, რომელიც ქარიშხლის მომასწავებელ გუგუნად გადაიქცევა, თუ მაღალ სკამზე მოკალათებული ზოგიერთი ბღენძი მისი ჩატარების წინააღმდეგ ხრიკების ბლანდვას გააგრძელებს.

ᲒᲘᲕᲘ ᲡᲝᲛᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
მწერალი, მეცნიერებათა აკადემია "ᲐᲘᲐ"-ს წევრი,
ქ. სიღნაღი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

„ერთმა მითხრა შენი ფოტო ერევნის ტირში ვნახეო“

(დასაწყისი წინა ნომერში)

ილია დათუნაშვილი

...1966 წელს ერევნის **„არარატთან“** 23 წუთში 5 გოლი გავიტანე. მეექვსე ბურთის შეგდებაც შემეძლო, მაგრამ ალექსი ილიადმა არ მაცალა და ბურთი ძელს მოარტყა. ვუსაყვედურე, ეს რა გააკეთე-მეთქი, ის კი გაბრაზებული მომიტრიალდა და მითხრა: აბა, მარტო შენ უნდა გაიტანოო?

...ამ 5 გოლის შემდეგ გულშემატკივრები ათასნაირად ხუმრობდნენ. მახსოვს, ჩემი ძმაკაცები თბილისელი სომხების ოჯახებში რეკავდნენ და აშაყირებდნენ: ალო, დათუნაშვილის ბინააო? რამდენიმე მეგობარმა მითხრა, ერევანში ჭირვეულ ბავშვებს შენით აშინებდნენ: დაიძინე, თორემ დათუნაშვილი მოვაო.

...ერთმა მითხრა შენი ფოტო ერევნის ტირში ვნახეო. არ დავიჯერე, ტყუილიამეთქი, მაგრამ მალე ჩემი მეზობელი ჩამოვიდა ჯარიდან, ლენინაკანში მსახურობდა და მითხრა, ეგრეა, მეც შევესწარი როგორ **„დაგხვრიტესო“**.

...**„არარატთან“** ის მატჩი რომ დამთავრდა, გასახდელში **„დინამოს“** საბჭოს თავმჯდომარე ვახტანგ დიდიძე შემოვიდა, ჩაიცვი, მინისტრი გელოდებაო. გადავიცვი და გარეთ გავედი: შინაგან საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე, მისი მოადგილე ვარლამ შადური და ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი კონსტანტინე კეთილაძე დამხვდნენ. მცირე ხანს ვისაუბრეთ, ბოლოს კი შევარდნაძემ ხელქვეითებს სიცილით უთხრა: რამდენიმე დღით დათუნაშვილის სახლთან დაცვა დააყენეთ, სომხებმა არაფერი უყონო.

მურთაზ ხურცილავა

...ინგლისში, ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე საბჭოთა კავშირის ნაკრებს **„პუმას“** დელეგაცია ესტუმრა და მსოფლიო ჩემპიონატზე მათი ეკიპირებით გამოსვლა შესთავაზა. ამის სანაცვლოდ **„პუმა“** საკმაოდ სოლიდურ თანხასაც იხდიდა. მე და ჟორა სიჭინავამ პუმას ბუცები რომ მოვირგეთ, კინაღამ გავგიჟდით, ისეთი მაგარი იყო! ჩვენ ხომ რადაც საბჭოთა საშინელება გვეცვა. ეს ამბავი რომ გაიგო, მეორე დღეს **„ადიდასმა“** მოავლინა თავისი ხალხი. ისევე როგორც **„პუმამ“**, **„ადიდასმაც“** დაგვიტოვა ბუცები და მაისურები. სადამოს სიჭინავამ მითხრა: იცი რას ვიზამ, ფულს ორივეს გამოვართმევ, ერთ ფეხზე **„ადიდასს“** ჩავიცმევ, მეორეზე **„პუმასო“**... ცხადია, ერთი ეკიპირებაც არ შეგვრჩა – დელეგაციის ხელმძღვანელებმა ორივე წინადადება იუარეს, აქაოდა, საბჭოთა სპორტსმენს ისე არ უჭირს, კაპიტალისტებმა ჩააცვანო.

...დღეს რომ ფეხბურთელი ვყოფილიყავი, ალბათ, ვერსად ვითამაშებდი. რატომ? სიმაღლეში 1,75 მეტრი ვარ, წონით კი ყოველთვის 85-86 კილოგრამს ვიწონიდი. ასეთი შეფარდებით დიდ გუნდებში მოხვედრა ძალიან გამიჭირდებოდა. ისე, ჩემ დროს **„დინამოშიც“** და ნაკრებშიც არსებობდა ნორმატივები, რომელიც ყველა ფეხბურთელს უნდა ჩაებარებინა. არ მახსოვს ეს ბარიერი ოდესმე დამეძლიოს, მაგრამ ხვდებოდნენ მიზეზს და თავს მანებებდნენ. ამ პრობლემის გამო ანდრო ჟორდანიას ყველა აფრთხილებდა, ეგ ბიჭი ფეხბურთს ვერ ითამაშებსო, მაგრამ ცხონებული თავისას არ იშლიდა. ერთი-ორჯერ იაკუშინთანაც **„მიშუამდგომლეს“**, მაგრამ არ **„გაჭრა“**!

ვლადიმერ გუცაევი

...ძალიან მწყდება გული, რომ ქართველ გულშემატკივარს **„დინამოს“** თამაში მადრიდის ოთხთა ტურნირზე არ უნახავს, არადა, ჩვენ ორივე მატჩში შესანიშნავად ვიასპარეზეთ. მახსოვს, დელეგაციაში ოპერატორებიც იყვნენ, მაგრამ **„რეალთან“** და **„ბაიერნთან“** თამაშის კადრები რატომ არ ჩანს აქამდე, ვერ ვხვდები... მე ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს, არადა, იქ კარლ-ჰაინც რუმენიგე, პაულ ბრაიტნერი, კარლოს სანტილიანა, ხუანტო, ხოსე ანტონიო კამაჩო და სხვებიც თამაშობდნენ. თუ არ ვცდები, იმ **„რეალის“** ნახევარდაცვაში ესპანეთის ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი ვისენტე დელ ბოსკეც ირიცხებოდა.

...ტურნირის მეორე დღეს ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელებს ერთ-ერთი ესპანური კლუბის მესვეურები ესტუმრნენ და ჩემი დათმობა სთხოვეს. ნუ, გარიგება რომ არ შედგებოდა, ეს ვიცოდი, მაგრამ პასუხმა გამაოგნა: **„საბჭოთა სპორტსმენს ვლადიმერ გუცაევს თქვენი კონტრაქტი არ სჭირდება. მას ყველაფერი აქვს: ბინაც და თვით „ვოლგაც“**! როგორია? ესპანელებს უკეთხავთ, გვესმის, რომ ის კარგ პირობებშია, ბინაც გასაგებია, მაგრამ ეს **„ვოლგა“** რა მანქანაა ასეთიო... ამ სიტყვებს ომარ სიამაშვილიც დაგიდასტურებთ, მაშინ ის პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი იყო და მადრიდში გვახლდა.

...ბევრს ჰგონია, რომ **„ის“ „ვოლგები“** თასების თასის მოგების შემდეგ დაგვირიგეს, მაგრამ ასე არ მომხდარა. უბრალოდ, ედუარდ შევარდნაძის საგანგებო ბრძანებით, დინამოელებს მანქანების ურიგოდ გამოყვანის უფლება მოგვცეს. 16.200 მანეთი ღირდა მაშინ საბჭოეთის ნომერ პირველი ავტო.

...თასების თასის მოგების შემდეგ სამჯერ ავიღეთ პრემია: გერმანიაში 150-150 მარკა დაგვირიგეს, თბილისში დაბრუნებულები კი სპორტსაზოგადოება **„დინამოს“** რესპუბლიკურმა სამმართველომ 300, ხოლო საკავშირომ 700 მანეთით გაგვახარა.

***რედაქციის კომენტარი:** როგორ შეიძლება ერთმანეთს შევუდაროთ მეოცე საუკუნის საბჭოთა ფეხბურთელების შემართება დღევანდელი ფეხბურთელების სპორტულ წადილს. საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებისადმი სწრაფვის წყურვილი ეფუძნებოდა პატრიოტიზმს, დღევანდელი სპორტსმენები კი ძირითადად პირად შემოსავალზე არიან ორიენტირებული. დღევანდელ სპორტსმენებს რომ ვარჯიშისა და დასვენების პირობები აქვთ, მეოცე საუკუნის საბჭოთა სპორტსმენებს, რომლებიც ე.წ. "ქუჩის ფეხბურთში" დაოსტატდნენ, ამაზე ოცნებაც კი არ შეეძლოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც დღევანდელი გაზულუქებული სპორტსმენები იოცნებებენ იმ სპორტულ წარმატებებზე, რაც მეოცე საუკუნის ქართველ საბჭოთა ფეხბურთელებს ჰქონდათ.*

დიახ, სწორედაც რომ პატრიოტული შემართება და მოქალაქეობრივი ვალის შესრულება გახლდათ საბჭოთა სპორტსმენების წარმატებების ქვაკუთხედი!

სწორედ პატრიოტული სულისკვეთების დეფიციტი გახლავთ დღევანდელი ქართული ფეხბურთის ჩავარდნის მიზეზი, რაც უპირველესად ქართული ფეხბურთის მესვეურთა დიდი ზრუნვის საგნად უნდა იქცეს!

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

იუმორი

სვანი მეცხვარე ფარას მწყემსავს, ტურისტები დაინახავენ, მივლენ და გაეკითხებიან:

– უკაცრავად, თქვენი ფარა რამდენს იწველება?

– თეთრები თუ შავები?

– ნუ, თეთრები, მაგალითად.

– თეთრები 1 ჭიქას – ერთ მოწვეულაზე

– შავები?

– შავებიც ეგრე.

– მატყლს რამდენს გაძლევენ?

– თეთრები თუ შავები?

– თეთრები.

– თეთრები, ერთ კილოს, ერთ გაპარსვაზე.

– შავები?

– შავებიც ეგრე.

– კაცო, შენ რა, გვეკაიფები? თუ ერთნაირად იწველებიან და ერთნაირ მატყლს გაძლევენ, რაღას გვეკითხებოდი – თეთრები თუ შავებიო?

– იმიტომ, რომ თეთრები ჩემია.

– აააა, აბა, შავები ვისია?

– შავებიც ჩემია...

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩაღგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 593-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge